ჩარჩოშეთანხმება N° CGE 1041 01 Z et 04 C

საკრედიტო რესურსის ჩარჩოშეთანხმება

დათარიღებული 15 ნოემბრით

საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა

გამსესხებელი

და

საქართველოს

მსესხებელი

შორის

სარჩევი

1. განმარტებები და ინტერპრეტაცია 7
   1.1 განმარტებები 7
   1.2 ინტერპრეტაცია 7
2. მიზანი 7
   2.1 საკრედიტო რესურსების ზოგადი პირობები 7
   2.2 ვადები და პირობები თითოეული საკრედიტო რესურსისთვის 7
3. ჩარჩო შეთანხმების ხანგრძლივობა 7
4. დაფინანსების ხელმისაწვდომობა 8
   4.1 ფინანსური პირობების წინადადება 8
   4.2 რესურსის დამტკიცება 8
5. რაოდენობა, მიზანი და უტილიზაციის პირობები 8
   5.1 რესურს(ებ)ი 8
   5.2 თანხა 8
   5.3 მიზანი 9
   5.4 მონიტორინგი 9
   5.5 წინაპირობები 9
6. რესურსების ჩამორიცხვა 10
   6.1 ჩამორიცხვების ხელმისაწვდომობა 10
   6.2 ჩამორიცხვის მოთხოვნა 10
   6.3. გადახდის დასრულება 11
   6.4. პირველი ჩამორიცხვის საბოლოო ვადა 11
   6.5. რესურსების ჩამორიცხვის საბოლოო ვადა 11
7. საპროცენტო განაკვეთი თითოეული რესურსისთვის 12
   7.1 საპროცენტო განაკვეთი თითოეული რესურსისთვის 12
   7.2 პროცენტის კალკულაცია და გადახდა 14
   7.3 დაგვიანებული გადახდა და გადაუხდელი პროცენტი 14
   7.4 საპროცენტო განაკვეთის კომუნიკაცია 15
8. პროცენტის გაანგარიშების ცვლილება თითოეული რესურსისთვის 15
   8.1 ბაზრის დარღვევები 15
   8.2 განაკვეთის ჩანაცვლება 15
9. გადასახდელები თითოეული რესურსისთვის 17
   9.1 ვალდებულების გადასახდელი 17
   9.2 შეფასების გადასახდელი 17
10. რესურსების გადახდა 18

11. წინასწარი გადახდა და რესურსების გაუქმება 18
11.1 ნებაყოფლობითი წინასწარი გადახდა 18
11.2 სავალდებულო წინასწარი გადახდა 18
11.3 რესურსის გაუქმება მსესხებლის მიერ 19
11.4 რესურსის გაუქმება გამსესხებლის მიერ 19
11.5 შეზღუდვები 20
12. გადახდის დამატებითი ვალდებულებები 20
12.1 ღირებულება და ხარჯები 20
12.2 გაუქმების ანაზღაურება 20
12.3 წინასწარი გადახდის ანაზღაურება 20
12.4 გადასახადები და მოვალეობები 21
12.5 დამატებითი ხარჯები 21
12.6 ვალუტის ანაზღაურება 22
12.7 ვადები 22
13. წარმომადგენლობები და გარანტიები ჩარჩო შეთანხმებისა და თითოეული რესურსის ფარგლებში. 22
13.1 ძალაუფლება და უფლებამოსილება 23
13.2 სანდოობა და დაშვებადობა მტკიცებულებებში 23
13.3 სავალდებულო ვალდებულებები 23
13.4 რეგისტრაციის ან საგერბო გადასახადების არ არსებობა 23
13.5 თანხების გადაცემა 24
13.6 სხვა ვალდებულებებთან წინააღმდეგობის არ არსებობა 24
13.7 მარეგულირებელი კანონმდებლობა და აღსრულება 24
13.8 არა გადახდისუუნარობის შემთხვევა 24
13.9 არა დამაბნეველი ინფორმაცია 24
13.11 თანასწორობა 25
13.12 ფულადი სახსრების წყარო, კორუფციის არსებობა, თაღლითობა ან მონოპოლისტური პრაქტიკა. 25
13.13 არამატერიალური უარყოფითი ეფექტი 25
14. ჩარჩო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები 25
14.1 კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობა 25
14.2 უფლებამოსილებები 25
14.4 პროგრამის განხორციელება და შენარჩუნება 26
14.5 გარემოს დაცვა და სოციალური პასუხისმგებლობა 26
14.7 თანასწორობა 27
14.8 სამონიტორინგო მისიები და შემოწმებები 27
14.9 პროგრამის შეფასება 27
14.10 სანქციები- ემბარგო 28
14.11 თანხების წარმომავლობა, არა კორუფციის აქტი, თაღლითობა ან ანტი კონკურენტული პრაქტიკა 28
14.12 განხორციელების ღონისძიებები 28
14.13 DLR-ების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები 28

14.14 აუდიტი 28
14.15 ხილვადობა და კომუნიკაცია 28

15. საინფორმაციო ვალდებულებები ჩარჩო შეთანხმებისა და თითოეული რესურსის მიხედვით 29

15.1 ფინანსური ინფორმაცია 29
15.2 . პროგრესის ანგარიში 29
15.3 თანადაფინანსება 29
15.4 ინფორმაცია - სხვადასხვა 30

16. ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევები 30

16.1 ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევები 30
16.2 აქსელერაცია 32
16.3 ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევის ცნობა 32

17. რესურსების ადმინისტრირება 32

17.1 გადახდები 32
17.2 ანაზღაურება 33
17.3 სამუშაო დღეები 33
17.4 გადახდის ვალუტა 33
17.5 დღის დათვლის კონვენცია 33
17.6 გადახდის ადგილი 33
17.7 გადახდის სისტემის დარღვევა 34

18. სხვადასხვა 35

18.1 სერთიფიკაცია და განსაზღვრებები 35
18.2 უფლების გადაცემა 35
18.3 კონფიდენციალობა-ინფორმაციის გამჟღავნება 35
18.4 ლიმიტირება 35
18.5 პრობლემის არარსებობა 36
18.6 ენა 36
18.7 ნაწილობრივი ბათილობა 36
18.8 უარის თქმის არარსებობა 36
18.9 იურიდიული ეფექტი 36
18.10 მთლიანი შეთანხმება 36
18.11 ცვლილებები 37

19. შეტყობინებები 37

19.1 წერილობითი კომუნიკაციები და მისამართები 37
19.2 მიწოდება 37
19.3 ელექტრონული კომუნიკაცია 38

20. მარეგულირებელი კანონი, აღსრულება და იურიდიული მისამართის შერჩევა გადახდებისთვის 38

20.1 მარეგულირებელი კანონი 38
20.2 არბიტრაჟი 38
20.3 პროცესის მომსახურება 39

განრიგი 1- პროგრამის აღწერა 41

განრიგი 2- განმარტებები და ინტერპრეტაცია....41
განრიგი 3 - წინაპირობები 57
განრიგი 4- რესურსის ხელმისაწვდომობის ფორმა 59
განრიგი 5- რესურსის ჩამორიცხვის ფორმა....65
განრიგი 6 - ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გამოქვეყნებულ იყოს საფრანგეთის მთავრობის ვებ-გვერდზე და კრედიტორის ვებ-გვერდზე....72

საკრედიტო რესურსის ჩარჩო შეთანხმება

ა) **საქართველო** - წარმოდგენილი ლაშა ხუციშვილის მიერ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის რანგში, რომელიც არის სათანადოდ უფლებამოსილი ხელი მოაწეროს ამ შეთანხმებას.

(„**საქართველო**" ან „**მსესხებელი**")

და

ბ) **საფრანგეთის განვითარების სააგენტო** - რომელიც წარმოადგენს ფრანგულ საჯარო ორგანიზაციას, რეგულირებულს საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად, დარეგისტრირებული ოფისით შემდეგ მისამართზე: როლანდ ბართეს ქუჩა N5, 75598 პარიზი, ცედექსი 12, საფრანგეთი, რეგისტრირებული პარიზის ვაჭრობისა და კომპანიების რეესტრში ნომრით 775 665 599, წარმოდგენილი ბატონ კირილ ბელიერის მიერ, საფრანგეთის განვითარების სააგენტოს აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აზიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც არის სათანადოდ უფლებამოსილი ხელი მოაწეროს ამ შეთანხმებას.

(„**AFD**" ან „**გამსესხებელი**")

(შემდგომში ერთობლივად მოხსენებული იქნება როგორც „**მხარეები**" ან თითოეული როგორც „**მხარე**")

ვინაიდან:

ა) პროგრამის ფარგლებში, როგორც ეს განსაზღვრულია ჩარჩო შეთანხმების (პროგრამის) 1-ელ განრიგში (*პროგრამის აღწერა*), მსესხებელი მიზნად ისახავს განახორციელოს პროგრამის ერთი ან რამდენიმე ტრანში.

ბ) 2022 წლის 7 ივლისის დირექტორთა საბჭოს n°C20220450 რეზოლუციის მიხედვით, AFD უფლებამოსილია დადოს ეს ჩარჩო შეთანხმება რესურსების ხელმისაწვდომობისთვის.

გ) მსესხებელი და AFD შეთანხმდნენ, წინასწარ დაადგინონ ვადები და პირობები, რომლითაც მსესხებელს შეეძლება მოსთხოვოს AFD-ს, ხელმისაწვდომი გახადოს რესურსები პროგრამის ტრანშების სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებისთვის, რაზეც AFD შესაძლოა დათანხმდეს ან უარი განაცხადოს.

დ) რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი („IBRD" ან „**თანადამფინანსებელი**") დათანხმდა, რომ ხელმისაწვდომი გახადოს სამას ორმოცდათვრამეტი მილიონ ხუთასი ათასი ევროს (EUR 358,500,000) ოდენობის რესურსი მსესხებელისთვის პროგრამის თანადასაფინანსებლად, 2022 წლის 30 მარტს ხელმოწერილი სასესხო ხელშეკრულების ("Co-Financier Loan Agreement") ვადების და პირობების შესაბამისად.

ამიტომაც მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. **განმარტებები და ინტერპრეტაცია**

1.1 <u>**განმარტებები**</u>

კაპიტალიზებულ სიტყვებსა და გამონათქვამებს (მათ შორის რომელიც მოცემულია დოკუმენტის შესავალში და განრიგებში) ექნება მე-2 განრიგის (განმარტებები&ინტერპრეტაცია) მიხედვით მინიჭებული მნიშვნელობები, გარდა ამ შეთანხმებაში სხვაგვარად მოცემულისა.

1.2 <u>**ინტერპრეტაცია**</u>

სიტყვები და გამონათქვამები, რომელიც გამოყენებულია ამ შეთანხმებაში, განსაზღვრულ იქნება მე-2 განრიგის (განმარტებები&ინტერპრეტაცია) მიხედვით, თუ საპირისპირო განზრახვა არ ჩანს.

2. **მიზანი**

2.1 <u>**საკრედიტო რესურსების ზოგადი პირობები**</u>

ძალაში შესვლის თარიღიდან და მანამ, სანამ ჩარჩო შეთანხმება იქნება ძალაში მე-3 მუხლის შესაბამისად (ჩარჩო შეთანხმების ხანგრძლივობა), მსესხებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს, რომ AFD-მ ხელმისაწვდომი გახადოს რესურსი დაფინანსების მიზნით, მთლიანად ან ნაწილობრივ, პროგრამის ტრანშით, AFD-სთვის სათანადოდ შესრულებული რესურსის გამოთხოვის მიწოდებით.

რესურსის გამოთხოვის მიღებისთანავე, AFD-ს შეუძლია თითოეულ შემთხვევაში, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, ყველანაირი ვალდებულების გარეშე, გადაწყვიტოს დათანხმდეს ან უარი თქვას მოთხოვნილი რესურსის ხელმისაწვდომობაზე.

თუ AFD რესურსის გამოთხოვას არ დათანხმდა მე-4 მუხლის (რესურსის ხელმისაწვდომობა) შესამაბისად, AFD-ს არ აქვს ვალდებულება, ხელმისავწდომი გახადოს მოთხოვნილი რესურსი მსესხებლისთვის.

2.2 <u>**ვადები და პირობები თითოეული საკრედიტო რესურსისთვის**</u>

AFD და მსესხებელი თანხმდებიან, რომ შესაბამისი ვადები და პირობები იმ რესურსებისთვის, რომლებიც AFD-მ დისკრეციულ საფუძველზე შესაძლოა ხელმისაწვდომი გახადოს, იქნება ისინი, რომელიც მითითებული იქნება ამ ჩარჩო შეთანხმებასა და შესაბამის რესურსის დამტკიცებაში.

3. **ჩარჩო შეთანხმების ხანგრძლივობა**

ჩარჩო შეთანხმება ძალაში შედის ეფექტურობის თარიღიდან და სრულ ძალაში დარჩება ხელმოწერის თარიღიდან სამი (3) წლის განმავლობაში (საბოლოო თარიღი).

თითოეულ მხარეს შეუძლია ჩარჩო შეთანხმების შეწყვეტა საბოლოო თარიღამდე ნებისმიერ დროს კომპენსაციის გარეშე (გარდა გადასახდელი რესურსების შემთხვევებისა) მეორე მხარისთვის შეტყობინების პირობით, რეგისტრირებული წერილის მიღების დადასტურებით, შეწყვეტის თარიღამდე თხუთმეტი (15) კალენდარული დღით ადრე, როგორც მითითებულია ასეთ შეტყობინებაში („შეწყვეტის თარიღი").

საბოლოო თარიღამდე სამი თვით ადრე ან ზემოაღნიშნული შეწყვეტის შეტყობინების მიწოდების თარიღიდან, მსესხებელი არ გადასცემს AFD-ს რაიმე სახის რესურსის გამოთხოვას, მაგრამ ჩარჩო

შეთანხმება შეინარჩუნებს თავის ეფექტურობას გადაუხდელი რესურსების მხრივ მანამ, სანამ რაიმე ოდენობის თანხა იქნება გადასახდელი ფინანსური დოკუმენტების მიხედვით.

4. დაფინანსების ხელმისაწვდომობა

4.1 <u>ფინანსური პირობების წინადადება</u>

სათანადოდ შევსებული რესურსის გამოთხოვის მიღებისთანავე, AFD-ს შეუძლია, ყოველგვარი ვალდებულების გარეშე, მსესხებელს გაუგზავნოს ფინანსური პირობების წინადადება, რომელიც განსაზღვრავს იმ ფინანსურ პირობებს, რომლებიც გამოყენებული იქნება მოთხოვნილ რესურსზე იმ შემთხვევაში, თუ AFD დათანხმდება ეს რესურსი ხელმისაწვდომი გახადოს.

ფინანსური პირობების წინადადების გადაცემა არავითარ შემთხვევაში არ განიხილება როგორც AFD-ის ვალდებულება, ხელმისაწვდომი გახადოს მოთხოვნილი რესურსი.

მსესხებელმა უნდა მიიღოს ეს ფინანსური პირობები ფინანსური პირობების წინადადების ხელმოწერით დამოწმებითა და დათარიღებით.

4.2 <u>რესურსის დამტკიცება</u>

AFD-ს შეუძლია დათანხმდეს რესურსის გამოთხოვას იმ ფინანსური პირობებით, რა პირობებიც არის გათვალისწინებული ფინანსური პირობების წინადადებაში, რომელიც ხელმოწერით დადასტურებულია მსესხებლის მიერ.

ამ შემთხვევაში, AFD მსესხებელს გაუგზავნის რესურსის დამტკიცებას. მსესხებლის მხრიდან რესურსის დამტიცების დოკუმენტში მითითებული ვადების და პირობების დათანხმების თარიღიდან AFD იღებს ვალდებულებას, გახადოს მოთხოვნილი რესურსი ხელმისაწვდომი იმ პირობით, რომ 5.5 მუხლში (წინაპირობები) ჩამოთვლილი პირობები შესრულებული იქნება.

მსესხებელი თანხმდება რესურსის დამტკიცების პირობებს ხელმოწერით დამოწმების გზით.

თითოეული რესურსი დარეგულირდება ფინანსური დოკუმენტების ვადების და პირობების მიხედვით.

5. რაოდენობა, მიზანი და უტილიზაციის პირობები

5.1 <u>რესურს(ებ)ი</u>

გამსესხებელს შეუძლია დათანხმდეს, მსესხებლისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ფინანსური დოკუმენტების დადგენილებების შესაბამისად, ერთი ან მეტი რესურსი იმ მაქსიმუმი საერთო ოდენობით, რომელიც მოცემულია რელევანტურ რესურსის დამტკიცებაში, და არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმუმ საერთო რაოდენობას, რომელიც მოცემულია 5.2 მუხლში (რაოდენობა).

5.2 <u>თანხა</u>

იმ პირობით, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც AFD-ის ვალდებულება მსესხებლისთვის რაიმე რესურსის გადაცემისა:

(i) ჩარჩო შეთანხმების მიხედვით გადაცემული რესურსების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ას მილიონ ევროს (100,000,000 ევრო);

(ii) პირველი რესურსის მოცულობა იქნება ორმოცდაათი მილიონი ევრო (50,000,000 ევრო); და

(iii) ჩარჩო შეთანხმების ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2-ს.

5.3 <u>მიზანი</u>

მსესხებელმა ნასესხები თანხის მთლიანი მოცულობა უნდა გამოიყენოს ბიუჯეტის ხარჯების დასაფინანსებლად, იმისთვის რომ განხორციელდეს პროგრამა, რომელიც აღწერილია 1-ელ განრიგში (პროგრამის აღწერა).

5.4 <u>მონიტორინგი</u>

გამსესხებელი არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი მოცულობის თანხის გამოყენებაზე, რომელიც არ არის ამ შეთანხმების დებულებების შესაბამისი.

5.5 <u>წინაპირობები</u>

ა) არაუგვიანეს ხელმოწერის დღისა, მსესხებელი მიაწვდის გამსესხებელს ყველა დოკუმენტს, რომელიც მოცემულია განრიგი 3-ის (წინაპირობები) I ნაწილში (ჩარჩო შეთანხმების ხელმოწერის წინაპირობები), გამსესხებლისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმითა და მდგომარეობით.

ბ) რესურსის გამოთხოვა შესაძლოა არ იქნეს მიწოდებული გამსესხებლითვის, თუ გამსესხებელი არ მიიღებს განრიგი 3-ის (წინაპირობები) II ნაწილში (რესურსის დადასტურების ხელმოწერის წინაპირობები) მოცემულ ყველა დოკუმენტს და არ შეატყობინებს მსესხებელს, რომ ასეთი დოკუმენტები არის დამაკმაყოფილებელ ფორმასა და მდგომარეობაში.

გ) რესურსის გამოთხოვის მიწოდებისთანავე და რესურსის დამტკიცების ხელმოწერის დღეს მსესხებელი განაცხადებს, რომ მე-13 მუხლში (წარმომადგენლობა და გარანტიები ჩარჩო შეთანხმებისა და თითოეული რესურსის მიხედვით) მოცემული თითოეული წარმომადგენლობა ზუსტია.

დ) ჩამორიცხვის მოთხოვნა არ გადაეცემა გამსესხებელს, თუ:

(i) პირველი ჩამორიცხვის შემთხვევაში გამსესხებელი არ მიიღებს განრიგი 3-ის (წინაპირობები) III (რესურსის პირველი ჩამორიცხვის წინაპირობები) და IV (რესურსის ყველა ჩამორიცხვის წინაპირობები) ნაწილებში მოცემულ ყველა დოკუმენტს და არ შეატყობინებს მსესხებელს, რომ ასეთი დოკუმენტები არის დამაკმაყოფილებელ ფორმასა და მდგომარეობაში; და

(ii) ნებისმიერი შემდგომი ჩამორიცხვის შემთხვევაში გამსესხებელი არ მიიღებს განრიგი 3-ის IV (ყველა ჩამორიცხვის წინაპირობები) ნაწილში მოცემულ ყველა დოკუმენტს და არ შეატყობინებს მსესხებელს, რომ ასეთი დოკუმენტები, არის დამაკმაყოფილებელ ფორმასა და მდგომარეობაში.

ე) გამსესხებელმა ჩამორიცხვა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩამორიცხვის მოთხოვნისა და ჩამორიცხვის შესაბამის თარიღებში არ მომხდარა საგადასახადო სისტემების შეფერხება და ფინანსურ დოკუმენტებში მოცემული ყველა პირობა შესრულებულია, მათ შორის:

(i) დეფოლტის არც ერთი შემთხვევა არ გრძელდება ან არ იქნება ჩამორიცხვის შედეგად შემოთავაზებული;

(ii) არც ერთ თანადამფინანსებელს არ შეუჩერებია პროგრამასთან დაკავშრებული გადახდები;

(iii) რესურსის გამოთხოვა მოხდა ჩარჩო შეთანხმების 6.2 მუხლის (რესურსის გამოთხოვა) პირობების მიხედვით; და

(iv) ყველა წარმომადგენლობა მოცემული მსესხებლის მიერ მე-13 მუხლთან (წარმომადგენლობა და გარანტიები ჩარჩო შეთანხმებისა და თითოეული რესურსის მიხედვით) დაკავშირებით არის სიმართლე.

ვ) შეთანხმების მე-3 განრიგის (წინაპირობები) IV ნაწილის (რესურსის ყველა ჩამორიცხვის წინაპირობები) დადგენილებების მიუხედავად, თუ 1-ლი განრიგის (პროგრამის აღწერა) რომელიმე DLR არ იქნება შესრულებული იმ თარიღისთვის, რომლისთვისაც მისი შესრულება იყო გათვალისწინებული, ან იმ გვიანდელი თარიღისთვის, რომელიც გამსესხებელმა დაადგინა მსესხებლისთვის შეტყობინებით, გამსესხებელს მსესხებლისთვის შეტყობინებით შეუძლია:

(i) ნება დართოს, გახარჯოს შესაბამისი რესურსიდან ხელმისაწვდომი გაუხარჯავი თანხა, იმ შემცირებული რაოდენობით, რომელიც განკუთვნილი იყო აღნიშნული DLR-სთვის, რომელიც AFD-ის აზრით შეესაბამება აღნიშნული DLR-ის შესრულების ხარისხს.

(ii) გადაანაწილოს შესაბამისი რესურსიდან მიღებული კონკრეტული DLR-ისთვის გამოყოფილი შემოსავლის მთელი ან ნაწილი 1-ლი განრიგის (პროგრამის აღწერა) ნებისმიერ სხვა DLR-ზე; და/ან

(iii) გააუქმოს შესაბამისი რესურსიდან მიღებული შემოსავლის მთელი ან ნაწილი და გადაანაწილოს აღნიშნულ DLR-ზე.

6. რესურსების ჩამორიცხვა

6.1 <u>ჩამორიცხვების ხელმისაწვდომობა</u>

რესურსი მსესხებლისთვის ხელმისაწვდომი იქნება ხელმისაწვდომობის პერიოდის განმავლობაში, რამდენიმე ჩამორიცხვით, სახსრების ხელმისაწვდომ მოცულობამდე, იმ პირობით, რომ ჩამორიცხვების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თხუთმეტს (15).

6.2 <u>ჩამორიცხვის მოთხოვნა</u>

თუ პირობები, რომელიც ასახულია 5.5 მუხლში (წინაპირობები) არის დამაკმაყოფილებელი, მსესხებელს შეუძლია ისარგებლოს რესურსით გამსესხებლისთვის სათანადოდ დასრულებული ჩარიცხვის მოთხოვნის მიწოდებით, როგორც აღწერილია ქვემოთ:

(i) სათანადოდ დასრულებული და ხელმოწერილი ჩამორიცხვის მოთხოვნის ელექტორნული ასლი, შესაბამისი წინაპირობების შესასრულებლად საჭირო ყველა სხვა მხარდამჭერ დოკუმენტთან ერთად, თავდაპირველად, უნდა წარედგინოს თანადამფინანსებელს, თანადაფინანსების სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად, თანხის გატანის განაცხადის წარდგენის პარალელურად, თანადაფინანსების სასესხო ხელშეკრულების ვადების და პირობების შესაბამისად; და

(ii) სათანადოდ დასრულებული და ხელმოწერილი ჩარიცხვის მოთხოვნის ბეჭდური ასლი უნდა მიეწოდოს მსესხებლის მიერ AFD-ის ცენტრალური ოფისის დირექტორს, იმ მისამართზე, რომელიც მოცემულია მუხლში 19.1 (წერილობითი კომუნიკაციები და მისამართები).

(iii) გადახდები განხორციელდება თანადამფინანსებლის მიერ შედგენილი ჩამორიცხვის და ფინანსური ინფორმაციის წერილის (DFIL) შესაბამისი ინსტრუქციებით.

ყველა ჩარიცხვის მოთხოვნა შეუქცევადია და განიხილება, როგორც სათანადოდ დასრულებული, თუ:

ა) ჩარიცხვის მოთხოვნა ძირითადად არის მე-5 განრიგის (ჩარიცხვის მოთხოვნების ფორმა) I ნაწილის (ჩამორიცხვის მოთხოვნის ფორმა) შესაბამისი ფორმით;

ბ) ჩარიცხვის მოთხოვნა მიღებულია გამსესხებლის მიერ ჩარიცხვის საბოლოო თარიღამდე არაუგვიანეს თხუთმეტი (15) სამუშაო დღისა;

გ) ჩარიცხვის მოცულობა შეესაბამება 5.2 მუხლის (რაოდენობა) და რესურსის დამტკიცების პირობებს; და

დ) 5.5 (დ) მუხლში მოცემული პირობები შესრულებულია.

ნებისმიერი დოკუმენტური მტკიცებულება, როგორებიცაა ჩეკები და ინვოისები, უნდა შეიცავდეს შესაბამისი გადახდის ნომერს და თარიღს. მსესხებელი ვალდებულია, შეინახოს ყველა დოკუმენტური მტკიცებულების ორიგინალი, ნებისმიერ დროს გამსესხებლისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ეს მტკიცებულებები და მიაწოდოს გამსესხებელს იმ მტკიცებულების დამოწმებული ასლები ან დუბლიკატები, რომელებიც შესაძლოა მან მოითხოვოს.

6.3. <u>გადახდის დასრულება</u>

17.7 მუხლის (გადახდის სისტემის ჩაშლა) მიხედვით, თუ ყველა პირობა, რომელიც მოცემულია მიმდინარე შეთანხმების 5.5 მუხლში (წინაპირობები), დაკმაყოფილებულია, გამსესხებელი ხელმისაწვდომს გახდის მოთხოვნილ თანხას მსესხებლისთვის არაუგვიანეს ჩარიცხვის დღისა.

გამსესხებელი მიაწვდის მსესხებელს ჩარიცხვის დადასტურების წერილს იმ ძირითადი ფორმით, რომელიც მოცემულია განრიგი 5-ის (ჩარიცხვის მოთხოვნების ფორმა) II ნაწილში (ჩამორიცხვის და განაკვეთის დადასტურების ფორმა).

6.4 <u>პირველი ჩამორიცხვის საბოლოო ვადა</u>

რესურსის პირველი ჩამორიცხვა უნდა მოხდეს რესურსის დადასტურების თარიღიდან თოთხმეტი (14) თვის განმავლობაში.

თუ ზემოაღნიშნულ პერიოდში არ მოხდება პირველი ჩამორიცხვა, გამსესხებელს შეუძლია შეაჩეროს რესურსი ჩარჩო შეთანხმების 11.4 მუხლის (რესურსის შეჩერება გამსესხებლის მიერ) შესაბამისად.

პირველი ჩარიცხვის ვადა არ გადაიდება გამსესხებლის წინასწარი თანხმობის გარეშე.

პირველი ჩარიცხვის ვადის ნებისმიერი გადადება (i) არის საფუძველი ახალი ფინანსური პირობებისა, რომელიც მიემართება ჩამორიცხვებს და (ii) უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით მხარეებს შორის, როგორც ხელშეკრულების შესწორება.

6.5 <u>რესურსების ჩამორიცხვის საბოლოო ვადა</u>

რესურსის სრული ჩამორიცხვა უნდა მოხდეს რესურსის დამტკიცებაში განსაზღვრული ჩამორიცხვის საბოლოო ვადის დღეს ან მანამდე.

თუ ზემოაღნიშნულ პერიოდში არ მოხდება სრული ჩამორიცხვა, გამსესხებელს შეუძლია შეაჩეროს ხელმისაწვდომი კრედიტი ჩარჩო შეთანხმების 11.4 მუხლის (რესურსის შეჩერება გამსესხებლის მიერ) შესაბამისად.

რესურსის ჩარიცხვის ვადა არ გადაიდება გამსესხებლის წინასწარი თანხმობის გარეშე.

ჩარიცხვის ვადის ნებისმიერი გადადება (i) არის საფუძველი ახალი ფინანსური პირობებისა, რომელიც მიემართება ხელმისაწვდომი კრედიტის ჩამორიცხვებს და (ii) უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით მხარეებს შორის, როგორც ხელშეკრულების შესწორება.

7. **საპროცენტო განაკვეთი თითოეული რესურსისთვის**

7.1 <u>**საპროცენტო განაკვეთი თითოეული რესურსისთვის**</u>

7.1.1 **საპროცენტო განაკვეთის შერჩევა**

მსესხებელს ჩამორიცხვისთვის შეუძლია შეარჩიოს ფიქსირებული ან ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს იმ მოცულობას, რაც მოცემულია შესაბამისი ჩამორიცხვის მოთხოვნაში, შერჩეული საპროცენტო განაკვეთის მიხედვით ე.ი. ფიქსირებულის ან ცვლადის, ჩამორიცხვის მოთხოვნაში, რომელიც რეალურად მიწოდებულია გამსესხებლისთვის იმ ფორმით, რომელიც მოცემულია ჩარჩო შეთანხმების განრიგი 5-ის (რესურსის ჩამორიცხვების ფორმები) I ნაწილში (ჩამორიცხვის მოთხოვნის ფორმა), შემდეგი პირობებით:

(i) ცვლადი საპროცენტო განაკვეთი

მოთხოვნილი ჩარიცხვის ოდენობის მიუხედავად, მსესხებელს შეუძლია აირჩიოს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც იქნება წლიური განაკვეთი, აგრეგირებული შემდეგისა:

- 6 თვიანი EURIBOR, ან ჩანაცვლების ნიშნულს დამატებულია კორექტირების მარჯა, როგორც ეს განსაზღვრულია ჩარჩო შეთანხმების მე-8 მუხლის დებულებებში (პროცენტის გაანგარიშების ცვლილება); და
- მარჯა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ პირველი პროცენტის გადახდის პერიოდი ნაკლებია ასოცდათხუთმეტ (135) დღეზე, EURIBOR იქნება:

- ერთთვიანი EURIBOR ან იმ შემთხვევაში, როცა ჩანაცვლების ნიშნულს დამატებულია კორექტირების მარჯა, როგორც ეს განსაზღვრულია ჩარჩო შეთანხმების მე-8 მუხლის დებულებებში (პროცენტის გაანგარიშების

ცვლილება), თუ პირველი პროცენტის გადახდის პერიოდი ნაკლებია სამოც (60) დღეზე; ან

- სამთვიანი EURIBOR ან იმ შემთხვევაში, როცა ჩანაცვლების ნიშნულს დამატებულია კორექტირების მარჯა, როგორც ეს განსაზღვრულია ჩარჩო შეთანხმების მე-8 მუხლის დებულებებში (პროცენტის გაანგარიშების ცვლილება), თუ პირველი პროცენტის პერიოდი არის სამოციდან (60) ასოცდათხუთმეტ (135) დღემდე.

(ii) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი

იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნილი ჩამორიცხვის ოდენობა ტოლი ან მეტი უნდა იყოს სამ მილიონ ევროზე (3,000,000 ევრო), მსესხებელმა შეიძლება შეარჩიოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, რომელიც იქნება ფიქსირებული განაკვეთი გაზრდილი ან შემცირებული ინდექსაციის განაკვეთის ფლუქტუაციის მიერ ხელმოწერის დღიდან შესაბამის დაფიქსირების დღემდე.

მსესხებელმა შეიძლება მიუთითოს რესურსის გამოთხოვაში მაქსიმალური ოდენობა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთისთვის. თუ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, რომელიც დათვლილია გადახდის თარიღის განაკვეთზე, აჭარბებს მაქსიმალურ ოდენობას ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი თანხის გამოთხოვაში, თანხის ასეთი გამოთხოვა გაუქმდება და ჩამორიცხვის გაუქმებულ მოთხოვნაში განსაზღვრული ჩამორიცხვის ოდენობა იქნება დაკრედიტებული ხელმისაწვდომ კრედიტზე.

7.1.2 კონვერსია ცვლადი საპროცენტო განაკვეთიდან ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე

i) განაკვეთის კონვერსია მსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე.

მსესხებელმა შესაძლოა მოითხოვოს ნებისმიერ დროს, რომ გამსესხებელმა გააკეთოს ჩამორიცხვის ან რამდენიმე ჩამორიცხვის კონვერსია ცვლადი საპროცენტო განაკვეთიდან ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნილი ჩამორიცხვის ან საერთო ჩამორიცხვების ოდენობა ტოლი ან მეტი უნდა იყოს სამ მილიონ ევროზე (3,000,000 ევრო),

ამ მიზნით, მსესხებელი აგზავნის გამსესხებელთან განაკვეთის კონვერსიის მოთხოვნას იმ ძირითადი ფორმით, რომელიც მოცემულია ჩარჩო შეთანხმების გაწრიგი 5-ის III ნაწილში (განაკვეთის კონვერსიის მოთხოვნის ფორმა). მსესხებელი მიუთითებს განაკვეთის კონვერსიის წერილში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალურ მოცულობას. იმ შემთხვევაში თუ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, რომელიც დათვლილია განაკვეთის დაფიქსირების დღეს, აჭარბებს ფიქსირებული განაკვეთის მაქსიმალურ მოცულობას, რომელიც მითითებულია მსესხებლის მიერ განაკვეთის კონვერსიის თხოვნაში, ასეთი განაკვეთის კონვერსიის მოთხოვნა ავტომატურად გაუქმდება.

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ეფექტური იქნება განაკვეთის დაფიქსირებიდან ორი (2) სამუშაო დღის შემდეგ.

ii) განაკვეთის კონვერსიის მექანიზმი

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, რომელიც შეესაბამება შესაბამის ჩამორიცხვას, განისაზღვრება ჩარჩო შეთანხმების მუხლით 7.1.1 (ii) (ფიქსირებული

საპროცენტო განაკვეთი) განაკვეთის დაფიქსირების დღეს, რომელიც განსაზღვულია ქვეპუნქტში (i).

გამსესხებელი დროულად გააგზავნის მსესხებელთან წერილს განაკვეთის კონვერსიის თანხმობაზე იმ ფორმით, რომელიც მოცემულია ჩარჩო შეთანხმების განრიგი 5-ის IV ნაწილში (განაკვეთის კონვერსიის მოთხოვნის ფორმა).

განაკვეთის კონვერსია საბოლოოა და ხორციელდება ხარჯების გარეშე.

7.2 <u>პროცენტის კალკულაცია და გადახდა</u>

მსესხებელი გადაიხდის დარიცხულ პროცენტს ჩარიცხვა(ებ)ზე სათითაო გადახდის დღეს.

პროცენტის მოცულობა, რომელსაც იხდის მსესხებელი გადახდის შესაბამის დღეს და შესაბამისი საპროცენტო პერიოდისთვის გაუთანაბრდება ჯამს მსესხებლის მიერ გადასახდელი ნებისმიერი პროცენტისა, ძირითადი ნაშთის თანხაზე ჩამორიცხვასთან დაკავშირებით. მსესხებლის მიერ გადასახდელი პროცენტი რესურსის ჩამორიცხვასთან დაკავშირებით დაითვლება შემდეგის საფუძველზე:

i) შესაბამის ჩამორიცხვასთან დაკავშირებული მსესხებლის მიერ გადასახდელი ძირითადი თანხის ნაშთი გადახდის წინა თარიღისთვის, ან პირველი საპროცენტო პერიოდის შემთხვევაში, შესაბამისი ვადის ამოწურვის თარიღისთვის;

ii) დღეების ზუსტი რაოდენობა, რომელიც ერიცხება შესაბამისი საპროცენტო პერიოდის განმავლობაში წელიწადში სამას სამოცი (360) დღის არსებობის საფუძველზე; და

iii) საპროცენტო განაკვეთი, რომელიც განსაზღვრულია ჩარჩო შეთანხმების მუხლი 7.1-ის მიხედვით (საპროცენტო განაკვეთი)

7.3 <u>დაგვიანებული გადახდა და გადაუხდელი პროცენტი</u>

ა) დაგვიანებული გადახდა და გადაუხდელი პროცენტი ყველა გადასახდელ ოდენობაზე და გადაუხდელზე (პროცენტის გარდა)

თუ მსესხებელი ვერ მოახერხებს მის მიერ გადასახდელი ნებისმიერი თანხის გადახდას გამსესხებლისთვის ამ შეთანხმების ფარგლებში (იქნება ეს ძირითადი თანხის გადახდა, წინასწარი გადახდის ანაზღაურება, ნებისმიერი თანხა ან ნებისმიერი სახის გამონაკლისის გაუთვალისწინებელი ხარჯი ნებისმიერი გადაუხდელი ვადაგადაცილებული პროცენტისთვის) მისი გადახდის ვადის დღეს, პროცენტი დაერიცხება ვადაგადაცილებულ თანხაზე კანონით დაშვებული ნორმით, გადახდის ვადიდან ფაქტიური გადახდის თარიღამდე (საარბიტრაჟო გადაწყვეტილებამდე და მის მერეც, ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ საპროცენტო განაკვეთით, რომელიც შეესაბამება მიმდინარე საპროცენტო პერიოდს (გადაუხდელი პროცენტი), გაზრდილი 3.5%-ით (პროცენტის დაგვიანებული გადახდა). გამსესხებლისგან წინასწარი ფორმალური შეტყობინება აუცილებელი არ იქნება.

ბ) დაგვიანებული გადახდა და პროცენტის გადაუხდელობა გადაუხდელ გადაცილებულ პროცენტზე

პროცენტს, რომელიც არ იქნება გადახდილი ვადის შესაბამისად, კანონით დაშვებული ნორმით დაეკისრება პროცენტი იმ საპროცენტო განაკვეთით, რომელიც შეესაბამება მიმდინარე საპროცენტო პერიოდს (გადაუხდელი პროცენტი), გაზრდილი 3.5%-ით (პროცენტის დაგვიანებული გადახდა), რამდენადაც მსგავსი პროცენტი ვადადამდგარი და

გადასახდელი იქნება სულ მცირე ერთი (1) წლის განმავლობაში. გამსესხებლისგან წინასწარი ფორმალური შეტყობინება აუცილებელი არ იქნება.

მსესხებელი გადაიხდის ნებისმიერ დარჩენილ პროცენტს ჩარჩო შეთანხმების მუხლი 7.3-ის მიხედვით (დაგვიანებული გადახდა და გადაუხდელი პროცენტი) დაუყოვნებლივ, გამსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე ან თითოეულ გადახდის დღეს ნაშთის გადახდის ვადის მიხედვით.

გ) გამსესხებლის მიერ პროცენტის დაგვიანებით გადახდამ ან გადაუხდელობამ არ უნდა იქონიოს გავლენა მსესხებლისათვის არც გადახდის ვადის გაგრძელების მინიჭების მხრივ და არც მსესხებლის მიერ გამსესხებლის ნებისმიერი უფლების უარყოფაზე.

7.4 <u>საპროცენტო განაკვეთის კომუნიკაცია</u>

გამსესხებელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მსესხებელს თითოეული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის შესახებ ფინანსური დოკუმენტების შესაბამისად.

8. **პროცენტის გაანგარიშების ცვლილება თითოეული რესურსისთვის**

8.1 <u>ბაზრის დარღვევები</u>

ა) თუ საბაზრო დარღვევის შემთხვევა იმოქმედებს შიდა საბანკო ბაზარზე ევროზონაში და შეუძლებელია

i) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა შესაბამისი ჩამორიცხვითვის, ან

ii) ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, შესაბამისი EURIBOR-ის განსაზღვრა შესაბამისი საპროცენტო პერიოდისთვის,

გამსესხებელმა უნდა აცნობოს მსესხებელს.

ბ) (ა) ქვეპუნქტში აღწერილი შედეგის დადგომის შემთხვევაში, შესაბამისი საპროცენტო განაკვეთი შესაბამისი საპროცენტო პერიოდისთვის იქნება ჯამი:

i) მარჟისა; და

ii) გამსესხებლისთვის კრედიტის დაფინანსების დაფარვის ხარჯების შესაბამისი წლიური საპროცენტო განაკვეთისა, ნებისმიერი წყაროდან, რომელიც შეიძლება გონივრულად შეირჩეს. ეს განაკვეთი მსესხებელს უნდა ეცნობოს რაც შეიძლება მალე და, ნებისმიერ შემთხვევაში, (1) პირველი გადახდის თარიღამდე იმ პროცენტით, რა პროცენტიც განსაზღვრულია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში მსგავსი ჩამორიცხვისთვის ან (2) პირველი გადახდის თარიღამდე იმ პროცენტით, რა პროცენტიც განსაზღვრულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში მსგავსი ჩამორიცხვისთვის.

8.2 <u>განაკვეთის ჩანაცვლება</u>

8.2.1 განმარტებები:

„შესაბამისი წარმდგენი ორგანო“ ნიშნავს ნებისმიერი ცენტრალური ბანკის, მარეგულირებლის, ხელმძღვანელის და სამუშაო ჯგუფის ან კომიტეტის მიერ დაფინანსებულ ან მათ მიერ მართულ ან რომელიმე მათგანის თხოვნით წარმოდგენილ ორგანოს.

"განაკვეთის ჩანაცვლების შემთხვევა" ნიშნავს რომელიმე ჩამოთვლილ შემთხვევას ან რიგ შემთხვევებს:

(ა) განაკვეთის განმარტება, მისი განსაზღვრის მეთოდოლოგია, ფორმულა ან საშუალებები მნიშვნელოვნად შეიცვალა;

(ბ) ამოქმედდა კანონი ან დებულება, რომელიც კრძალავს განაკვეთის გამოყენებას, ეჭვის თავიდან აცილების მიზნით იგი ზუსტდება, რომ ეს მოვლენა არ წარმოადგენს სავალდებულო წინასწარი გადახდის შემთხვევას;

(გ) განაკვეთის ადმინისტრატორი ან მისი ზედამხედველი საჯაროდ აცხადებს რომ:

(i) მან შეწყვიტა ან შეწყვეტს განაკვეთის წარმოდგენას მუდმივად ან განუსაზღვრელი ვადით, და იმ დროს არცერთი მემკვიდრე ადმინისტრატორი არ დასახელებულა საჯაროდ, რომ გაეგრძელებინა ამ განაკვეთის წარმოდგენა

(ii) რომ განაკვეთის გამოქვეყნება შეწყდა ან შეწყდება მუდმივად ან განუსაზღვრელი ვადით;

(iii) განაკვეთი აღარ გამოიყენება (ახლა ან მომავალში);

(დ) გაკეთებულია საჯარო განცხადება ამ განაკვეთის ადმინისტრატორის გაკოტრების შესახებ ან მის მიმართ რაიმე გადახდისუუნარობის შესახებ, და ამ დროს, არცერთი მემკვიდრე ადმინისტრატორი არ დასახელებულა საჯაროდ, რომ გაეგრძელებინა ამ განაკვეთის წარმოდგენა; ან

(ე) გამსესხებლის აზრით, განაკვეთის გამოყენება შეწყვეტილია რიგ ფინანსურ ტრანზაქციებში.

"ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი" ნიშნავს EURIBOR-ს, ან ამ განაკვეთის შემცვლელი ნიშნულით ჩანაცვლებას, შემცვლელ ნიშნულს.

"ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების თარიღი" ნიშნავს:

- განაკვეთის ჩანაცვლების შემთხვევის ზემოაღნიშნული განმარტების ა), დ) და ე) ქვეპუნქტებში მითითებული შემთხვევების გათვალისწინებით, თარიღს როცა გამსესხებელს აქვს ინფორმაცია მსგავსი შემთხვევის შესახებ, და
- განაკვეთის ჩანაცვლების შემთხვევის ზემოაღნიშნული განმარტების ბ) და გ) ქვეპუნქტებში მითითებული შემთხვევების გათვალისწინებით, თარიღი რომლის შემდეგაც აკრძალულია განაკვეთის გამოყენება ან თარიღი, როცა განაკვეთის ადმინისტრატორი მუდმივად ან განუსაზღვრელი ვადით შეწყვეტს განაკვეთის წარმოდგენას ან თარიღი რომლის შემდეგაც განაკვეთი აღარ გამოიყენება.

8.2.2 თითოეული მხარე ცნობს და ეთანხმება მეორე მხარის სასარგებლოდ, რომ თუკი ადგილი ექნება განაკვეთის ჩანაცვლებას და ამ შეთანხმების ეკონომიკური ბალანსის შესანარჩუნებლად, გამსესხებელს შეუძლია შეცვალოს განაკვეთის მაჩვენებელი სხვა განაკვეთით ("ჩანაცვლების მაჩვენებელი") რომელიც შეიძლება შეიცავდეს რეგულირების მარჟას, რათა თავიდან იქნას აცილებული მხარეებს შორის ეკონომიკური ღირებულების გადაცემა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ("რეგულირების მარჟა") და გამსესხებელი განსაზღვრავს თარიღს, თუ როდიდან

შეცვლის ჩანაცვლების მაჩვენებელს და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რეგულირების მარჯა ჩაანაცვლებს განაკვეთს და შეთანხმებაში სხვა ცვლილებებს, რომლებიც საჭიროა განაკვეთის ცვლილებით ჩანაცვლების მაჩვენებელით.

8.2.3 ჩანაცვლების მაჩვენებელის განსაზღვრა და საჭირო ცვლილებები გაკეთდება კეთილსინდისიერად და (i) ნებისმიერი შესაბამისი წარმდგენი ორგანოს რეკომენდაციების, ან (ii) განაკვეთის ადმინისტრატორის რეკომენდაციების, ან (iii) საბანკო სექტორში პროფესიონალი ასოციაციების მიერ რეკომენდებული ინდუსტრიული გადაწყვეტილების ან, (iv) ჩანაცვლების თარიღში რიგ დაფინანსების ტრანზაქციებში არსებული საბანკო პრაქტიკის გათვალისწინებით.

8.2.4 განაკვეთის შეცვლის შემთხვევაში, გამსესხებელი დაუყოვნებლივ აცნობებს მსესხებელს შეცვლის წესებისა და პირობების შესახებ, რომ შეცვალოს განაკვეთი განაკვეთის ჩანაცვლების მაჩვენებლით, რომელიც იმოქმედებს საპროცენტო განაკვეთის პერიოდებისთვის, რომელიც იწყება განაკვეთის ჩანაცვლების თარიღიდან მინიმუმ ორი სამუშაო დღის შემდეგ.

8.2.5 8.2 მუხლის (განაკვეთის ჩანაცვლება) დებულებები უპირატესია 8.1 მუხლის დებულებებზე (ბაზრის მოშლა).

9. გადასახდელები თითოეული რესურსისთვის

9.1 <u>ვალდებულების გადასახდელი თითოეული რესურსისთვის</u>

რესურსის დადასტურების ხელმოწერის თარიღიდან შემდგომ, მსესხებელი უხდის გამსესხებელს ვალდებულების გადასახდელს წელიწადში 0.5%-ს.

ვალდებულების გადასახდელი გამოითვლება ზემოთ განსაზღვრული განაკვეთით ხელმისაწვდომი კრედიტის თანხის ოდენობაზე იმ გასული დღეების ფაქტიური რაოდენობისთვის, რომელიც გაზრდილია ჩამოსარიცხი თანხის რაოდენობით, რათა გამსესხებლის მიერ ხელმისაწვდომი გახდეს ნებისმიერი დაგვიანებული ჩამორიცხვის მოთხოვნის შესაბამისად.

პირველი ვალდებულების გადასახადი გამოიანგარიშება პერიოდისთვის (i) ხელმოწერის თარიღიდან (გამოკლებით) (ii) მომდევნო დაუყოვნებლივ გადახდის დღემდე (მოიცავს). შემდგომი ვალდებულების გადასახადი გამოიანგარიშება პერიოდისთვის დაწყებული იმ დღიდან, რომელიც დაუყოვნებლივ მოყვება გადახდის დღეს (მოიცავს) და სრულდება მომდევნო გადახდის დღეს (მოიცავს).

დარიცხული ვალდებულების გადასახადი გადაიხდება (i) ყოველ გადახდის დღეს ხელმისაწვდომი პერიოდის ფარგლებში; (ii) გადახდის დღეს- ჩამორიცხვის პერიოდის ბოლო დღის მომდევნო დღეს; (iii) იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომი კრედიტი სრულად შეჩერებულია, გადახდის დღეს, რომელიც მოსდევს ასეთი გაუქმების ეფექტურ დღეს და (iv) იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომი კრედიტი სრულად გაუქმებულია, ასეთი გაუქმების ეფექტურ დღეს.

9.2 <u>შეფასების გადასახდელი</u>

ჩამორიცხვამდე, დადასტურების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა მსესხებელი გადაუხდის გამსესხებელს შეფასების გადასახდელს 0.5%-ს დათვლილს რესურსის მაქსიმალურ ოდენობაზე.

10. რესურსების გადახდა

საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდეგ, მსესხებელი გადაუხდის გამსესხებელს თითოეული რესურსის ძირითად თანხას რამდენიმე შენატანით, როგორც მოცემულია რესურსის დამტკიცებაში და შენატანები გადაიხდება ყოველი გადახდის თარიღში.

ჩამორიცხვის პერიოდის ბოლოს, გამსესხებელი მიაწვდის მსესხებელს თითოეულ რესურსთან დაკავშირებულ ამორტიზაციის გრაფიკს, თუ მისაღებია, ჩარჩო შეთანხმების 11.3-ის (მსესხებლის მიერ გაუქმება) და ჩარჩო შეთანხმების 11.4 მუხლების მიხედვით (გამსესხებლის მიერ გაუქმება) გადახდის ნებისმიერი პოტენციური გაუქმების გათვალისწინებით.

11. წინასწარი გადახდა და რესურსების გაუქმება

11.1 <u>ნებაყოფლობითი წინასწარი გადახდა</u>

მსესხებელს უფლება არ ექნება წინასწარ გადაიხადოს რესურსის მთლიანი ან ნაწილობრივი თანხა ათ (10) წლიანი პერიოდის ვადის გასვლამდე დაწყებული რესურსის დადასტურების ხელმოწერის დღიდან.

რაც შეეხება წინა ქვეპუნქტში მითითებულ თარიღს, მსესხებელმა შესაძლოა წინასწარ გადაიხადოს რესურსის მთლიანი ან ნაწილობრივი თანხა, შემდეგი პირობებებით:

ა) მსესხებელმა უნდა აცნობოს გამსესხებელს მისი განზრახვის შესახებ წინასწარ გადახდაზე წერილობით და საბოლოო შეტყობინებით არანაკლებ ოცდაათი (30) სამუშაო დღისა, სავარაუდო მოფიქრებულ წინასწარი გადახდის თარიღამდე;

ბ) თანხა წინასწარ გადაიხდება ერთი ან რამდენიმე გადახდ(ებ)ით ძირითად თანხად;

გ) წინასწარ მოფიქრებული გადახდის თარიღი იქნება გადახდის თარიღი;

დ) ყველა წინასწარი გადახდა განხორციელდება ერთობლივად, დარიცხული პროცენტის, ნებისმიერი გადასახდელის, გარანტიის და წინასწარი გადახდის თანხასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდასთან ერთად, როგორც ეს მოცემულია ფინანსურ დოკუმენტებში;

ე) არ არსებობს თანხის გადაუხდელი ნაშთი; და

ვ) წინასწარ ნაწილობრივი გადახდის შემთხვევაში, მსესხებელი მიაწვდის გამსესხებლისთვის დამაკმაყოფილებელ მტკიცებულებას, რომ მას აქვს საკმარისი ხელმისაწვდომი რესურსი შესაბამისი პროგრამის ტრანშის დასაფინანსების მიზნით, როგორც ეს განსაზღვრულია ფინანსური გეგმით.

გადახდის დღეს, რომლის დროსაც წინასწარი გადახდა სრულდება, მსესხებელი გადაიხდის წინასწარი გადახდის ანაზღაურების მთლიან ოდენობას, რომელიც გადაიხდება ჩარჩო შეთანხმების 12.3 მუხლის მიხედვით (წინასწარი გადახდის ანაზღაურება).

11.2 <u>სავალდებულო წინასწარი გადახდა</u>

მსესხებელმა დაუყოვნებლივ წინასწარ უნდა გადაიხადოს რესურსის მთლიანი ან ნაწილობრივი ოდენობა გამსესხებლისგან შეტყობინების მიღებისთანავე, რომელიც აცნობებს მსესხებელს ნებისმიერ შემდეგ ღონისძიებას:

ა) <u>უკანონობა:</u> გამსესხებლისთვის უკანონო ხდება შესაბამისი კანონის მიხედვით, რომ შეასრულოს ვალდებულებები ისე, როგორც შეთანხმებულია წინამდებარე შეთანხმებით, დააფინანსოს ან შეინახოს რესურსი.

ბ) <u>დამატებითი ხარჯი</u>: ნებისმიერი დამატებითი ხარჯის მოცულობა, რომელიც მითითებულია მუხლში 12.5 (დამატებითი ხარჯები), არის აუცილებელი და მსესხებელი უარს ამბობს, გადაიხადოს ასეთი დამატებითი ხარჯები.

გ) <u>ვალდებულებების შეუსრულებლობა</u>: გამსესხებელი აცხადებს ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევას მუხლი 16-ის მიხედვით (ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევა);

დ) <u>წინასწარი გადახდა თანადამფინანსებლისთვის</u>: თუ მსესხებელი წინასწარ იხდის თანადამფინანსებლისთვის გადასახდელ მთლიან თანხას ან მის ნაწილს, გამსესხებელს უფლება აქვს, მსესხებელს მოსთხოვოს წინასწარი გადახდა რესურსებისა ან გადასახდელი რესურსების თანხა თანადამფინანსებლისთვის წინასწარ გადახდილი თანხის პროპორციულად.

ე) <u>ჩარჩო შეთანხმებით გაცემული სხვა რესურსების წინასწარი გადახდა</u>: თუ მსესხებელი წინასწარ იხდის გამსესხებლის მიერ გადაცემული სხვა რესურსის დასაფარად მთლიან თანხას ან მის ნაწილს, გამსესხებელს უფლება აქვს, მსესხებელს მოსთხოვოს დასაფარი რესურსების წინასწარი გადახდა მის მიერ გადახდილი წინასწარი თანხის პროპორციულად.

ზემოთ მოხსენიებულ (ა), (ბ), (გ) ქვეპუნქტებში განსაზღვრული ნებისმიერი შემთხვევის არსებობისას გამსესხებელი იტოვებს უფლებას, მსესხებლისთვის წერილობითი შეტყობინების გაკეთების შემდეგ გამოიყენოს მისი კრედიტორული უფლებები 16.2 მუხლის (აქსელერაცია) (ბ) ქვეპუნქტში განსაზღვრული ფორმით.

11.3 <u>რესურსის გაუქმება მსესხებლის მიერ</u>

თანხის ჩარმორიცხვის ვადის გასვლამდე მსესხებელს შეუძლია გააუქმოს მთლიანი ან ნაწილობრივი ხელმისაწვდომი კრედიტი გამსესხებლისთვის სამი (3) სამუშაო დღით ადრე შეტყობინების გაგზავნით.

გაუქმების ასეთი შეტყობინების მიღებისთანავე გამსესხებელმა უნდა გააუქმოს თანხის რაოდენობა, რომელიც აცნობა მსესხებელმა.

11.4 <u>რესურსის გაუქმება გამსესხებლის მიერ</u>

ხელმისაწვდომი კრედიტი დაუყოვნებლივ იქნება გაუქმებული მსესხებლისთვის შეტყობინების მისვლის შემდეგ, რომელიც იქნება დაუყოვნებლივ ეფექტური, თუ:

ა) ხელმისაწვდომი კრედიტი არ არის ნულის ტოლი ჩამორიცხვის თარიღისთვის;

ბ) პირველი ჩამორიცხვა არ მომხდარა თოთხმეტ (14) თვიანი ვადის პერიოდში რესურსის დამტკიცებიდან გამსესხებლის კომპეტენტური ორგანოს მიერ, როგორც ეს ნახსენებია რესურსის დადასტურების პუნქტ 2-ში ;

გ) ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევა დადგა და გრძელდება; ან

დ) მოხდა ჩარჩო შეთანხმების 11.2 მუხლში (სავალდებულო წინასწარი გადახდა) აღწერილი შემთხვევა;

გარდა 11.4 მუხლის (გაუქმება გამსესხებლის მიერ) (ა) და (ბ) ქვეპუნქტის შემთხვევაში, გამსესხებელმა შესთავაზა გადაწიოს ჩამორიცხვის ვადა ან პირველი ჩამორიცხვისთვის ახალი

ფინანსური პირობების საფუძველზე, რომელიც ვრცელდება ყველა ჩამორიცხვაზე ხელმისაწვდომი კრედიტის ფარგლებში და მსესხებელი თანხმდება წინადადებას.

11.5 <u>შეზღუდვები</u>

ა) წინასწარი გადახდის ან გაუქმების ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც მოცემულია მხარის მიერ, მე-11 მუხლის (წინასწარი გადახდა და გაუქმება) მიხედვით იქნება საბოლოო და თუ სხვა რამ არ არის მოცემული მიმდინარე შეთანხმებაში, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება უნდა აზუსტებდეს თარიღს ან თარიღებს, რომელ თარიღებშიც შესაბამისი წინასწარგადახდა ან გაუქმება უნდა იქნეს შესრულებული და ამ წინასწარგადახდის ან გაუქმების თანხას.

ბ) მსესხებელი წინასწარ არ გადაიხდის ან გააუქმებს რესურსის მთლიან ან ნაწილობრივ ოდენობას გარდა იმ დროისა და მეთოდისა, რომელიც მოცემულია ფინანსურ დოკუმენტებში.

გ) ნებისმიერი წინასწარი გადახდა ამ შეთანხმების ფარგლებში მოხდება (i) წინასწარ გადახდილ ოდენობაზე დარიცხული პროცენტის, (ii) ნაშთის გადასახდელის, და (iii) წინასწარი გადახდის ანაზღაურების გადახდასთან ერთად, როგორც განსაზღვრულია მუხლში 12.3 (წინასწარი გადახდის ანაზღაურება).

დ) ნებისმიერი წინასწარი გადახდის ოდენობა გამოიყენება დარჩენილი შენატანის დაფარვის ვადის შებრუნებული თანმიმდევრობით.

ე) მსესხებელს არ შეუძლია ხელმეორედ ისესხოს სრული ან ნაწილობრივი რესურსი, რომელიც იყო წინასწარ გადახდილი ან გაუქმებული.

12. გადახდის დამატებითი ვალდებულებები

12.1 <u>ღირებულება და ხარჯები</u>

12.1.1 თუ მოითხოვება ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება ფინანსურ დოკუმენტებში, მხარეები შევლენ კონსულტაციაში ათი (10) სამუშაო დღის განმავლობაში, იმისთვის რომ შეფასდეს შესაბამისი ხარჯები (მათ შორის იურიდიულ ხარჯები), რომელიც გონივრულად გაწეულია შეფასების, მოლაპარაკებისა და მოთხოვნების შესრულების შესაბამისად და რომელიც შეიძლება დაეკისროს მსესხებელს.

12.1.2 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს ღირებულებასა და ხარჯებს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია მიმდინარე შეთანმების მე-20.2 მუხლის არბიტრაჟით.

12.2 <u>გაუქმების ანაზღაურება</u>

თუ რესურსი გაუქმდა მთლიანად ან ნაწილობრივ ჩარჩო შეთანხმების მუხლი 11.3-ის პირობების შესაბამისად (გაუქმება მსესხებლის მიერ) და/ან მუხლი 11.4-ის ქვეპუნქტი ა, ბ და გ-ს მიხედვით (გაუქმება გამსესხებლის მიერ) მსესხებელი გადაიხდის გაუქმების ანაზღაურებას, დათვლილს ორ მთელ ხუთ პროცენტს (2.5%) რესურსის გაუქმებულ ოდენობაზე.

გაუქმების ნებისმიერი ანაზღაურება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გადახდილი გადახდის დღეს, რესურსის მთლიანი ან ნაწილობრივი გაუქმების შემდგომ.

12.3 <u>წინასწარი გადახდის ანაზღაურება</u>

გამსესხებლის ანგარიშზე ნებისმიერი ხარჯის არსებობის შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია რესურსის მთლიანი ან ნაწილობრივი წინასწარი გადახდით 11.1-ის (ნებაყოფლობითი წინასწარი გადახდა) ან 11.2 მუხლების მიხედვით (იძულებითი წინასწარი გადახდა), მსესხებელი აუნაზღაურებს გამსესხებელს. ზარალის ანაზღაურება ტოლი იქნება შემდეგი აგრეგირებული ოდენობისა:

- წინასწარ გადახდის კომპენსატორული ანაზღაურებისა; და
- ნებისმიერი ხარჯის, რომელიც წარმოიშვება ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთის ჰეჯირების სვოპ ტრანზაქციების შეწყვეტით გამსესხებლისთვის წინასწარ გადახდილ თანხებთან დაკავშირებით.

12.4 <u>გადასახადები და მოვალეობები</u>

12.4.1 <u>რეგისტრაციის ხარჯები</u>

მსესხებელი გადაიხდის პირდაპირ, ან საჭიროების შემთხვევაში, აუნაზღაურებს გამსესხებელს მის მიერ გაცემულ ავანსს, ყველა საგერბო მოსაკრებლის ხარჯს, რეგისტრაციისა და სხვა მსგავს გადასახადებს ფინანსური დოკუმენტების მიხედვით და ნებისმიერი პოტენციური ცვლილების ხარჯს.

12.4.2 <u>საშემოსავლო გადასახადი</u>

მსესხებელი თავის თავზე იღებს, რომ წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული ყველა გადახდა იქნება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებული.

თუ კანონით მოითხოვება საშემოსავლო გადასახადის გადახდა, მსესხებელი იღებს ვალდებულებას დაამატოს ნებისმიერი ასეთი გადახდა, იმ თანხას, რომელსაც გამსესხებელი ტოვებს ამ გადახდის თანაბრად, რომელიც გადასახდელი იქნებოდა, თუ საშემოსავლო გადასახადის გადახდა არ იქნებოდა მოთხოვნილი.

მსესხებელი აუნაზღაურებს გამსესხებელს ყველა ხარჯს და/ან გადასახადს მსესხებლის ანგარიშისთვის, რომელიც გადახდილია გამსესხებლის მიერ (თუ შესაძლებელია) გარდა საფრანგეთში ნებისმიერი სავალდებულო გადასახადებისა.

12.5 <u>დამატებითი ხარჯები</u>

ამ მუხლში „დამატებითი ხარჯები" ნიშნავს:

(i) ნებისმიერი ხარჯი, რომელიც წარმოიშვება ხელმოწერის თარიღის შემდეგ ამ მუხლში განსაზღვრული ერთ-ერთი ღონისძიებიდან და გამსესხებლის მიერ არ იქნება გათვალისწინებული რესურსის ფინანსური პირობების გაანგარიშებისას; ან
(ii) ნებისმიერი ფინანსური დოკუმენტის მიხედვით ვადადამდგარი და გადასახდელი თანხის ნებისმიერი შემცირება,

რომელიც არის გამსესხებლის დანაკარგი, როგორც შედეგი i) გახადოს რესურსი ხელმისაწვდომი მსესხებლისთვის ან ii) შეასრულოს თავისი ვალდებულება შეთანხმებიდან გამომდინარე.

თუ გამსესხებელს ეკისრება ნებისმიერ დამატებითი ხარჯი: i) ნებისმიერი ახალი კანონის ან რეგულაციის ძალაში შესვლის, ან ნებისმიერი ცვლილების გამო ინტერპრეტაციაში ან ნებისმიერი არსებული კანონისა და რეგულაციის აპლიკაციაში; ან ii) ხელმოწერის თარიღის შემდეგ ნებისმიერი კანონის ან რეგულაციის შესაბამისობისთვის და აპირებს, მსესხებლისთვის ამ

ხარჯების გადახდის მოთხოვნას, გამსესხებელმა უნდა აცნობოს ასეთი მოთხოვნა მსესხებელს („გამსესხებლის შეტყობინება“).

გამსესხებლის შეტყობინების შემდეგ, მსესხებელი და გამსესხებელი შევლენ კონსულტაციაში ათი (10) სამუშაო დღის განმავლობაში იმისთვის, რომ დაიანგარიშონ შესაბამისი დამატებითი ხარჯები და მიიღონ გადაწყვეტილება გადასახდელზე, რომელიც მისაღები იქნება ორივე მხარისთვის. თუ მოითხოვს მსესხებელი, გამსესხებელი მიაწვდის მსესხებელს განმარტებით დოკუმენტს, რომელიც დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან, როგორც ობიექტი გამსესხებლის შეტყობინების. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას კონსულტაციის პერიოდში, მსესხებელი შეატყობინებს გამსესხებელს მის უარს დამატებითი ხარჯების გადახდაზე ოცი (20) სამუშაო დღის განმავლობაში გამსესხებლის შეტყობინების მიღებიდან.

12.6 <u>ვალუტის ანაზღაურება</u>

თუ წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში მსესხებლის მიერ გადასახდელია ნებისმიერი თანხა, ან ნებისმიერი დავალება, სასამართლოს გადაწყვეტილება ან განაჩენი გამოტანილია და აღსრულებულია ამ თანხასთან დაკავშირებით, აღნიშნული თანხა უნდა იყოს დაკონვერტირებული სხვა ვალუტაში იმ ვალუტიდან, რომელშიც გადასახდელია ეს თანხა, შემდეგი მიზნისთვის:

i) მსესხებლის წინააღმდეგ საჩივრის ან მტკიცების მიღების ან შეტანისთვის; ან

ii) ნებისმიერი სამართალწარმოებისა ან საარბიტრაჟო პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი დავალების, განაჩენის ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისთვის

გამსესხებლის მოთხოვნიდან სამი (3) სამუშაო დღის განმავლობაში და როგორც კანონით ნებადართულია, მსესხებელმა უნდა აუნაზღაუროს გამსესხებელს ნებისმიერი ხარჯი, დანაკარგი ან ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება კონვერსიის შედეგად, მათ შორის ნებისმიერი სხვაობა სავალუტო კურსთა შორის: ა) სავალუტო კურსი რომელიც გამოყენებულია შესაბამისი თანხის დასაკონვერტირებლად პირველი ვალუტიდან მეორე ვალუტაში; და ბ) სავალუტო კურსი ან გამსესხებლისთვის ხელმისაწვდომი კურს(ებ)ი თანხის მიღებისას. მსესხებლის ეს ვალდებულება დააზღვიოს გამსესხებელი არის დამოუკიდებელი მსესხებლის სხვა ვალდებულებებისგან აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში.

მსესხებელი უარს ამბობს თავის უფლებაზე გადაიხადოს ნებისმიერი თანხა, რომლის უფლებაც შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი იურისდიქციის ფარგლებში აღნიშნული შეთანხმებიდან გამომდინარე, იმ ვალუტაში ან ვალუტის ერთეულში, რომელშიც გადასახდელია თანხა.

12.7 <u>ვადები</u>

მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის ნებისმიერი გადასახდელი გარანტია ან ანაზღაურება მე-12 მუხლის ფარგლებში (გადახდის დამატებითი ვალდებულებები) არის ვადადამდგარი და გადასახდელი გადახდის თარიღში დაუყოვნებლივ იმ გარემოებების შემდეგ, რამაც წარმოშვა შესაბამისი უზრუნველყოფა ან ანაზღაურება.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ნებისმიერი უზრუნველყოფა, რომელიც გადასახდელია 12.3 მუხლით (წინასწარი გადახდის ანაზღაურება) გათვალისწინებულ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებით, ვადადამდგარი და გადასახდელია შესაბამისი წინასწარგადახდის თარიღში.

13. **წარმომადგენლობები და გარანტიები ჩარჩო შეთანხმებისა და თითოეული რესურსის ფარგლებში**

ამ მუხლის ყველა წარმომადგენლობა და გარანტია (წარმომადგენლობები და გარანტიები) გაკეთებული არის მსესხებლის მიერ სესხის გამცემის სასარგებლოდ ძალაში შესვლის თარიღისა და ხელმოწერის დღეს.

ამ მუხლის ყველა წარმომადგენლობები და გარანტიები ასევე ითვლება, რომ გაკეთებული არის მსესხებელს მიერ იმ დღეს როცა განრიგი 3-ის (წინასწარი პირობები) ნაწილი III-ით განსაზღვრული პირობები არის შესრულებული, ყოველი ჩამორიცხვის მოთხოვნის დღეს, ყოველი ჩამორიცხვის დღეს და ყოველი გადახდის დღეს, გარდა განმეორებითი წარმომადგენლობებისა, რომელიც განსაზღვრულია მუხლი 13.9-ში (არა არასწორი ინფორმაცია) და ითვლება, რომ არის წარსადგენი მსესხებლის მიერ იმ დღის შემდეგ, როცა წარმომადგენლობები ბოლოს იქნა მიწოდებული.

13.1 <u>ძალაუფლება და უფლებამოსილება</u>

მსესხებელი უფლებამოსილია გააფორმოს, შეასრულოს და მიაწოდოს ფინანსური დოკუმენტები და პროგრამის დოკუმენტები და შეასრულოს ყველა განსაზღვრული ვალდებულება. მსესხებელმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა ფინანსური დოკუმენტებისა და პროგრამის დოკუმენტების ძალაში შესვლის, შესრულებისა და მიწოდების უფლებამოსილებისთვის და ტრანზაციებისთვის, რაც გათვალისწინებულია ფინანსური დოკუმენტებითა და პროგრამული დოკუმენტებით.

13.2 <u>სანდოობა და დაშვებადობა მტკიცებულებებში</u>

ყველა უფლებამოსილება საჭიროა:

ა) რათა მიეცეს საშუალება მსესხებელს კანონიერად შევიდეს და განახორციელოს წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული მისი უფლებები და შეასრულოს ვალდებულებები; და

ბ) რათა, გახადოს წინამდებარე შეთანხმება ხელმისაწვდომი მსესხებლის იურისდიქციის სასამართლოსათვის ან არბირტაჟის პროცესისათვის, როგორც ეს განსაზღვრულია მუხლი 20-ით (მარეგულირებელი კანონი, აღსრულება და დომიცილის არჩევანი),

მოპოვებულია და ძალაშია, და არ არსებობს ისეთი ვითარება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ასეთი უფლებამოსილების გაუქმება, არ-განახლება ან მოდიფიკაცია, მთლიანად ან ნაწილობრივ.

13.3 <u>სავალდებულო ვალდებულებები</u>

მსესხებლის მიერ ფინანსური დოკუმენტებით და პროგრამის დოკუმენტებით აღებული ვალდებულებები, შეესაბამება მსესხებლის იურისდიქციაში არსებულ ყველა კანონსა და რეგულაციას და არის კანონიერი, მოქმედი, სავალდებულო და აღსრულებადი, რომელიც მოქმედებს მათი წერილობითი პირობების შესაბამისად.

13.4 <u>რეგისტრაციის ან საგერბო გადასახადების არ არსებობა</u>

მსესხებლის იურისდიქციის განმსაზღვრელი კანონების შესაბამისად, სავალდებულო არ არის ფინანსური დოკუმენტები იყოს წარდგენილი, ჩაწერილი ან რეგისტრაციაში გატარებული ნებისმიერ სასამართლოში ან სხვა უფლებამოსილ ორგანოში (გარდა საქართველოს სახელმწიფო სესხის რეესტრში) ან გერბის გამოყენების, რეგისტრაციის ან სხვა მსგავსი მოსაკრებელი, ფინანსურ დოკუმენტებთან ან ამ დოკუმენტებში განხილული ტრანზაქციებთან დაკავშირებული

გადასახადები იქნეს გადახდილი.

13.5 <u>თანხების გადაცემა</u>

ფინანსური დოკუმენტებიდან გამომდინარე, მსესხებლის მიერ გამსესხებლისთის გადასახდელი თანხები, იქნება ეს სესხის ძირითადი თანხა თუ პროცენტი, გვიან გადახდისთვის დარიცხული პროცენტი, გაუქმების ანაზღაურება, წინასწარ გადახდისთვის დარიცხული კომპენსაცია, გაუთვალისწინებელი ხარჯები თუ ნებისმიერი სხვა თანხა, არის თავისუფლად კონვერტირებადი და გადაცემადი საფრანგეთში ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.

აღნიშნული წარმომადგენლობები რჩება სრულ ძალაში და მოქმედებს სესხის გამცემისათვის გადასახდელი თანხის სრულად დაბრუნებამდე. იმ შემთხვევაში თუ თანხის უკან დაბრუნების ვადები გახანგრძლივებულია სესხის გამცემის მიერ, სხვა დამატებითი დადასტურება აღნიშნულ წარმომადგენლობასთან დაკავშირებით არ იქნება საჭირო.

მსესხებელი მოიპოვებს საჭირო რაოდენობის ევროს მისი ვალდებულებების შესაბამისად შესრულებისთვის.

13.6 <u>სხვა ვალდებულებებთან წინააღმდეგობის არ არსებობა</u>

მსესხებლის მიერ ფინანსურ და პროგრამის დოკუმენტებში შესვლა და მათი განხორციელება, და ამ დოკუმენტებით გათვალისწინებული ტრანზაქციები არ არის წინააღმდეგობაში შესაბამის ნებისმიერ ადგილობრივ ან საერთაშორისო კანონთან ან რეგულაციასთან, მის კონსტიტუციასთან (ან ნებისმიერ მსგავს დოკუმენტთან) ან ნებისმიერ შეთანხმებასთან ან ინსტრუმენტთან, რომელიც მსესხებლისათვის სავალდებულოა ან ზემოქმედებს მის ნებისმიერ აქტივებზე.

13.7 <u>მარეგულირებელი კანონმდებლობა და აღსრულება</u>

ა) საფრანგეთის კანონმდებლობის არჩევა ფინანსური დოკუმენტების მარეგულირებელ კანონად აღიარებული და აღსრულებული იქნება მსესხებლის იურისდიქციაში მყოფი სასამართლოებისა და საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ.

ბ) საფრანგეთის სასამართლოში ფინანსურ დოკუმენტებთან დაკავშრებით მიღებული განაჩენი ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის ნებისმიერი გადაწყვეტილება აღიარებული და აღსრულებული იქნება მსესხებლის იურისდიქციაში.

13.8 <u>არა გადახდისუუნარობის შემთხვევა</u>

არანაირი გადახდისუუნარობის შემთხვევა არ მიმდინარეობს ან შესაძლოა, მოხდეს.

მსესხებლის მიერ არ მიმდინარეობს არავითარი დარღვევა რაიმე სხვა შეთანხმებასთან დაკავშირებით, რომელიც მისთვის სავალდებულოა და მის აქტივებზე ახდენს გავლენას ან გონივრულად სავარაუდოა, რომ არახელსაყრელი მატერიალური ეფექტი ექნება.

13.9 <u>არა დამაბნეველი ინფორმაცია</u>

მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი იყო ნამდვილი, ზუსტი და განახლებული იმ თარიღისთვის, როდესაც ისინი იქნა მიწოდებული, ან იმ თარიღისთვის, როდესაც ისინი უნდა იქნეს მიწოდებული და არ მომხდარა მათი ცვლილება, გაუქმება, წაშლა ან განახლება, და არ არის დამაბნეველი მატერიალური თვალსაზრისით, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს გამოტოვების, ახალი გარემოებების არსებობის ან ნებისმიერი ინფორმაციის გამოვლენის ან არგამოვლენის შედეგად.

13.10 <u>პროგრამის დოკუმენტები</u>

პროგრამის დოკუმენტები წარმოადგენს პროგრამასთან დაკავშირებულ მთლიან ხელშეკრულებას. პროგრამის დოკუმენტები არ შეცვლილა, შეწყვეტილა ან დროებით შეჩერებულა თანადამფინანსებლის წინასწარი თანხმობის გარეშე იმ დღიდან, როცა ეს დოკუმენტები შეთანხმებულ იქნა თანადამფინანსებელთან.

13.11 <u>თანასწორობა</u>

ფინანსური დოკუმენტების მიხედვით, გამსესხებლის მოთხოვნები იქნება სულ მცირე თანასწორი მსესხებლის სხვა არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული კრედიტორების მოთხოვნებთან.

13.12 <u>ფულადი სახსრების წყარო, კორუფციის არსებობა, თაღლითობა ან მონოპოლისტური პრაქტიკა</u>

მსესხებელი აცხადებს და იღებს ვალდებულებას, რომ:

i) პროექტის განხორციელებისათვის გამოყენებული სახსრები, გარდა სახელმწიფოს მიერ მოწოდებულისა, არ არის არაკანონიერი წარმომავლობის;

ii) პროგრამას არ გამოუწვევია კორუფციის აქტი, გაყალბება ან ანტიკონკურენტული პრაქტიკა.

13.13 <u>არამატერიალური უარყოფითი ეფექტი</u>

მსესხებელი წარმოადგენს და იძლევა გარანტიას, რომ არ ჰქონია ადგილი ან არ მოხდება ისეთი შემთხვევა ან მოვლენა, რომელსაც აქვს არსებითად უარყოფითი ეფექტი.

14. ჩარჩო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები

მე-14 მუხლით (ჩარჩო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები) გათვალისწინებული ვალდებულებები ეფექტური ხდება ძალაში შევლის თარიღიდან და სრულ ძალაში რჩება მანამ, სანამ ფინანსური დოკუმენტების მიხედვით გადაუხდელია ნებისმიერი თანხა.

14.1 <u>კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობა</u>

მსესხებელი უნდა დაემორჩილოს:

ა) ყველა კანონსა და რეგულაციას, რომელთაც ის და/ან პროგრამა ექვემდებარება, განსაკუთრებით თუ ის უკავშირდება გარემოს დაცვას, უსაფრთხოებას და შრომის კანონმდებლობას; და

ბ) შეთანხმებით გათვალისწინებულ მის ყველა ვალდებულებას.

14.2 <u>უფლებამოსილებები</u>

მსესხებელმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს, შეასრულოს და გააკეთოს ყველაფერი, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ სრულად შეინარჩუნოს და განახორციელოს კანონით ან რეგულაციებით მოთხოვნილი უფლებამოსილებები, რათა შეასრულოს ფინანსური და პროგრამის დოკუმენტებით განსაზღვრული მისი ვალდებულებები და უზრუნველყოს ამ დოკუმენტების ნებისმიერი მტკიცებულების კანონიერება, სინამდვილე, განხორციელებადობა და დაშვებულობა.

14.3 <u>პროგრამის დოკუმენტები</u>

მსესხებელმა გამსესხებლეს უნდა მიაწოდოს პროგრამის დოკუმენტებში ნებისმიერი ცვლილების ასლი, რომელიც დაკავშრებულია 1-ელ განრიგში (პროგრამის აღწერა) აღწერილ DLR-ებთან და არ

უნდა (და არ უნდა დათანხმდეს) შეიტანოს რაიმე არსებითი ცვლილება პროგრამის დოკუმენტში თანადამფინანსებლის წინასწარი თანხმობის გარეშე.

14.4 <u>პროგრამის განხორციელება და შენარჩუნება</u>

მსესხებელმა უნდა:

(i) განახორციელოს ეს პროგრამა საყოველთაოდ შეთანხმებული უსაფრთხოების პრინციპებისა და მოქმედი ტექნიკური სტანდარტების მიხედვით; და

(ii) შეინარჩუნოს პროგრამის აქტივები კარგ საოპერაციო და საექსპლუატაციო მდგომარეობაში ყველა შესაბამისი კანონისა და რეგულაციის მიხედვით, და გამოიყენოს ასეთი აქტივები თავიანთი დანიშნულების მიხედვით ყველა კანონისა და რეგულაციის შესაბამისად.

14.5 <u>გარემოს დაცვა და სოციალური პასუხისმგებლობა</u>

14.5.1 გარემოს დაცვისა და სოციალური ღონისძიებების განხორციელება

მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ აუცილებელია ხელი შეუწყონ საერთაშორისოდ აღიარებული გარემოსდაცვით და შრომის სტანდარტებთან შესაბამისობას, მათ შორის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის („ILO“) ფუნდამენტურ კონვენციებთან და გარემოს დაცვის საერთაშორისო კანონებთან და რეგულაციებთან, რომელიც გამოიყენება მსესხებლის იურისდიქციაში.

ამ მიზნით, მსესხებელი პროგრამის კონტექსტში არსებული ბიზნეს საქმიანობებით უნდა შეესაბამებოდეს საერთაშრისო გარემოსდაცვით სტანდარტებსა და შრომით კანონებს, განსაკუთრებით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის („ILO“) ფუნდამენტურ კონვენციებს და საერთაშრისო გარემოსდაცვით კონვენციებს, საქართველოს კანონმდებლობასა და რეგულაციებთან შესაბამისობით.

14.5.2 გარემოს და სოციალური (ES) საჩივრების მართვა

(ა) მსესხებელი (i) ადასტურებს, რომ მიიღო ES საჩივრის მართვის პროცედურების ასლი და აღიარებს მის პირობებს, განსაკუთრებით იმ ქმედებებს, რომლებიც შესაძლოა განხორციელებული იქნას გამსესხებლის მიერ იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი შეიტანს საჩივარს, და (ii) აღიარებს, რომ ES საჩივრის მართვის პროდეცურებს აქვს, მსესხებელსა და გამსესხებელს შორის, იგივე ვალდებულებითი ეფექტი, როგორც ამ ჩარჩო შეთანხმებას.

(ბ) მსესხებელი პირდაპირ ანიჭებს უფლებას გამსესხებელს, რომ გაუმხილოს ექსპერტებს (როგორც ეს მოცემულია ES საჩივრის მართვის პროცედურებში) და მხარეებს, რომლებიც ჩართულნი არიან შესაბამისობის აუდიტში და/ან დავის გადაწყვეტის პროცედურაში, პროგრამის დოკუმენტები, რომლებიც ეხება გარემოს დაცვის და საზოგადოებრივ საკითხებს, რომლების საჭიროა გარემოს დაცვის და საზოგადოებრივი საჩივრის (როგორც ეს მოცემულია ES საჩივრის მართვის პროცედურებში) დასამუშავებლად, მათ შორის, განრიგ 8-ში ჩამოთვლილი დოკუმენტები (*გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტების ამოუწურავი ჩამონათვალი, რომელთა გამოსამყოვნებლად მსესხებელი ES საჩივრის მართვის პროცედურებთან დაკავშირებით გასცემს ნებართვას*).

14.6 <u>დამატებითი დაფინანსება</u>

მსესხებელმა არ უნდა შეცვალოს რომელიმე საფინანსო გეგმა გამსესხებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე და დააფინანსოს ნებისმიერი დამატებითი ხარჯი, რომელიც არ არის გათვალისწინებული საფინანსო გეგმაში იმ პირობებით, რომლებიც უზრუნველყოფენ რესურს(ებ)ის დაფარვას.

14.7 <u>თანასწორობა</u>

მსესხებელი თავის თავზე იღებს (i) უზრუნველყოს, რომ ფინანსური დოკუმენტებით განსაზღვრული გამსესხებლის მოთხოვნები ყოველთვის იქნება სულ მცირე თანასწორი მსესხებლის სხვა არსებულ და მომავალ არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ გადახდის ვალდებულებებთან; (ii) არ მიანიჭოს უპირატესობა ან მისცეს გარანტია ნებისმიერ სხვა სესხის გამცემს იმ გამონაკლისით რომ იგივე უპირატესობა ან გარანტია არ არის მინიჭებული მსესხებლის მიერ სესხის გამცემის სასარგებლოდ, თუ აღნიშნული მოთხოვნილი იქნება სესხის გამცემის მიერ.

14.8 <u>სამონიტორინგო მისიები და შემოწმებები</u>

მსესხებელი ამით უფლებამოსილებას ანიჭებს სესხის გამცემს და მის წარმომადგენლებს, განახორციელონ სამონიტორინგო მისიები, რომლის მიზანიც არის პროგრამის განხორციელების შეფასება ტექნიკურ, ფინანსურ და ინსტიტუციონალურ ჭრილში.

მსესხებელმა უნდა ითანამშრომლოს და სესხის გამცემსა და მის წარმომადგენლებს აღმოუჩინოს ყველა გონივრული დახმარება და მიაწოდოს ინფორმაცია ასეთი შემოწმებების განხორციელების დროს; დრო და ფორმატი განსაზღვრული იქნება სესხის გამცემის მიერ მსესხებელთან კონსულტაციის შემდეგ. თუ მნიშვნელოვანი პრობლემა წამოიჭრა პროგრამის განხორციელებისას და გამსესხებელი მოითხოვს დამატებით შემოწმებას სტანდარტული მონიტორული მისიების გარდა, გამსესხებელი აცნობებს ასეთ მოთხოვნას მსესხებელს („გამსესხებლის შემოწმების შეტყობინება“)

გამსესხებლის შემოწმების შეტყობინების შემდეგ, გამსესხებელმა უნდა განსაზღვროს დრო და ფორმატი ასეთი შემოწმებისა, რომელიც მოყვება მსესხებელთან კონსულტაციას. ამ საკონსულტაციო პერიოდმა არ უნდა გადააჭარბოს ოც (20) სამუშაო დღეს. მსესხებელმა უნდა ითანამშრომლოს და მიაწოდოს ინფორმაცია გამსესხებელს და მის წარმომადგენლებს, როდესაც დაიწყება ასეთი შემოწმება და აანაზღაუროს გამსესხებლის მიერ გონივრულად გაწეული ყველა ხარჯი, რომელიც წარმოქნილია სესხის გამცემის მიერ წელიწადში მაქსიმუმ ერთხელ აღნიშნული შემოწმების შედეგად.

სესხის გამცემის მიერ ჩატარებული მონიტორინგის მისიებისა და შემოწმებებისთვის მსესხებელმა უნდა შეინახოს და აწარმოოს პროგრამის ხარჯებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ბოლო ჩამორიცხვიდან ათი (10) წლის განმავლობაში.

14.9 <u>პროგრამის შეფასება</u>

მსესხებელი აღიარებს რომ სესხის გამცემი თავად, ან უზრუნველყოფს, რომ მისი სახელით მესამე მხარე განახორციელებს პროგრამის შეფასებას. აღნიშნული შეფასება გამოყენებული იქნება შესრულების ანგარიშის შექმნისათვის, რომელიც მოიცავს პროგრამის ინფორმაციას, როგორიც არის: მთლიანი ღირებულება და განხორციელების პერიოდი, პროგრამის მიზნები, პროგრამის მოსალოდნელი და რეალური შესრულება, მისი შესაბამისობის, ეფექტურობის, გავლენის და სიცოცხლის უნარობის/ მდგრადობის შეფასება, დასკვნები და რეკომენდაციები.

შეფასების მთავარი მიზანი იქნება დამაჯერებელი და დამოუკიდებელი შეფასების ფორმულირება საკვანძო საკითხებზე, რომლებიც ეხება განხორიციელებას (ეფექტიანობა) და შედეგებს (ეფექტურობა, გავლენა და მდგრადობა).

შემფასებლებმა დაბალანსებულად უნდა გაითვალისწინონ სხვადასხვა ლეგიტიმური თვალსაზრისი, რომელიც შეიძლება გამოითქვას და შეფასება მიუკერძოებლად ჩაატარონ.

მსესხებელი მაქსიმალურად მჭიდროდ იქნება ჩართული შეფასებაში, კომპეტენციის ფარგლების შედგენიდან საბოლოო ანგარიშის მიწოდებამდე.

მსესხებელი თანახმაა აღნიშნული ანგარიშის გამოქვეყნებაზე, კერძოდ, სესხის გამცემის ვებ გვერდზე.

14.10 <u>სანქციები- ემბარგო</u>

მსესხებელმა:

(i) უნდა უზრუნველყოს, რომ პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ნებისმიერი პირი, ჯგუფი ან უწყება არ ფიგურირებდეს არცერთ ფინანსური სანქციების სიაში (მათ შორის განსაკუთრებით, ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან მიმართებაში); და

(ii) არ უნდა დააფინანსოს ნებისმიერი მოწოდება ან სექტორი, რომელიც ექვემდებარება ემბარგოს გართიანებული ერების, ევროკავშირის ან საფრანგეთის მიერ.

14.11 <u>თანხების წარმომავლობა, არა კორუფციის აქტი, თაღლითობა ან ანტი კონკურენტული პრაქტიკა</u>

მსესხებელი თავის თავზე იღებს:

i) უზრუნველყოს, რომ პროგრამის განხორციელებისათვის ჩადებული სახსრები, გარდა სახელმწიფოს სახსრებისა, არ იქნება არაკანონიერი წარმომავლობის;

ii) უზრუნველყოს, რომ პროგრამა არ წარმოქმნის რაიმე კორუფციის აქტს, თაღლითობას ან მონოპოლისტურ პრაქტიკას;

iii) როგორც კი მისთვის გახდება ცნობილი, ან დაეჭვდება ნებისმიერ კორუფციის აქტის, თაღლითობის ან ანტი კონკურენტული პრაქტიკის თაობაზე, დაუყოვნებლივ აცნობოს სესხის გამცემს;

iv) ზემო ქვეპუნქტ (iii)-ში აღნიშნული მოვლენის შემთხვევაში, ან სესხის გამცემის თხოვნის საფუძველზე, თუ გამსესხებელი ეჭვობს, რომ ქვეპუნქტ (iii)-ში მითითებული მოქმედებები ან პრაქტიკა მოხდა, განახორციელებს ყველა საჭირო ქმედებას, რათა გამოასწოროს სიტუაცია სესხის გამცემისათვის მისაღები ფორმით და სესხის გამცემის მიერ განსაზღვრულ პერიოდში; და

v) დაუყოვნებლივ შეატყობინოს სესხის გამცემს, თუ მას აქვს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს პროგრამაში ინვესტირებული სახსრების უკანონო წარმოშობას.

14.12 <u>განხორციელების ღონისძიებები</u>

(i) მსესხებელი, განათლების და მეცნიერების სამინისტროსა (MoES) და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (MoILHSA) მეშვეობით, პასუხისმგებელია პროგრამის სრულ განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე და მან პროგრამის განხორციელების განმავლობაში მხარი უნდა დაუჭიროს ყველა ისეთ შესაბამის სუბიექტს ან მათ სააგენტოს და მსესხებლის განყოფილებას, რომლებსაც ეკისრება ტექნიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი, ფიდუციარული და სხვა შესაბამისი პროგრამასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები, შესაძლებლობები, საკადრო უზრუნველყოფა და რესურსები.

(ii) მსესხებლმა უნდა ჩამოაყალიბოს და პროგრამის განხორციელების განმავლობაში შეინარჩუნოს მინისტრთა კომიტეტი („ადამიანური კაპიტალის მმართველი კომიტეტი“ ან „HCSC“) MoES-ს, MoILHSA-ს და სხვა შესაბამისი სამინისტროების და უწყებების წარმომადგენლებით, რომელსაც ხელმძღვანელობს ფინანსთა სამინისტრო (MOF), რათა მოხდეს პროგრამის განხორციელების კოორდინაცია, შესაბამისი პერსონალით და რესურსით პროგრამის ფარგლებში მისი ფუნქციების შესასრულებლად.

(iii) მსესხებლმა უნდა ჩამოაყალიბოს და პროგრამის განხორციელების განმავლობაში შეინარჩუნოს განყოფილება („პროგრამის კოორდინაციის განყოფილება“ ან „PCU“)

პროგრამის განხორციელების კოორდინაციისა და მონიტორინგის მიზნით (განხორციელების, მონიტორინგის და გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების შესახებ ანგარიშის ჩათვლით) MOF-ს, MoES-ს, MoILHSA-ს წარმომადგენლებით, შესაბამისი პერსონალით და რესურსით პროგრამის ფარგლებში მისი ფუნქციების შესასრულებლად.

14.13 <u>DLR-ების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები</u>

მსესხებელმა გამსესხებელს უნდა გაუგზავნოს თანადამფინანსებელთან გაგზავნილი DLR-ების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, რომლებიც აღწერილია 1-ელ განრიგში (პროგრამის აღწერა).

14.14 <u>აუდიტი</u>

მსესხებელი განახორციელებს ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამის 2022-2027 წლების ნაწილის ყოველწლიურ აუდიტს, შესაბამისი ფინანსური ანგარიშების ჩათვლით. ფინანსური ანგარიშების აუდიტმა უნდა მოიცვას მსესხებლის ერთი ფისკალური წელი. შემოწმებული ფინანსური ანგარიშები უნდა წარედგინოს თანადამფინანსებელს ფისკალური წლის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში. მსესხებლის მიერ ასლი უნდა გაიგზავნოს ფოსტით AFD-ის ოფისის დირექტორთან 19.1 მუხლში (წერილობითი კომუნიკაციები და მისამართები) მითითებულ მისამართზე. ეს მუხლი შეიძლება შეიცვალოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი ერთობლივად შეთანხმებული წერილებით.

14.15 <u>ხილვადობა და კომუნიკაცია</u>

მსესხებელმა უნდა განახორციელოს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხილვადობისა და კომუნიკაციის მოქმედებები ხილვადობისა და კომუნიკაციის სახელმძღვანელოს შესაბამისად, და დაადასტუროს, რომ სრულად წაიკითხული და გაცნობიერებული აქვს ზემოხსენებული სახელმძღვანელო.

ხილვადობისა და კომუნიკაციის სახელმძღვანელოს მიხედვით, პროგრამა ექვემდებარება 1-ლი დონის (LEVEL 1) კომუნიკაციისა და ხილვადობის ვალდებულებას.

15. საინფორმაციო ვალდებულებები ჩარჩო შეთანხმებისა და თითოეული რესურსის მიხედვით

მე-15 მუხლით (საინფორმაციო ვალდებულებები) გათვალისწინებული ვალდებულებები ეფექტური ხდება ძალაში შესვლის თარიღიდან და ძალაში რჩება მანამ, სანამ ფინანსური დოკუმენტების მიხედვით გადაუხდელია ნებისმიერი თანხა.

15.1 <u>ფინანსური ინფორმაცია</u>

მსესხებელი მიაწოდებს სესხის გამცემს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც სესხის გამცემმა შესაძლოა გონივრულად მოითხოვოს, მსესხებლის საგარეო და საშინაო სესხთან და ასევე გარანტირებული სესხების სტატუსთან დაკავშირებით.

15.2 <u>პროგრესის ანგარიში</u>

ტექნიკურად დასრულების თარიღამდე მსესხებელმა, თანადამფინანსებლის მეშვეობით, სესხის გამცემს უნდა მიაწოდოს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშრებული ტექნიკური და ფინანსური პროგრესის ანგარიში ორ წელიდადში ერთხელ, თანადამფინანსებლის მიერ განსაზღვრული ფორმატით და შინაარსით. მსესხებელმა პროგრესის ყოველი ანგარიში უნდა წარუდგინოს თანადამფინანსებელს ყოველი კალენდარული კვარტლის დასრულებიდან არა უგვიანეს ორი (2) თვის ვადაში, ანგარიში უნდა ფარავდეს ამ კალენდარულ კვარტალს.

15.3 <u>თანადაფინანსება</u>

მსესხებელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გამსესხებელს თანადამფინანსებლის მიერ ნებისმიერი გაუქმების (მთლიანად ან ნაწილობრივ) ან წინასწარი გადახდის შესახებ.

15.4 <u>ინფორმაცია - სხვადასხვა</u>

მსესხებელმა სესხის გამცემს უნდა მიაწოდოს:

ა) დაუყოვნებლივ, როგორც კი ცნობილი გახდება აღნიშნულის შესახებ, დეტალები ნებისმიერი მოვლენის ან გარემოების შესახებ, რომელიც არის ან შესაძლოა იყოს დეფოლტის მოვლენა, ან რომელსაც აქვს ან შესაძლოა ჰქონდეს მატერიალური გვერდითი ეფექტი, ამ მოვლენის და ყველა ქმედების ბუნება, რომელიც განხორციელდა ან უნდა განხორციელდეს მის აღმოსაფხვრელად. (თუ ასეთი არის);

ბ) დაუყოვნებლივ, ნებისმიერი გადაწყვეტილების ან მოვლენის დეტალები, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პროგრამის ორგანიზებაზე, დასრულებასა ან ოპერირებაზე;

16. ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევები

16.1 <u>ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევები</u>

16.1 მუხლში (ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევა) განსაზღვრული თითოეული შემთხვევა ან გარემოება არის ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევა რესურს(ებ)ისთვის.

ა) გადასახდელი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევა

მსესხებელი არ იხდის დადგენილი თარიღისთვის ნებისმიერი რაოდენობის გადასახდელ თანხას ფინანსური დოკუმენტების ფარგლებში, დოკუმენტებით მოთხოვნილი წესით. თუმცა, ჩარჩო შეთანხმების 7.3 მუხლის დარღვევის გარეშე (დაგვიანებული გადახდა და გადაუხდელი პროცენტი), ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევა არ მოხდება ამ (ა) ქვეპუნქტის ფარგლებში, თუ ასეთი გადახდა მთლიანად არის შესრულებული მსესხებლის მიერ გადახდს თარიღიდან ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში.

ბ) პასუხისმგებლობები და ვალდებულებები

მსესხებელი არ ასრულებს ფინანსური დოკუმენტების არცერთ პირობებს, მათ შორის, შეუზღუდავად, არცერთ ვალდებულებას, რომელიც მან აიღო ჩარჩო შეთანხმების მე-14 მუხლის (ჩარჩო შეთანხმების ვალდებულებები) და ჩარჩო შეთანხმების მე-15 მუხლის (საინფორმაციო ვალდებულებები ჩარჩო შეთანხმებისა და თითოეული რესურსის ფარგლებში) შესაბამისად.

გარდა ჩარჩო შეთანხმების 14.5 (გარემო და სოციალური პასუხისმგებლობა), 14.10 (სანქციები- ემბარგო) და 14.11 (ფულადი სახსრების წყარო, კორუფციის არარსებობა, თაღლითობა ან ანტი კორუფციული პრაქტიკა) ქვეპუნქტების შესაბამისად არსებული ვალდებულებებისა, რომლებთა მიმართაც არ არის ნებადართული საშეღავათო პერიოდი, ამ ქვეპუნქტის (ბ) თანახმად არ მოხდება ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევა, თუ შეუსაბამობა შეიძლება გამოსწორდეს და ანაზღაურებულია ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში (ა) სესხის გამცემის მიერ მსესხებელის წარუმატებლობის შესახებ შეტყობინების თარიღიდან; და (ბ) თარიღიდან, როცა მსესხებელისთვის ცნობილი გახდა დარღვევა, ან გამსესხებლის მიერ განსაზღვრული დროის ვადაში 14.11 (ფულადი სახსრების წყარო, კორუფციის არარსებობა, თაღლითობა ან ანტი კორუფციული პრაქტიკა) მუხლის (iv) ქვეპუნქტში მოხსენიებული შემთხვევის მიხედვით.

გ) **არასწორი წარმომადგენლობა**

ფინანსური დოკუმენტების ფარგლებში მსესხებლის მიერ გაკეთებული წარმომადგენლობები ან გარანტიები, მათ შორის მე-13 მუხლის (წარმომადგენლობები და გარანტიები) ფარგლებში, ან ნებისმიერი დოკუმენტი, წარმოდგენილი მსესხებლის მიერ ან მისი სახელით ხელშეკრულების ფარგლებში ან მასთან დაკავშირებით, არის არასწორი ან დამაბნეველი მაშინ, როდესაც გაკეთდა ან ჩაითვალა გაკეთებულად.

დ) **შეუსრულებელი ვალდებულებების გადაკვეთა**

(i) (ii) ქვეპუნქტის შესაბამისად, მსესხებლის ნებისმიერი ფინანსური დავალიანება არ არის გადახდილი შესაბამისი თარიღისთის ან თუ ეს შესაძლებელია, რელევანტური დოკუმენტაციის შესაბამისად მინიჭებული ნებისმიერი საშეღავათო პერიოდის განმავლობაში.

(ii) (ii) ქვეპუნქტის შესაბამისად, გამსესხებელმა გააუქმა ან შეაჩერა მსესხებლის მიმართ მისი ვალდებულება ნებისმიერი ფინანსური დავალიანების გამო ან გამოაცხადა გადასახდელი ფინანსური დავალიანება მის კონკრეტულ ვადამდე, ან მოითხოვა მთლიანი ფინანსური დავალიანების წინასწარი გადახდა, თითოეულ შემთხვევაში ვალდებულების შეუსრულებლობის ან ნებიმიერი მსგავსი ეფექტის (როგორც აღწერილია) მქონე მდგომარეობის შედეგად, რელევანტური დოკუმენტაციის შესაბამისად.

(iii) 16.1 (დ) მუხლის ფარგლებში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევა არ მოხდება, თუ შესაბამისი რაოდენობის ფინანსური დავალიანება ან ფინანსური დავალიანების ვალდებულება, რომელიც წარმოშობილია (i) და (ii) ზემოაღნიშნული ქვეპუნქტების შესაბამისად, არის ნაკლები ორმოც მილიონ (40 000 000) ევროზე (ან მისი ექვივალენტი ნებისმიერ სხვა ვალუტაში (ებში)).

ე) **უკანონობა**

არის ან უკანონო გახდება მსესხებლისთვის, რომ შეასრულოს ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულება.

ვ) **მატერიალურად საზიანო ცვლილება**

ნებისმიერი შემთხვევა (მათ შორის მსესხებლის ქვეყნის პოლიტიკური სიტუაციის ცვლილება) ან ნებისმიერი ღონისძება, რომელსაც გამსესხებლის აზრით, აქვს მატერიალურად საზიანო გავლენა, ხდება ან მოსალოდენლია, რომ მოხდეს.

ზ) **უფლებამოსილებები**

მსესხებლის ნებისმიერი უფლებამოსილება, მოთხოვნილი იმისათვის, რომ წარმოადგინოს ან შეასრულოს ფინანსური დოკუმენტებით აღებული ვალდებულებები ან პროგრამის დოკუმენტებით ან პროგრამის ჩვეულებრივი მსვლელობისას მოთხოვნილი სხვა მატერიალური ვალდებულებები, არ არის მიღებული მოთხოვნილ დროის პერიოდში, ან გაუქმებული ან ძალადაკარგულია, ან სხვა შემთხვევაში, წყვეტს სრულ ძალას და მოქმედებას.

თ) **განაჩენები, ბრძანებები ან მატერიალური ზიანის მქონე სხვა გადაწყვეტილებები**

ნებისმიერი განაჩენი ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან ნებისმიერი სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, რომელიც გავლენას ახდენს მსესხებელზე და რომელსაც გამსესხებლის აზრით, აქვს მატერიალურად უარყოფითი ეფექტი, ხდება ან მოსალოდენლია, რომ მოხდეს

ი) **თავისუფალი კონვერტაციის ან თავისუფალი ტრანსფერის შეჩერება**

ფინანსური დოკუმენტების მიხედვით მსესხებლისთვის სავალდებულო ნებისმიერი რაოდენობის თავისუფალი კონვერტაცია და თავისუფალი ტრანსფერი, ან სესხის გამცემის მიერ მსესხებლისთვის უზრუნველყოფილი ნებისმიერი რესურსი, ან მსესხებლის იურისდიქციაში არსებული ნებისმიერი სხვა მსესხებელი, შრომისუუნაროა.

კ) რესურსით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევა, რომელიც მინიჭებული გამსესხებლი მიერ მსესხელისათვის ჩარჩო შეთანხმებით.

დეფოლტის შემთხვევა ხდება ფინანსური დოკუმენტის მიხედვით, რომელიც დადებულია მსესხებლისათვის ხელმისაწვდომ კრედიტთან დაკავშირებით, ჩარჩო შეთანხმების შესაბამისად.

16.2 <u>აქსელერაცია</u>

ვალდებულების შეუსრულებლობის ნებისმიერი შემთხვევის დროს, ნებისმიერი ფორმალური მოთხოვნის უზრუნველყოფის გარეშე ან დაწყებული ნებისმიერი სასამართლო ან დამატებითი სასამართლო პროცედურების გარეშე, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე გამსესხებელმა შესაძლოა:

ა) გააუქმოს ხელმისაწვდომი კრედიტი შესაბამისი რესურსის ან თუ შესაძლებელია, რესურსების ფარგლებში, რომელიც დაუყოვლებლივ შემცირდება ნულამდე; და/ან

ბ) განაცხადოს, რომ შესაბამისი რესურსის, ან თუ შესაძლებელია, რესურსების, სრული ან ნაწილობრივი თანხა, დარიცხულ ან გადასახდელ პროცენტთან ერთად და ფინანსური დოკუმენტებით განსაზღვრული ყველა სხვა გადასახდელ რაოდენობასთან ერთად, არის ვადადამგარი და დაუყოვნებლივ გადასახდელი.

ზემოხსენებულის დარღვევის გარეშე, 16.1 მუხლით (ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევა) დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევის დროს გამსესხებელი იტოვებს უფლებას, მსესხებელისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით i) შეაჩეროს ან გადადოს ჩამორიცხვა რესურსის ან თუ შესაძლებელია, რესურსების ფარგლებში; და/ან ii) შეაჩეროს ნებისმიერი ფინანსური დოკუმენტის დასრულება ჩარჩო შეთანხმების ან სხვა შესაძლო ფინანსურ შეთავაზებებთან დაკავშირებული შეთანხმებების საფუძველზე, რომლებიც კრედიტორმა აცნობა მსესხებელს; და/ან iii) შეაჩეროს ან გადადოს ნებისიერი ჩამორიცხვა მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებული ჩარჩო შეთანხმების ან ნებისმიერი სხვა სასესხო შეთანხმების ფარგლებში.

თუ თანადმფინასებელი შეწყვეტს ან გადადებს მსესხებელსა და მას შორის შეთანხებით გათვალისწინებულ ჩამორიცხვას, სესხის გამცემი იტოვებს უფლებას, რომ შეწყვიტოს ან გადადოს შესაბამისი რესურსის ნებისმიერი ჩამორიცხვა.

16.3 <u>ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევის ცნობა</u>

15.4 (ინფორმაცია - სხვადასხვა) მუხლის თანახამად, მსესხებელმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს გამსესხებელს ნებისმიერი ისეთი შემთხვევის დადგომის შესახებ, რომელიც არის ან მოსალოდნელია, რომ იქნება ვალდებულებების შეუსრულებლობა და გამსესხებელს აცნობოს მის აღმოსაფხვრელად გამოყენებული ყველა საშუალების შესახებ.

17. **რესურსების ადმინისტრირება**

17.1 <u>გადახდები</u>

გამსესხებლის მიერ ფინანსური დოკუმენტებით მიღებული ყველა გადახდა გამოყენებული იქნება ხარჯების, მოსაკრებლების, პროცენტების, ძირითადი თანხების ან ფინანსური დოკუმენტების შესაბამისად გადასახდელი ნებისმიერი სხვა თანხის გადასახდელად შემდეგი თანმიმდევრობით:

1) შემთხვევითი ხარჯები და დანახარჯები;

2) საფასურები;

3) დაგვიანებული გადახდის საპროცენტო განაკვეთი და დეფოლტის საპრცენტო განაკვეთი;

4) დარიცხული საპროცენტო განაკვეთი;

5) ძირითადი თანხის გადახდები.

მსეხებლისგან მიღებული ნებისმიერი გადახადა უპირველეს ყოვლისა გამოყენებული იქნება რესურსის ან გამსესხებლის მიერ მსესხებლისადმი გადაცემული სხვა სესხის მიხედვით გადასახდელი და ვადადამდგარი თანხებისთვის. გამსესხებლის ინტერესში უნდა იყოს ასეთი თანხების სხვა სესხებისთვის ზემოთ დადგენილი თანმიმდევრობით გამოყენება.

17.2 <u>ანაზღაურება</u>

მსესხებლის წინასწარი თანხმობის გარეშე, გამსესხებელს შეუძლია, ნებისმიერ დროს, აანაზღაუროს მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებები მსესხებლის სახელით მფლობელობაში არსებული ნებისმიერი თანხით ან გამსესხებლის მიერ მსესხებლის მიმართ ნაკისრი გადასახდელი ვალდებულებებით. თუ ვალდებულებები არის განსხვავებულ ვალუტაში, გამსესხებელს შეუძლია ანაზღაურების მიზნით დააკონვერტიროს ვალდებულება უფრო გავრცელებული ვალუტის გაცვლითი კურსით.

მსესხებლის მიერ ფინანსური დოკუმენტების ფარგლებში გაკეთებული ყველა გადახდა უნდა გამოანგარიშდეს და გაკეთდეს ანაზღაურების გარეშე. მსესხებლს აკძალული აქვს ნებისმიერი ანაზღაურების გაკეთება.

17.3 <u>სამუშაო დღეები</u>

საპროცენტო პერიოდის გამოთვლის დარღვევის გარეშე, რომელიც უცვლელი დარჩება, თუ გადახდა არის სავალდებულო იმ დღეს, რომელიც არ არის სამუშაო დღე, მაშინ გადახდა უნდა მოხდეს იმავე თვის მომდევნო სამუშაო დღეს, ან წინა სამუშაო დღეს, თუ მომდევნო სამუშაო დღე არ არის იმავე თვეში.

17.4 <u>გადახდის ვალუტა</u>

ფინანსური დოკუმენტების მიხედვით თითოეული გადასახდელი თანხის ვალუტა არის ევრო, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც მოცემულია 17.6 მუხლში (გადახდის ადგილი).

17.5 <u>დღის დათვლის კონვენცია</u>

საფინანსო დოკუმენტის მიხედვით დარიცხული ნებისმიერი პროცენტი, საკომისიო ან ხარჯი გამოითვლება გასული დღეების ფაქტობრივი რაოდენობითა და სამას სამოც (360) დღიანი წელიწადის საფუძველზე, ევროპის ბანკთაშორისი ბაზრის პრაქტიკის შესაბამისად.

17.6 <u>გადახდის ადგილი</u>

ა) ნებისმიერი სახსრები, რომელიც გადაეცემა მსესხებელს გამსესხებლის მიერ რესურსის ფარგლებში, გადაიხდება მსესხებლის ანგარიშზე ან მსესხებლის მიერ ამ მიზნით სპეციალურად გამოყოფილ ნებისმიერ სხვა ანგარიშზე, იმ პირობით, რომ გამსესხებელმა წინასწარი თანხმობა განაცხადა შერჩეულ ბანკზე.

ბ) მსესხებელი გადაიხდის პირდაპირ, ან საჭიროების შემთხვევაში, აუნაზღაურებს გამსესხებელს, გამსესხებლის მიერ წინასწარ გადახდილ თანხას, ყველა ხარჯსა და დანახარჯს, რომელიც დაკავშირებულია თანხების გადაცემასთან მსესხებელთან, ან მის ანგარიშზე, პარიზიდან გამსესხებელთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილას, ისევე როგორც ნებისმიერი გადარიცხვის საფასურს და ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია რესურსის ფარგლებში გადახდელი თანხების ვადებთან.

გ) ნებისმიერი გადახდა მსესხებლის მიერ გამსესხებლისადმი უნდა განხორციელდეს გადახდის დღეს არა უგვიანეს 11:00 საათისა (პარიზის დროით) შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

RIB კოდი: 30001 00064 00000040235 03

IBAN კოდი: FR76 3000 1000 6400 0000 4023 503

საფრანგეთის ბანკის SWIFT კოდი (BIC): BDFEFRPPCCT

გამსესხებლის მიერ გახსნილ პარიზში საფრანგეთის ბანკის (სათაო ოფისი/მთავარი ფილიალი) ან ნებისმიერ სხვა ანგარიშზე, რომელსაც გამსესხებელი აცნობებს მსესხებელს.

დ) მსეხებელმა გამსესხებლისადმი ნებისმიერი რაოდენობის გადარიცხვისას პასუხისმგებელი ბანკისგან უნდა მოითხოვს, რომ ის უზრუნველყოფს ნებისმიერ გადარიცხვაზე შემდეგი ინფორმაციის მიწოდებას ყოვლისმომცველად და შემდეგი თანმიმდევრობით (მითითებული რიცხვები ეხება SWIFT MT 202 და 103 პროტოკოლს)

- ძირითადი: სახელი, მისამართი, საბანკო ანგარიშისი ნომერი (ნაწილი 50)
- ძირითადი ბანკის: სახელი და მისამართი (ნაწილი 52)
- მითითება: მსესხებლის სახელი, პროგრამის ტრანშის სახელი, [ჩარჩო შეთანხმების/რესურსის დადასტურების] მითითებული ნომერი

ე) შესაბამისი გაცვლითი კურსები იქნება ის გაცვლითი კურსები, რომლებიც ჩამორიცხვის დღეს მიღებულია გამსესხებლის მიერ კომპეტენტური ფინანსური ინსტიტუტის მეშვეობით.

ვ) მსესხებლის მიერ გაკეთებული ყველა გადახდა უნდა შეესაბამებოდეს 17.6 მუხლს (გადახდის ადგილი) იმისათვის, რომ შესაბამისი საგადახდო ვალდებულება ჩაითვალოს სრულყოფილად.

17.7 <u>გადახდის სისტემის დარღვევა</u>

თუ გამსესხებელი განსაზღვრავს (თავისი შეხედულებისამებრ), რომ მოხდა გადახდის სისტემის დარღვევა ან მსესხებელი აცნობებს გამსესხებელს, რომ მოხდა გადახდის სისტემის დარღვევა, გამსესხებელი:

ა) შესაძლოა და თუ მსესხებელი მოითხოვს, (ქვემოთ მოყვანილი (ბ) ქვეპუნქტის მიხედვით), მსესხებელთან დისკუსიაში შევიდეს, რათა განიხილოს რესურსის ფუნქციონირებასა და ადმინისტრირებაში რაიმე ცვლილება, როგორც ამას გამსესხებელი საჭიროდ ჩათვლის მოცემულ ვითარებაში;

ბ) არ არის ვალდებული, რომ მსესხებელთან განიხილოს ნებისმიერი ცვლილებები მოხსენიებული ქვეპუნქტ ა-ში, თუ მისი აზრით, არსებულ გარემოებაში ეს არაპრაქტიკულია და ნებისიმიერ შემთხვევაში მას არ გააჩნია ვალდებულება, რომ დათანხმდეს ასეთ ცვლილებებს; და

გ) არ არის პასუხისმგებელი რაიმე ხარჯზე, დანაკარგზე ან ვალდებულებებზე, რომლებიც წარმოიშვება 17.7 მუხლში (გადახდის სისტემის დარღვევა) განხილული ქმედებების განხორციელების ან ვერ განხორციელების შემთხვევაში.

18. სხვადასხვა

18.1 სერთიფიკაცია და განსაზღვრებები

ფინანსური დოკუმენტების ფარგლებში ან ფარგლებს გარეთ წარმოშობილ ნებისმიერ სამართალწარმოებაში ან არბიტრაჟში გამსესხებლის მიერ ანგარიშებზე განხორციელებული შენატანები არის იმ შემთხვევების პირველადი მტკიცებულება, რომელსაც ისინი ეხება.

ფინანსური დოკუმენტის ფარგლებში გამსესხებლის მიერ პროცენტის ან თანხის ნებისმიერი დადასტურება ან განსაზღვრა, აშკარა შეცდომის არ არსებობის შემთხვევაში, იქნება დამაჯერებელი მტკიცებულება იმ საკითხისთვის, რომელსაც ის ეხება.

18.2 უფლების გადაცემა

მსესხებელს არ შეუძლია რაიმე ფორმით გადასცეს ან დათმოს ფინანსური დოკუმენტით გათვალისწინებული მისი ყველა ან რომელიმე უფლება ან ვალდებულება გამსესხებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

გამსესხებელს შეუძლია ნებისმიერ მესამე მხარეს გადასცეს ფინანსური დოკუმენტებით განსაზღვრული მისი უფლებები და/ან ვალდებულებები და ამ მიზნით შევიდეს ნებისმიერ ქვე-მონაწილეობის შეთანხმებაში.

18.3 კონფიდენციალობა-ინფორმაციის გამჟღავნება

ა) მხარეებმა არ უნდა გაამჟღავნონ ფინანსურ დოკუმენტებთან დაკავშირებული ინფორმაცია ნებისმიერ მესამე მხარესთან გამსესხებლის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა იმ პიროვნებისა, რომელთანაც მსესხებელს აქვს გამჟღავნების ვალდებულება შესაბამისი კანონის, რეგულაციის ან იურიდიული წესის მიხედვით.

ბ) მიუხედავად ნებისმიერი არსებული კონფიდენციალურობის შეთანხმებისა, გამსესხებელს შეუძლია გაუმჟღავნოს ნებისმიერი ინფორმაცია ან პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტები: i) მის აუდიტორებს, ექსპერტებს, სარეიტინგო სააგენტოებს, კანონიერ მრჩევლებს ან საზედამხედველო ორგანოებს; ii) ნებისმიერ პირს ან დაწესებულებას, რომელსაც გამსესხებელმა შესაძლოა მიაკუთვნოს ან გადასცეს ფინანსური დოკუმენტების ფარგლებში არსებული მისი უფლებები ან ვალდებულებები მთლიანად ან ნაწილობრივ; iii) ნებისმიერ პირს ან დაწესებულებას, ნებისმიერი დამცავი ზომების მიღების მიზნით ან დოკუმენტების ფარგლებში არსებული გამსესხებლის ულებების შენარჩუნების მიზნით; და (iv) ნებისმიერ თანადამფინანსებელს.

გ) დამატებით, მსესხებელი გამსესხებელს ანიჭებს უფლებას:

(i) საერთაშორისო დახმარების გამჭვირვალობის ინიციატივის ნებისმიერი მოთხოვნის შესაბამისად, გაუზიაროს საფრანგეთის რესპუბლიკას საფრანგეთის მთავრობის ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებლად; და

(ii) რომ გამოქვეყნდეს გამსესხებლის ვებ-გვერდზე;

პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია და მისი დაფინანსება, რომელიც მოცემულია განრიგ 7-ში (ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გამოქვეყნებულ იყოს საფრანგეთის მთავრობის ვებ-გვერდზე და გამსესხებლის ვებ-გვერდზე).

18.4 ლიმიტირება

საფინანსო დოკუმენტების საფუძველზე ნებისმიერი საჩივრის ხანდაზმულობის ვადა უნდა იყოს ათი (10) წელი, გარდა ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებული საპროცენტო მოთხოვნისა.

18.5 <u>პრობლემის არარსებობა</u>

თითოეული მხარე აღიარებს, რომ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1195-ე მუხლის დებულებები არ ვრცელდება მასზე შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების მიმართ და მას არ აქვს უფლება, განაცხადოს რაიმე პრეტენზია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1195-ე მუხლის შესაბამისად.

18.6 <u>ენა</u>

ჩარჩო შეთანხმების ენა არის ინგლისური. თუ შეთანხმება გადათარგმნილია ნებისმიერ სხვა ენაზე, ინგლისურ ვარიანტს უნდა მიენიჭოს უპირატესობა ნებისმიერი კონფლიქტური ინტერპრეტაციის ან მხარეებს შორის კამათის შემთხვევაში.

ყველა შეტყობინება ან შეტანხმებით განსაზღვრული ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტები უნდა იყოს ინგლისურად.

AFD-ს შეუძლია მოითხოვოს, რომ ფინანსურ დოკუმენტთან ან მასთან დაკავშირებით მიწოდებულ შეტყობინებას ან დოკუმენტს, რომელიც არ არის ინგლისურ ენაზე, თან ახლდეს დამოწმებული ინგლისური თარგმანი, ამ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ინგლისურ თარგმანს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დოკუმენტი არის კომპანიის ნორმატიული დოკუმენტი ან იურიდიული ტექსტი ან სხვა ოფიციალური დოკუმენტი.

18.7 <u>ნაწილობრივი ბათილობა</u>

თუ, ნებისმიერ დროს, ფინანსური დოკუმენტის მუხლი არის ან გახდება არაკანონიერი, ძალადაკარგული ან შეუსრულებელი, მაშინ ეს ფაქტი შეთანხმების დარჩენილი დებულებების სინამდვილეზე, კანონიერებასა და აღსრულებადობაზე ვერანაირად ვერ მოახდენს გავლენას ან ვერ შეასუსტებს მათ.

18.8 <u>უარის თქმის არარსებობა</u>

შეთანხმების ფარგლებში გამსესხებლის მხრიდან ნებისმიერი უფლების გამოუყენებლობა ან შესრულების გადადება არ მოქმედებს, როგორც ამ უფლებაზე უარის თქმა.

ნებისმიერ უფლების ნაწილობრივმა შესრულებამ არ უნდა შეუშალოს ხელი ასეთი უფლების ნებისმიერ დამატებით შესრულებას ან ნებისმიერი სხვა უფლების შესრულებას ან შესაბამისი კანონის ფარგლებში სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენებას.

AFD-ის უფლებები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები ფინანსური დოკუმენტით არის ერთობლივი და არ გამორიცხავს რაიმე უფლებისა და დაცვის საშუალებებს მოქმედი კანონმდებლობით.

18.9 <u>იურიდიული ეფექტი</u>

ჩარჩო შეთანხმების დართული განრიგები და ფაქტების ჩამონათვალი არის შეთანხმების ნაწილი და აქვთ იგივე იურიდიული ეფექტი.

რესურსის დადასტურების განრიგები არის დადასტურების ნაწილი და აქვთ იგივე იურიდიული ეფექტი.

18.10 <u>მთლიანი შეთანხმება</u>

ხელმოწერის თარიღისთვის, ჩარჩო შეთანხმება წარმოადგენს მხარეებს შორის სრულ შეთანხმებას წინამდებარე საკითხებთან დაკავშირებით და ანაცვლებს და ცვლის ყველა წინა დოკუმენტს, შეთანხმებას ან მემორანდუმს, რომელიც შეიძლება შეცვლილიყო ან შეთანხმებულიყო შეთანხმებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებებით.

18.11 <u>ცვლილებები</u>

არავითარი ცვლილება არ შეიძლება შეტანილ იქნეს ჩარჩო შეთანხმებაში ან რესურსის დამტკიცებაში მანამ, სანამ არ მოხდება მხარეებს შორის წერილობითი დადასტურება.

19. შეტყობინებები

19.1 <u>წერილობითი კომუნიკაციები და მისამართები</u>

ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა ან სხვა. კომუნიკაცია უნდა იყოს გადაცემული ან გაკეთებული წერილობით და, მანამ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი, შეიძლება გადაცემული იქნეს ფაქსით ან ფოსტით შესაბამისი მხარის ქვემოთ დადგენილ მისამართსა და ნომერზე:

მსესხებლისთვის:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მისამართი: გორგასლის ქუჩა N16, 0114 თბილისი, საქართველო

ტელეფონი: +995 32 2261450

ელ.ფოსტა: publicdebt@mof.ge

საყურადღებოდ: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

გამსესხებლისთვის:

AFD- რეგიონალური წარმომადგენლობითი ოფისი სამხრეთ კავკასიაში

მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა N34 I- BC "პიქსელი", მე-8 სართული-0179 თბილისი, საქართველო

საყურადღებოდ: სამხრეთ კავკასიის რეგიონალური წარმომადგენლობითი ოფისის დირექტორი

ასლთან ერთად:

AFD- პარიზის სათაო ოფისი

მისამართი: საფრანგეთი, პარიზი, კედექს 12, როლანდ ბარტის ქუჩა N75598

ტელეფონი: + 33 1 53 44 31 31

ფაქსი: + 33 1 44 87 39 65

საყურადღებოდ: აღმოსავლეთ ევროპის, შუა აღმოსავლეთისა და აზიის AFD-ს დირექტორი

ან მსგავსი სხვა მისამართი, ფაქსის ნომერი, დეპარტამენტი ან მოხელე, როგორც ერთი მხარე შეატყობინებს მეორე მხარეს.

19.2 <u>მიწოდება</u>

შეთანხმების ფარგლებში ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა ან კომუნიკაცია ან ნებისმიერი დოკუმენტი ერთი მხარის მიერ მეორისადმი გაგზავნილი იქნება ეფექტური:

(i) თუ გაიგზავნება ფაქსით, როდესაც მიღებულია გასაგები ფორმით; და
(ii) თუ წერილი გაიგავნა ფოსტით, როდესაც მიღებულია სწორ მისამართზე, და სადაც კონკრეტული პირი ან დეპარტამენტი განსაზღვრულია 19.1 მუხლის (წერილობითი და მისამართები) მისამართის დეტალების შესაბამისად და თუ ასეთი შეტყობინება, მოთხოვნა ან კომუნიკაცია მიემართა ამ პირის ან დეპარტამენტს.

19.3ელექტრონული კომუნიკაცია

ა) ნებისმიერი კომუნიკაცია ერთი პირის მიერ მეორისადმი შეთანხმების ფარგლებში ან მასთან დაკავშირებით შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან სხვა ელექტრონული საშუალებით, თუ მხარეები:

(iii) თანხმდებიან, რომ მანამ სანამ სხვაგვარად არ იქნებიან ინფორმირებული, ეს უნდა იყოს კომუნიკაციის მიღებული ფორმა;
(iv) წერილობით აცნობებენ ერთმანეთს მათი ელექტრონული ფოსტის მისამართებს და/ან ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, რომელიც საჭიროა ინფორმაციის ამ გზით გასაგზავნად და მისაღებად;
(v) ერთმანეთს ატყობინებენ მათი მისამართის ან ნებისმიერი სხვა მათ მიერ მიწოდებული მსგავსი ინფორმაციის ცვლილებას.

ბ) მხარეებს შორის გაკეთებული ნებისმიერი ელექტრონული კომუნიკაცია ეფექტური იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მიღებულია წაკითხვადი ფორმით.

20. მარეგულირებელი კანონი, აღსრულება და იურიდიული მისამართის შერჩევა გადახდებისთვის

20.1 მარეგულირებელი კანონი

ჩარჩო შეთანხმება რეგულირდება საფრანგეთის კანონით.

20.2 არბიტრაჟი

შეთანხმებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა უნდა ეხებოდეს და საბოლოოდ დარეგულირდეს არბიტრაჟით, საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟის და შერიგების წესების ფარგლებში საარბიტრაჟო პროცედურების დაწყების თარიღში ამ წესების შესაბამისად დანიშნული ერთი ან მეტი არბიტრის მიერ.

არბიტრაჟის ადგილი უნდა იყოს პარიზი და არბიტრაჟის ენა-ინგლისური.

საარბიტრაჟო მუხლი რეგულირდება საფრანგეთის კანონმდებლობით და უნდა დარჩეს სრულ ძალაში და ეფექტური, თუ შეთანხმება გამოცხადებულია ბათილად ან არის შეწყვეტილი ან გაუქმებულია და მოყვება შეთანხმების ვადის ამოწურვა. მხარეთა სახელშეკრულებო ვალდებულებები ჩარჩო შეთანხმებით არ შეჩერდება, თუ ერთი მხარე დაიწყებს სასამართლო პროცესს მეორე მხარის წინააღმდეგ.

მხარეები პირდაპირ თანხმდებიან, რომ შეთანხმების ხელმოწერით მსესხებელი უარს ამბობს იმუნიტეტის ყველა უფლებაზე იურისდიქციასთან ან აღსრულებასთან მიმართებაში, რომელიც შეიძლება სხვაგვარად მიეწოდოს, თუმცა იმუნიტეტი არ არის მოხსნილი შემდეგთან მიმართებაში (i) მიმდინარე ან მომავალი „საკონსულო წინაპირობებზე", მათ შორის ნებისმიერი საბანკო ანგარიში, როგორც განსაზღვრულია 1961 წელს ხელმოწერილ ვენის კონვენციაში დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, „საკონსულო წინაპირობები" მათ შორის ნებისმიერი საბანკო ანგარიში, რომელიც განსაზღვრულია ვენის კონვენციით საკონსულო ურთიერთობების შესახებ ხელმოწერილი 1963 წელს ან სხვანაირად გამოყენებული საქართველოს დიპლომატური ან საკონსულო მისიის მიერ ან ნებისმიერი სააგენტოს მიერ ან აქედან გამომდინარე მსგავსი ინსტიტუცია (გარდა იმისა, რომელიც გავლენას ახდენს მომსახურებაზე), (ii) სამხედრო ხასიათის ან სამხედრო ხელისუფლების ან თავდაცვის უწყების კონტროლის ქვეშ არსებული ქონებაზე, (iii)

საქართველოში მდებარე უძრავი ქონება, რომელიც გადაცემულია საჯარო, სამთავრობო ან კულტურული გამოყენებისთვის (კომერციული გამოყენებისგან განსხვავებით) ან (iv) ეჭვების თავიდან აცილების მიზნით, ა) საქართველოს ეროვნული ბანკის ქონება, ფლობს თუ არა ქართული ან არაქართული ბანკი ან ნებისმიერი სხვა ფინანსური ინსტიტუტი, ან ბ) ნებისმიერი ტიპის უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობს საქართველოში და ფარავს საქართველოს სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონის მე-2[1] მუხლს. საქართველო უფლებას იტოვებს, დაიცვას თავისი სუვერენული იმუნიტეტი 1976 წლის აშშ უცხოური სუვერენული იმუნიტეტის აქტის შესაბამისად მის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედების შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოში, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური ან შტატის უსაფრთხოების კანონის მიხედვით.

20.3 <u>პროცესის მომსახურება</u>

ნებისმიერი მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის გარეშე, სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების წარდგენის მიზნით, ზემოხსენებულ ქმედებებთან ან სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, მსესხებელი შეუქცევად ირჩევს თავის რეგისტრირებულ ოფისს 19.1 მუხლში (წერილობითი კომუნიკაცია და მისამართები) მითითებულ მისამართზე საპროცესო მომსახურებისთვის და AFD ირჩევს „AFD SIEGE" 19.1 მუხლში (წერილობითი კომუნიკაციები და მისამართები) მითითებულ მისამართს საპროცესის მომსახურებისთვის.

შესრულებულია ორი (2) ორიგინალი, თბილისში 15 ნოემბერს.

მსესხებელი

საქართველო

ლაშა ხუციშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

გამსესხებელი

საფრანგეთის განვითარების სააგენტო

სირილ ბელიე

აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აზიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

თანახელმომწერი, რიჩარდ რეკენა, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული

ჩარჩო შეთანხმების განრიგი 1- პროგრამის აღწერა

<u>პროგრამის მიზნები</u>

AFD-ის საკრედიტო რესურსი მხარს უჭერს ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამის 2022-2027 წლების ნაწილის განხორციელებას. ეს პროგრამა 5,988 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით შედგება ქვეპროგრამების ნაკრებისგან, რომლებიც დაჯგუფებულია სამი შედეგის მიხედვთ:

- ეფექტურობა ადამიანური კაპიტალის დანახარჯების უკეთესი ღირებულებისთვის
- ყველა ბენეფიციარისთვის ადამიანური კაპიტალის დანახარჯების ხარისხის მოცვა
- ციფრული სისტემების დაკავშირება ადამიანური კაპიტალის უზრუნველყოფის ყველა სფეროში

AFD-ის მიერ დასაფინანსებელი რესურსი იმუშავებს, როგორც პროგრამის თანადაფინანსება IBRD-ის შედეგების პროგრამით (PforR) ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამისთვის (358,5 MEUR). PforR ხორციელდება 3 შედეგის არეალის, 4 ჩამორიცხვასთან დაკავშირებული ინდიკატორის (DLI) და 27 ჩამორიცხვასთან დაკავშირებული შედეგის (DLR) მეშვეობით. AFD-ის რესურსები შეავსებს PforR-ს 27 DLR-დან 8-ისთვის ფინანსური რესურსის გამოყოფით. PforR მოიცავს 6 წლიან პერიოდს 2022 წლიდან 2027 წლამდე. AFD-ის წვლილი შედეგების პროგრამაში (PforR) ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამისთვის, დადასტურების შემთხვევაში, დაიყოფა ორ პროგრამის ტრანშად, რომელიც მოიცავს შემდეგ DLR-ებს:

ჩამორიცხვასთან დაკავშირებული ინდიკატორი(DLR)	მითითებული ვადები	გამოყოფილი რესურსის თანხა და გადახდის ფორმულა
პროგრამის ტრანში 1		
DLR 2.1.1: 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ან უფრო გვიანი თარიღისთვის, რომელიც შეიძლება დადგინდეს IBRD-ის მიერ, ზოგადი განათლების ავტორიზაციის ეროვნულმა საბჭომ გასცა უმაღლესი სკოლების ფუნქციონირების ავტორიზაცია ახალ კომპეტენციებზე დაფუძნებული ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე უმაღლესი საშუალო საფეხურებისთვის.	31/12/2023 ან უფრო გვიანი თარიღი, რომელიც განსაზღვრული ა თანადამფინანს ებლის მიერ	10 მლნ ევრო ექვემდებარება მინიმუმ 100 უმაღლეს სკოლას და მაქსიმუმ 300 უმაღლეს სკოლას, რომლებიც ავტორიზებულია ; 10,000 ევრო თითო სკოლისთვის, პირველი 100 უმაღლესი სკოლისთვის; 45,000 ევროს ექვივალენტი თითო სკოლისთვის, მომდევნო 200 უმაღლესი სკოლისთვის.
DLR 2.2: MoILHSA-მ მიიღო ბრძანება ან ეკვივალენტური იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტი, რომელიც	როგორც პროგრამის	10 მლნ ევრო

აკმაყოფილებს ბანკს, რათა განისაზღვროს კლინიკური გზები და განმარტოს პირველადი და ჰოსპიტალური დახმარების ფარგლები მინიმუმ შემდეგი შერჩეული ამბულატორიული დახმარების მიმართ სენსიტიური პირობებისთვის: გულის დაავადება, ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, მე-2 ტიპის დიაბეტი და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა.	დოკუმენტებში ა განსაზღვრული	
DLR 2.4: SESA-მ მიიღო ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი მეთოდოლოგია SESA დირექტორის ბრძანებით, რომელიც შესაბამისობაშია ESCO-სთან, რათა გამოავლინოს დეფიციტური უნარები (მათ შორის, უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროა მწვანე სამუშაოებისთვის) და გააკეთოს უნარების პროგნოზირება, როგორც საფუძველი, რომელიც გამოიყენება პროფესიულ ტრენინგზე და სხვა SESA ALMP-ებზე მიმართვისთვის.	როგორც პროგრამის დოკუმენტებში ა განსაზღვრული	10 მლნ ევრო
DLR 3.2: SESA ALMP-ში მონაწილე მოწყვლადი უმუშევართა რაოდენობა გაზრდილია		5 მლნ ევრო ყოველი კალენდარული წლისთვის, ყოველი 5000 მოწყვლადი უმუშევარისთვის, რომელიც მონაწილეობს SESA ALMP-ში, 425,718.76 ევრო.
DLR 4.3: სულ მცირე 100-მა პირველადი დახმარების და ამბულატორიის პროვაიდერმა გასწია ტელეკონსულტაციები, რომლებიც დაფარულია UHC პროგრამით, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.	როგორც პროგრამის დოკუმენტებში ა განსაზღვრული	15 მლნ ევრო
პროგრამის ტრანში 2	მითითებული ვადები	გამოყოფილი რესურსის თანხა და გადახდის ფორმულა
DLR 2.1.6: 2026 წლის 30 ივნისამდე ან ბანკის მიერ დადგენილ უფრო გვიან თარიღამდე, მსესხებელმა, კანონიერად უფლებამოსილი ორგანოს მეშვეობით, გასცა ავტორიზაცია მინიმუმ 200 საბავშვო ბაღის ფუნქციონირებაზე სოფლად ან მთიან რაიონებში იმის საფუძველზე, რომ დაკმაყოფლებულია ხარისხის სტანდარტები, რომლებიც მოცემულია „ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ" კანონით ან სხვა ოფიციალური დოკუმენტით, მათ შორის კვების, განათლებისა და ფიზიკური გარემოს შესახებ; ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით	30/06/2026, ან უფრო გვიანი თარიღი, რომელიც განსაზღვრული ა თანადამფინანს ებლის მიერ	10 მლნ ევრო
DLR 2.3: საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომელიც ბანკისთვის დამაკმაყოფილებელია, რათა	როგორც პროგრამის	25 მლნ ევრო

გადაიხედოს: (i) პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო სერვისების ტიპი და რაოდენობა, როგორც შეღავათების პაკეტის ნაწილი და (ii) შესრულებაზე დაფუძნებული, პირველადი ჯანდაცვის პროვაიდერების მიერ მიღებული გადასახადები შერჩეული არაგადამდები დაავადებებისთვის, რათა მოხდეს მოვლის შესაბამისი დონის სტიმულირება	დოკუმენტებში ა განსაზღვრული	
DLR 4.4: ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი სოციალური დაცვის ინტეგრირებული ანგარიშგების სისტემა შეიქმნა და ფუნქციონირებს MoILHSA სამინისტროს IT სააგენტოს მიერ და შეუძლია შექმნას ანგარიშები სამთავრობო უწყებების მიერ ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ადმინისტრირებული სოციალური და დასაქმების სერვისების გაშუქების შესახებ, რათა აღმოაჩინოს. ხარვეზები, შეამციროს გარიყულობისა და ჩართვის შეცდომები და გაუმჯობესოს ინტეგრაცია სოციალური დაცვის სერვისებს/პროგრამებს შორის, მათ შორის სხვა სამთავრობო პროგრამებში, რომლებიც მხარს უჭერენ კლიმატის ცვლილების მიმართ დაუცველ ოჯახებს.	როგორც პროგრამის დოკუმენტებში ა განსაზღვრული	15 მლნ ევრო
ჯამი		100 მლნ ევრო

ტექნიკური სამინისტროები, MoILHSA და MoES, პასუხისმგებელნი არიან ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამის განხორციელებაზე თითოეული დაწესებულების მიზნობრივ სფეროებში.

<u>გაცემის პროგნოზები</u>

გადახდების პროგნოზები დამოკიდებულია DLR-ების მიღწევებზე, კერძოდ:

(ა) იმ DLR-ებისთვის, რომლებისთვისაც განსაზღვრულია მიღწევის ვადები ზემოთ მოცემული ცხრილის DLR სათაურში, ეს დრო არის პროექციის საფუძველი

(ბ) იმ DLR-ებისთვის, რომლებიც არ აკონკრეტებენ მიღწევის ვადებს ცხრილის 1-ის DLR სათაურში, პროექცია მიღებულია მიღწევების სავარაუდო დროიდან, რომელიც აღწერილია პროგრამის დოკუმენტებში.

სავარაუდო გადახდების გეგმა შემდეგია:

<u>1-ლი ტრანში:</u>

DLR	2023	2024	2025	2026	ჯამი (მლნ ევროში)
2.1.1	10				10
2.2		10			10
2.4	10				10
3.2	0,5	1,0	1,5	2,0	5
4.3		15			15
ჯამი	20,5	26,0	1,5	2	50

მე-2 ტრანში:

DLR	2023	2024	2025	2026	ჯამი (მლნ ევროში)
2.1.6				10	10
2.3			25		25
4.4				15	15
ჯამი			25	25	50

მონიტორინგისა და შეფასების ღონისძეებები

პროგრამის განხორციელებას მონიტორინგს გაუწევს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტთან შექმნილი პროგრამის საკოორდინაციო განყოფილება (PCU). ის კოორდინაციას უწევს ვერიფიკაციის პროცესს, ხელს უწყობს თანხების მოთხოვნას AFD-ის მიერ შერჩეული DLR-ების შესრულების შემდეგ და ამზადებს პროგრესის ანგარიშებს. PCU-ის ფუნქციონირებაზე ზედამხედველობის მიზნით, იარსებებს მაღალი დონის „ადამიანური კაპიტალის მმართველი კომიტეტი", რომელსაც თავმჯდომარეობს ფინანსთა სამინისტრო, თითოეული შესაბამისი დარგობრივი სამინისტროს ან უწყების წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც პასუხისმგებელია შედეგების მიწოდებაზე. კომიტეტი შეიკრიბება ყოველკვარტალურად (ან საჭიროებისამებრ) პროგრესის განსახილველად.

განხორციელების პროცესი: თითოეული დარგობრივი სამინისტრო (MoIHLSA და MoES) პასუხისმგებელი იქნება მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებზე.

ვერიფიკაციის ღონისძებები: ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები არიან SAO, MoIHLSA და MoES, რომლებიც განახორციელებენ ვერიფიკაციის პროტოკოლებს, რომლებიც მითითებულია თითოეული შედეგისთვის. IBRD სათანადოდ განიხილავს ყველა მიწოდებულ შემოწმებას DLR-ების ხასიათისა და ვერიფიკაციის ღონისძიებების მიხედვით.

ბიუჯეტირება და დაგეგმვა: პროგრამის ბიუჯეტი შედის MoIHLSA და MoES-ის ბიუჯეტებში მათი შესაბამისი საქმიანობისთვის. პროგრამული ბიუჯეტი და დაგეგმვა მზადდება და მტკიცდება ყოველწლიურად საქართველოს მთავრობაში სამინისტროების საბიუჯეტო პროცედურების შესაბამისად. არსებობს შესაბამისი პუნქტები (ექვსნიშნა ან რვანიშნა კოდი საქართველოს მთავრობის პროგრამული ბიუჯეტიდან), რომლებიც შეადგენენ პროგრამის ხარჯების ჩარჩოს. ისინი გამოყენებული იქნება აუდიტის საჭირო ფუნქციის საზღვრების დასადგენად.

დაფინანსების გეგმა:

სრული საფინანსო გეგმა შედეგების პროგრამისთვის შემდეგია:

	თანხა(მლნ ევრო)
AFD რესურსი	100

- *პროგრამის ტრანში 1* - *პროგრამის ტრანში 2*	*50* *50*
IBRD პროგრამა შედეგებისთვის	358,5
ჯამი	**458,5**

განრიგი 2 - განმარტებები და ინტერპრეტაცია

I ნაწილი- განმარტებები

ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამის 2022-2027 წლების ნაწილი	გულისხმობს ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამის ნაწილს, რომელიც განხორციელდება 2022-2027 წლებში. პროგრამის ეს ნაწილი შედგება 5,988 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტური ხარჯებისგან, საიდანაც IBRD დაუჭერს მხარს 358.5 მილიონ ევროს პროგრამის 6 წლის განმავლობაში, ხოლო AFD მხარს დაუჭერს 100 მილიონ ევროს პირველი 4 წლის განმავლობაში.
კორუფციული ქმედება	გულისხმობს ნებისმიერს შემდგომიდან: ა) პირდაპირი ან არაპირდაპირი დაპირების, შეთავაზების ან გადაცემის ქმედება, საჯარო პირისადმი ან ნებისმიერი პირისადმი, რომელიც ხელმძღვანელობს ან მუშაობს კერძო სექტორის დაწესებულებისთვის ნებისმიერ დონეზე, ნებისმიერი სახის არასასურველი უპირატესობა, შესაბამისი პირისათვის ან სხვა პირისათვის ან დაწესებულებისთვის, რათა ეს პირი იმოქმედებს ან თავს შეიკავებს კანონის დარღვევისგან, შეთანხმებაზე დაფუძნებული ან პროფესიული ვალდებულებისგან და ექნება გავლენა საკუთარ ქმედებაზე ან სხვა პირების ქმედებაზე ან დაწესებულებაზე; ან ბ) საჯარო პირის ან ნებისმიერი პირის ქმედება, რომელიც ხელმძღვანელობს ან მუშაობს კერძო სექტორის დაწესებულებისთვის ნებისმიერ დონეზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ შუამდგომლობს ან იღებს ნებისმიერი ბუნების შეუსაბამო უპირატესობას, შესაბამისი პირისთვის ან სხვა პირისთვის ან დაწესებულებისთვის, რათა ეს პიროვნება იქცევა ან თავს იკავებს კანონის დარღვევისგან, ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ან პროფესიული ვალდებულებისგან და ექნება გავლენა საკუთარ ქმედებაზე ან სხვა პიროვნების ქმედებაზე ან დაწესებულებაზე.
ანტიკონკურენტული პრაქტიკა	გულისხმობს: ა) ნებისმიერ კონცენტრირებულ ან ნაგულისხმევ ქმედებას, რომლის მიზანია და/ან მისი მოქმედება იწვევს დაბრკოლებას, შეზღუდვას ან დამახინჯებას სამართლიანი კონკურენციის ბაზარზე, რომელიც არ მოიცავს შეზღუდვას, როდესაც ის მიდრეკილია: i) შეზღუდოს ბაზრის ხელმისაწვდომობა ან კონკურენციის უფასო განხორციელება სხვა კომპანიების მიერ; ii) თავიდან აიცილოს ფასის დაწესება ბაზრის თავისუფალი ქმედებისგან, ასეთი ფასების ხელოვნურად გაზრდის ან შემცირების სასარგებლოდ; iii) შეზღუდოს ან

	გააკონტროლოს ნებისმიერი წარმოების, ბაზრების, ინვესტიციების ან ტექნიკური პროგრესი; ან (iv) ბაზრების და მიწოდების წყაროების გაზიარება; ბ) კომპანიის ან კომპანიების ჯგუფის მიერ დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება საშინაო ბაზრების ფარგლებში ან მის არსებით ნაწილში; ან გ) ნებისმიერი შეთავაზება ან ხელოვნურად დაბალ დონეზე ფასების დაწესება, რომლის მიზანი და/ან გავლენა ბაზრიდან განდევნის ან თავიდან აიცილებს კომპანიის ან მისი ერთ-ერთი პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობას.
უფლებამოსილება (ები)	გულისხმობს ნებისმიერ ავტორიზაციას, თანხმობას, დამტკიცებას, რეზოლუციას, ნებართვას, ლიცენზიას, გათავისუფლებას, შეტანას, ნოტარიულ დამოწმებას ან რეგისტრაციას, ან ნებისმიერ გათავისუფლებას მიღებულს ან უზრუნველყოფილს უფლებამოსილი პირის მიერ, მიუხედავად იმისა, მიღებულია თუ არა აქტით, ან ითვლება თუ არა მიღებულად თუ არ არის მიღებული პასუხი განსაზღვრულ დროში, ისევე როგორც ნებისმიერი უზრუნველყოფა და თანხმობა მიცემული გამსესხებელის მიერ.
უფლებამოსილი პირი(ები)	გულისხმობს ნებისმიერ სამთავრობო ან კანონიერ ორგანოს, დეპარტამენტს ან კომისიას, რომელიც ახორციელებს საჯარო პრეროგატივას ან ნებისმიერი ადმინისტრაციული, სასამართლო, სააგენტო ან სახელმწიფო ან ნებისმიერი სამთავრობო, ადმინისტრაციული, საგადასახადო ან სასამართლო ორგანო.
ხელმისაწვდომობის პერიოდი	მოიცავს პერიოდს ხელმოწერის თარიღის ჩათვლით ჩარიცხვის ბოლო თარიღამდე.
ხელმისაწვდომი კრედიტი	გულისხმობს დროის ნებისმიერ მონაკვეთში განსაზღვრულ რესურსის მაქსიმალურ ძირითად თანხას გამოკლებული: (i) მსესხებლის მიერ შედგენილი ნებისმიერი ჩარიცხვის მთლიანი რაოდენობა; (ii) ნებისმიერი ჩარიცხვის რაოდენობა გაკეთებული დაუმთავრებელი ჩარიცხვის მოთხოვნის თანახმად; და (iii) რესურსის ნებისმიერი ნაწილი, რომელიც გაუქმდა 11.3 (გაუქმება მსესხებლის მიერ) და/ან 11.4 (გაუქმება გამსესხებლის მიერ) მუხლების თანახმად.
მსესხებლის ანგარიში	გულისხმობს ანგარიშს შემდგომი დეტალებით: • IBAN კოდი: GE65NB0331100001150207 • ბანკის SWIFT კოდი: BNLNGE22 გახსნილი მსესხებლის სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში.
სამუშაო დღე	გულისხმობს დღეს (შაბათ-კვირის გარდა), როდესაც ბანკები არის გახსნილი პარიზის სამუშაო დღის შესაბამისად და რომელიც არის მიზნობრივი დღე ჩარიცხვისთვის.

დამოწმება	გულისხმობს ნებისმიერ ასლის, ფოტოასლის ან ორიგინალური დოკუმენტის სხვა ასლის დამოწმებას ნებისმიერი უფლებამოსილი პირის მიერ, როგორც დადასტურება ორიგინალი დოკუმენტის ასლის, ფოტოასლის ან ასლის.
თანადამფინანსებელი	გულისხმობს რეკონსტრუქციისა და განვითარების სართაშორისო ბანკს ("IBRD")
თანადაფინანსება	გულისხმობს PforR-ს დაფინანსებას IBRD-ის მიერ პროგრამის კონტექსტში, როგორც ეს აღწერილია დანართ 1-ში – პროგრამის აღწერა.
თანადაფინანსების შეთანხმება	ნიშნავს ხელშეკრულებას, რომელიც უნდა დაიდოს გამსესხებელსა და თანადამფინანსებელს შორის, რომელიც ითვალისწინებს პირობებს, რომლითაც, გამსესხებელი და თანადამფინანსებელი განახორციელებენ პროგრამის და რიგი მონიტორინგის სამუშაოების თანადაფინანსებას, რის უფლებასაც კრედიტორი გადასცემს თანადამფინანსებელს რესურსთან და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით
თანადამფინანსებლის სასესხო შეთანხმება	აქვს ამ ტერმინის მნიშვნელობა ჩარჩო შეთანხმების პუნქტებში
ჩამორიცხვის ბოლო ვადა	გულისხმობს თარიღს, რომლის შემდეგაც აღარ მოხდება ჩამორიცხვა, როგორც ეს მითითებულია რესურსის დამტკიცებაში
ჩამორიცხვის და ფინანსური ინფორმაციის წერილი ან DFIL	ნიშნავს თანადამფინანსებლის მიერ მსესხებლისათვის გაცემული თანხის გაცემის და ფინანსური ინფორმაციის წერილს (გამსესხებელთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგ), რომელშიც მოცემულია ინსტრუქციები სახსრებისა ჩარიცხვისთვის რესურსის და თანადამფინანსებლის სასესხო შეთანხმების მიხედვით, თანადაფინანსების შეთანხმების შესაბამისად.
ჩამორიცხვასთან დაკავშრებული შედეგი ან DLR	ნიშნავს 1-ლ განრიგში დადგენილ შედეგს, რომლის მიღწევის საფუძველზე შესაძლებელია აღნიშნულ შედეგზე გამოყოფილი სახსრების ოდენობის გამოყენება აღნიშნული განრიგის 1 – პროგრამის აღწერილობის დებულებების შესაბამისად
ჩამორიცხვის შეტყობინება	ნიშნავს თანადამფინანსებლის მიერ გამსესხებლისთვის გამოგზავნილ შეტყობინებას, რომელიც ურჩევს გამსესხებელს, ხელმისაწვდომი გახადოს მსესხებლისათვის მოთხოვნილი თანხა, თანადაფინანსების ხელშეკრულების შესაბამისად.
ჩამორიცხვა	გულისხმობს მე-6 მუხლში (ფულადი სახსრების ჩამორიცხვა) დადგენილი ვადების და პირობების თანახმად მთლიან ჩამორიცხვას ან რესურსის ნაწილს, რომელიც გამსესხებელმა გახადა ხელმისაწვდომი მსესხებლისათვის ან ძირითადი რაოდენობა ისეთი გადაუხდელი ჩამორიცხვების, რომელიც რჩება სავალდებულო ან გადასახდელი მოცემულ დროში.
ჩამორიცხვის თარიღი	გულისხმობს თარიღს, როდესაც გამსესხებელი ხელმისაწვდომს ხდის ჩამორიცხვას.

ჩამორიცხვის პერიოდი	გულისხმობს პერიოდს ჩამორიცხვის დაწყების თარიღიდან მომდევნო თარიღამდე და მოიცავს: (i) თარიღს, როდესაც ხელმისაწვდომი კრედიტი უტოლდება ნულს; (ii) ჩამორიცხვის ბოლო ვადას.
ჩამორიცხვის მოთხოვნა	გულისხმობს მოთხოვნას, არსებითად ჩარჩო შეთანხმების მე-5 განრიგის (რესურსის ჩამორიცხვის ფორმები) I ნაწილში დადგენილი ფორმით (ჩამორიცხვის მოთხოვნის ფორმა).
ემბარგო	გულისხმობს კომერციული ბუნების ნებისმიერ სანქციას, რომლის მიზანია ნებისმიერი ერთი ან რამოდენიმე საქონლის, პროდუქტების იმპორტის და/ან ექსპორტის (მიწოდება, გაყიდვა ან ტრანსფერი) აკრძალვა, ან ქვეყნიდან მოცემულ პერიოდში სერვისების გასვლის და/ან შემოსვლის აკრძალვა, როგორც გამოქვეყნებულია და შეცვლილია დროდადრო გაერთიანებული ერების, ევროკავშირის ან საფრანგეთის მიერ.
ES საჩივრების მართვის პროცედურები	გულისხმობს გარემოსდაცვითი და სოციალური საჩივრების მართვის პროცედურებში არსებულ ხელშეკრულების პირობებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე, როგორც შეცვლილია დროდადრო.
ძალაში შესვლის თარიღი	ნიშნავს თარიღს, როდესაც საქართველოს პარლამენტი მოახდენს ჩარჩო შეთანხმების რატიფიცირებას, რომლის რატიფიცირება ხდება ხელმოწერის თარიღიდან არაუგვიანეს ას ოცი (120) დღისა.
EURIBOR	გულისხმობს, ბანკთა შორის მისაღებ განაკვეთს ევროში; ნებისმიერი ევროში განთავსებული დეპოზიტების შესაბამისი პერიოდისთვის, რომელიც შეესაბამება ჩამორიცხვის საპროცენტო პერიოდს, როგორც განსაზღვრულია ევროპის ფულადი ბაზრების ინსტიტუტის მიერ (EMMI), ან ნებისმიერი მემკვიდრე ადმინისტრატორის მიერ, ბრუსელის დროით 11:00 საათზე, საპროცენტო პერიოდის პირველ დღეზე ორი (2) სამუშაო დღით ადრე.
ევრო ან EUR	გულისხმობს, ევროპის ეკონომიკური და მონეტარული გაერთიანების წევრი ქვეყნების, მათ შორის საფრანგეთის, ერთიან ვალუტას, და აქვს კანონიერი ტენდერი წევრ ქვეყნებში.
ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევა	გულისხმობს 16.1 მუხლში (ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევა) დადგენილ ნებისმიერ შემთხვევას ან გარემოებას.
რესურსი	ნიშნავს ნებისმიერ საშუალებას, რომელიც გამსესხებელს შეუძლია მსესხებლისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მსესხებელსა და გამსესხებელს შორის დადებული რესურსის დამტკიცების ვადების და პირობების შესაბამისად
რესურსის დამტკიცება	ნიშნავს დამტკიცებას, რომელიც დაკავშირებულია რესურსთან, არსებითად, ჩარჩო შეთანხმების მე-4 განრიგის (რესურსის ხელმისაწვდომობის ფორმა) III ნაწილით (რესურსის დამტკიცების ფორმა) განსაზღვრული ფორმით.

რესურსის დამტკიცების ხელმოწერის თარიღი	ნიშნავს მსესხებლის მიერ რესურსის დამტკიცების თარიღს.
რესურსის მოთხოვნა	ნიშნავს მოთხოვნას არსებითად იმ ფორმით, რომელიც მითითებულია ჩარჩო შეთანხმების მე-4 განრიგის (რესურსის ხელმისაწვდომობის ფორმა) I ნაწილში (რესურსის მოთხოვნის ფორმა).
საბოლოო თარიღი	აქვს ჩარჩო შეთანხმების მე-3 მუხლით (ჩარჩო შეთანხმების ხანგრძლივობა) მინიჭებული მნიშნელობა
ფინანსური პირობების წინადადება	ნიშნავს წინადადებას არსებითად იმ ფორმით, რომელიც მითითებულია ჩარჩო შეთანხმების მე-4 განრიგის (ფორმა კრედიტის ხელმისაწვდომობისათვის) II ნაწილში(ფინანსური პირობების წინადადების ფორმა)
ფინანსური დავალიანება	გულისხმობს ნებისმიერ ფინანსურ დავალიანებას მის მიმართ და შემდეგისთვის: ა) ნებისმიერი ფული ნასესხები მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისთვის; ბ) ნებისმიერი რაოდენობა, რომელიც წარმოიშობა ბონდების, ობლიგაციების, სესხის კაპიტალის ან მსგავსი ინსტრუმენტების გამოცემისას; გ) ნებისმიერი ფულადი თანხები წარმოშობილი სხვა ტრანზაქციების (მოიცავს ნებისმიერ წინსწრებ გაყიდვას ან ყიდვის შეთანხმებას) ფარგლებში, რომელსაც აქვს სესხების კომერციული ეფექტი; დ) ნებისმიერი წარმოებული ტრანზაქცია, რომელიც დადებულია ნებისმიერი კურსის ან ფასის რყევებისგან დასაცავად ან სარგებლისთვის (და, ნებისმიერი წარმოებული ტრანზაქციის ღირებულების გაანგარიშებისას, მხოლოდ მარკირებული საბაზრო ღირებულებით (ან, თუ ამის შედეგად რაიმე რეალური თანხაა გადასახდელი ამ წარმოებული ტრანზაქციის შეწყვეტის ან დახურვისას მხედველობაში მიიღება ეს თანხა); ან ე) ნებისმიერი პოტენციური გადახდის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს გარანტიიდან, ობლიგაციიდან ან ნებისმიერი სხვა ინსტრუმენტიდან.
ფინანსური სანქციების ჩამონათვალი	გულისხმობს პიროვნებების, ჯგუფების ან დაწესებულებების ჩამონათვალს, რომლებიც არიან ფინანსური სანქციების სუბიექტები გაერთიანებული ერების, ევროკავშირის და/ან საფრანგეთის მიერ. მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მსესხებლის სარგებლისთვის, რომელიც შეიძლება დაეყრდნოს შემდეგ მითითებებს ან ვებსაიტების მისამართებს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მოხსენიებული ჩამონათვალისთვის შემდეგი ვებ გვერდი შეიძლება გამოყენებული იქნეს კონსულტაციისთვის https://www.un.org/securitycouncil/fr/content/un-sc-consolidated-list

	ევროკავშირის მიერ მოხსენიებული ჩამონათვალისთვის შემდეგი ვებ გვერდები შეიძლება გამოყენებული იქნეს კონსულტაციისთვის: https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/8442/consolidated-list-sanctions_en საფრანგეთის მიერ მოხსენიებული ჩამონათვალისთვის შემდეგი ვებ გვერდები შეიძლება გამოყენებული იქნეს კონსულტაციისთვის: https://www.tresor.economie.gouv.fr/services-aux-entreprises/sanctions-economiques/dispositif-national-de-gel-des-avoirs
ფინანსური დოკუმენტები	გულისხმობს ჩარჩო შეთანხმებას და თითოეულ რესურსთან დაკავშირებულ დაწესებულების მოთხოვნას, ფინანსური პირობების წინადადებას, რესურსის დამტკიცებას და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრულია მხარეთა მიერ.
საფინანსო გეგმა	გულისხმობს პროგრამის დაფინანსების გეგმას, რომელიც მოცემულია ჩარჩო შეთანხმების განრიგ 1-ში.
ფიქსირებული მითითებული განაკვეთი	გულისხმობს პროცენტს, რომელიც მითითებულია ობიექტის დამტკიცებაში.
ჩარჩო შეთანხმება	ნიშნავს მსესხებელსა და AFD-ს შორის დადებულ ჩარჩო შეთანხმებას შეუსრულებელ საკრედიტო რესურსებზე, მათ შორის მის ფაქტების ჩამონათვალს, განრიგს და, საჭიროების შემთხვევაში, მასში წერილობით შეტანილ ნებისმიერ ცვლილებას.
თაღლითობა	გულისხმობს ნებისმიერ არაპატიოსან პრაქტიკას (ქმედებებს ან წინდაუხედაობას), რომელიც განზრახ არის მიმართული სხვების შეცდომაში შესაყვანად, განზრახ შენიღბავს ელემენტებს მათგან; ან მოტყუებას ან მისი თანხმობის გატეხვას, რომ გვერდი აუაროს ნებისმიერ კანონიერი ან რეგულაციურ მოთხოვნებს და/ან დაარღვიოს მსესხებლის ან მესამე მხარის შიდა წესები და პროცედურები, რათა მიიღოს არალეგიტიმური სარგებელი.
თაღლითობა ევროკავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ	გულისხმობს ნებისმიერ საერთაშორისო ქმედებას ან წინდაუხედაობას, რომელიც მიმართულია ევროკავშირის ბიუჯეტის დაზიანებისკენ და მოიცავს i) სიცრუის გამოყენებას და წარმოდგენას, დაუსრულებელ და დაუზუსტებელ განცხადებებს ან დოკუმენტებს, რომელიც მოქმედებს, როგორც მითვისება ან ფულადი სახსრების არასწორი შეჩერება ან ევროკავშირის ზოგადი ბიუჯეტის რესურსების ნებისმიერი არაკანონიერი შემცირება; ii) იგივე შედეგი აქვს ინფორმაციის არ დართვას; და iii) მითვისება ფულადი სახსრების ისეთი მიზნებისთვის, რომელიც არ შეესაბამება განსაზღვრულს.
GoG	საქართველოს მთავრობა
საშეღავათო პერიოდი	გულისხმობს პერიოდს რესურსის დამტკიცების ხელმოწერის თარიღიდან და რესურსის ძირითადი თანხის პირველი დაფარვის თარიღამდე (მოიცავს).

ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამა	იგულისხმება საქართველოს მთავრობის პროგრამა ადამიანური კაპიტალისთვის 2022-2031 წლებში, რომელიც ითვალისწინებს პოლიტიკის პრიორიტეტებს ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და ქვეყნის განვითარებაში მის ეფექტურ ჩართულობას. ამ GoG პროგრამის შინაარსი შემუშავებულია ორ სტრატეგიაში, რომელიც მომზადებულია სამინისტროსა და MoES-სა და MoIHLSA-ს მიერ.
ადამიანური კაპიტალის მმართველი კომიტეტი ან HCSC	გულისხმობს მინისტრთა დონის კომიტეტს, რომელსაც ხელმძღვანელობს ფინანსთა სამინისტრო, MoES-სა და MoIHLSA-ს და სხვა შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებთან ერთად და რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა გააკონტროლოს PforR-ის განხორციელების საერთო კოორდინაცია.
უკანონო წარმოშობა	გულისხმობს ფულად სახსრებს მიღებულს: ა) ნებისმიერი პროგნოზირებული დანაშაულის ჩადენა როგორც განსაზღვრულია FATF 40 რეკომენდაციებში „განსაზღვრული დარღვევების კატეგორიები“ (http://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/recommendations/pdfs/FATF_Recommendations.pdf); (ბ) ნებისმიერი კორუფციული ქმედება; ან (გ) ნებისმიერი თაღლითობა ევროკავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ თუ ან როცა მისაღებია.
ინდექსირებული განაკვეთი	გულისხმობს TEC 10-ის დღიურ ინდექსს, გამოქვეყნებულს ყოველდღიურად მითითებული ფინანსური ინსტიტუტის შესაბამის ვებ გვერდზე ან ნებისმიერ სხვა ინდექსს, რომელსაც შეუძლია ჩაანაცვლოს TEC 10 ყოველდღიური ინდექსი. ინდექსის განაკვეთი მითითებულია რესურსის დამტკიცებაში რესურსის დამტკიცების ხელმოწერის დღეს.
საპროცენტო განაკვეთის პერიოდი (ები)	გულისხმობს, თითოეულ პერიოდს გადახდის თარიღიდან (მოიცავს) შემდეგ გადახდის თარიღამდე (არ მოიცავს). თითოეული ჩამორიცხვისთვის რესურსის ფარგლებში, პირველი საპროცენტო განაკვეთის პერიოდი უნდა დაიწყოს ჩამორიცხვის თარიღიდან (მოიცავს) და დამთავრდეს შემდეგ გადახდის თარიღამდე (არ მოიცავს).
საპროცენტო განაკვეთი	ნიშნავს პროცენტულად გამოხატულ საპროცენტო განაკვეთს და განისაზღვრება ჩარჩო შეთანხმების 7.1 მუხლის (თითოეულ რესურსის საპროცენტო განაკვეთი) შესაბამისად.
მარჟა	გულისხმობს განაკვეთს, რომელიც დადგენილია რესურსის დამტკიცებაში.
ბაზრის დარღვევის შემთხვევა	გულისხმობს შემდეგიდან ერთის მოხდენას: (i) EURIBOR არ არის განსაზღვრული ევროპის ფულადი ბაზრების ინსტიტუტის მიერ (EMMI), ან ნებისმიერი უფლებამონაცვლის მიერ, ბრიუსელის დროით 11:00 საათზე, ორი (2) სამუშაო დღით ადრე შესაბამისი საპროცენტო პერიოდის პირველ დღეზე; ან

	(ii) შესაბამისი ბანკთაშორისი ბაზრის საქმიანობის დახურვამდე, შესაბამისი საპროცენტო პერიოდის პირველ დღეზე ორი(2) სამუშაო დღით ადრე, მსესხებელი იღებს შეტყობინებას გამსესხებლისგან, რომ i) შესაბამისი რესურსების მიღების გამსესხებლის ღირებულება შესაბამის ბანკთა შორის ბაზრებზე იქნება EURIBOR-ზე მეტი შესაბამისი საპროცენტო პერიოდისთვის; ან ii) შეუძლებელი იქნება შესაბამისი რესურსების მიღება შესაბამისი ბანკთაშორისი ბაზრისთვის ჩვეულებრივი კურსით, შესაბამისი ჩამორიცხვის დასაფინანსებლად დროის შესაბამისი პერიოდისთვის.
მატერიალურად არახელსაყრელი გავლენა	გულისხმობს მატერიალურ და არახელსაყრელ გავლენას შემდეგზე: (ა) შესაბამის პროგრამულ ტრანშზე, რამდენადაც ეს საფრთხეს შეუქმნის მის განხორციელებას და ფუნქციონირებას ფინანსური დოკუმენტების ან/და პროგრამული დოკუმენტების შესაბამისად; (ბ) მსესხებლის ბიზნესზე, აქტივებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე ან მის უნარზე, შეასრულოს ფინანსური დოკუმენტებითა და პროგრამული დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებები; (c) ნებისმიერი ფინანსური დოკუმენტისა და ნებისმიერი პროგრამული დოკუმენტის ვალიდურობაზე ან აღსრულებადობაზე; ან (დ) გამსესხებლის ნებისმიერ უფლებაზე ან დაცვის საშუალებაზე ნებისმიერი ფინანსური დოკუმენტის საფუძველზე.
MoES	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MoF	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
MoILHSA	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
გადაუხდელი ძირითადი თანხა	გულისხმობს, ნებისმიერი ჩამორიცხვის მიმართ გადაუხდელ ძირითად თანხას ამ ჩამორიცხვის თანახმად
გადახდის თარიღი	გულისხმობს ყოველი წლის 15 მარტს და 15 სექტემბერს
გადახდის სისტემის დარღვევის შემთხვევა	გულისხმობს ერთ ან ორივეს შემდეგიდან: (ა) საგადახდო ან საკომუნიკაციო სისტემების ან ფინანსური ბაზრების არსებითი შეფერხება, რომლებიც, ყოველ შემთხვევაში, საჭიროა იმისთვის, რომ განხორციელდეს გადახდები რესურსთან დაკავშირებით (ან სხვაგვარად იმ ტრანზაქციების ჩასატარებლად, რომლებსაც განიხილავს შესასრულებელი ფინანსური დოკუმენტები), იმ პირობით, რომ შეფერხება არ არის გამოწვეული რომელიმე მხარის მიერ და არ ქვემდებარეა მის კონტროლს; ან (ბ) ნებისმიერი სხვა მოვლენის დადგომა, რომელიც გამოიწვევს (ტექნიკური ან სისტემური ხასიათის) შეფერხებას მხარის ხაზინის ან გადახდის ოპერაციებში, რომელიც ხელს უშლის ამ ან რომელიმე სხვა მხარის:

	(i) ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებების შესრულება; ან (ii) სხვა მხარეებთან კომუნიკაციაში ფინანსური დოკუმენტების პირობების შესაბამისად, და რომელიც (ერთ-ერთ შემთხვევაში) არ არის გამოწვეული და სცილდება რომელიმე მხარის კონტროლის.
პროგრამის საკოორდინაციო ერთეული	ნიშნავს ერთეულს, რომელიც შეიქმნა PforR-ის განხორციელების კოორდინაციისა და მონიტორინგის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს ფარგლებში, რომელიც შედგება ფინანსთა სამინისტროს, MoES-სა და MoIHLSA-ს წევრებისაგან.
წინასწარი გადახდის კომპენსაციური ანაზღაურება	გულისხმობს ანაზღაურებას, რომელიც გამოითვლება შემდეგი პროცენტის გამოყენებით რესურსის ოდენობაზე ან რესურსზე, რომელიც წინასწარ არის დაფარული: - თუ გადახდა მოხდება ხელმოწერის თარიღიდან 5 წლის შემდეგ თარიღამდე (არ მოიცავს) : ორი მთელი ხუთი პროცენტი (2,5%); - თუ გადახდა მოხდება ხელმოწერის თარიღიდან 5 წლის შემდეგ თარიღსა (მოიცავს) და 10 წლის შემდეგ თარიღს (არ მოიცავს) შორის: ორი პროცენტი (2%); - თუ გადახდა მოხდება ხელმოწერის თარიღიდან 10 წლის შემდეგ თარიღსა (მოიცავს) და 15 წლის შემდეგ თარიღს (არ მოიცავს) შორის: ერთი მთელი ხუთი პროცენტი (1,5%); - თუ გადახდა მოხდება ხელმოწერის თარიღიდან 15 წლის შემდეგ (მოიცავს): ერთი პროცენტი (1%).
პროგრამა	მნიშვნელობა მინიჭებული აქვს ჩარჩო შეთანხმების პირობების მიხედვით. -
პროგრამის დოკუმენტები	ნიშნავს შემდეგ დოკუმენტებს: - შედეგების ჩარჩო მატრიცა, რომელიც მოცემულია IBRD-ის პროექტის შეფასების დოკუმენტის დანართში 1 - DLR-ები, ჩამორიცხვები, ვერიფიკაციის პროტოკოლები AFD-ის მიერ თანადაფინანსებული თითოეული DLR-სთვის, როგორც აღწერილია IBRD-ის პროექტის შეფასების დოკუმენტის დანართ 2-ში. - DFIL
პროგრამა შედეგებისთვის ან PforR	გულისხმობს IBRD-ის წვლილს (358,5 MEUR) ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამის 2022-2027 წლების ნაწილში. PforR ხორციელდება 3 შედეგის სფეროს, 4 ჩარიცხვასთან დაკავშირებული ინდიკატორის (DLI) და 26 ჩარიცხვასთან დაკავშირებული შედეგის (DLR) მეშვეობით.
პროგრამის ტრანშები	ნიშნავს პროგრამის ტრანშს 1 და პროგრამის ტრანშს 2, როგორც ეს მოცემულია ჩარჩო შეთანხმების 1 განრიგში - პროგრამის აღწერა.

საჯარო წარმომადგენლები	გულისხმობს ნებისმიერ მფლობელს საკანონმდებლო, აღმასრულებელი, ადმინისტრაციული ან იურიდიული ოფისის დანიშნულს ან არჩეულს, მუდმივ მომსახურეს ან სხვა შემთხვევაში, ანაზღაურებადს ან არაანაზღაურებადს რანგის მიუხედავად, ან ნებისმიერი სხვა პიროვნება განსაზღვრული, როგორც საჯარო წარმომადგენელი მსესხებლის შიდა კანონმდებლობის იურისდიქციის ფარგლებში, და ნებისმიერი სხვა პიროვნება, რომელიც ასრულებს საჯარო ფუნქციებს მათ შორის სახელმწიფო სააგენტო ან ორგანიზაცია, ან საჯარო სერვის მიმწოდებელი.
საპროცენტო განაკვეთის კონსერვაცია	გულისხმობს მცურავი გაცვლითი კურსის კონვერტაციას ფიქსირებულ განაკვეთზე, რომელიც მისაღებია მთლიანი რესურსისთვის ან რესურსების ნაწილისთვის 7.1 მუხლის თანახმად (საპროცენტო განაკვეთი).
კონსერვაციის მოთხოვნის ფორმა	ნიშნავს მოთხოვნას იმ ფორმით, რომელიც თან ერთვის ჩარჩო შეთანხმებას მე-5 განრიგის (ჩამორიცხვების ფორმები) III ნაწილში (კურსების კონვერტაციის მოთხოვნის ფორმა).
საპროცენტო განაკვეთის თარიღის დადგენა	გულისხმობს: I- ნებისმიერ საპროცენტო განაკვეთის პერიოდთან მიმართებაში, რომლისთვისაც უნდა განისაზღვროს საპროცენტო განაკვეთი: (i) გამსესხებლის მიერ ჩამორიცხვის მოთხოვნის მიღების მომდევნო პირველი ოთხშაბათი (ან, თუ ეს დღე არის არა სამუშაო დღე მომდევნო სამუშაო დღე), იმის უზრუნველყოფით, რომ ეს თარიღი არის ამ ოთხშაბათის წინა სულ მცირე ორი (2) სამუშაო დღე; და (ii) კრედიტორის მიერ ჩამორიცხვის მოთხოვნის მიღების მომდევნო მეორე ოთხშაბათი (ან, თუ ეს დღე არის არასამუშაო დღე მომდევნო სამუშაო დღეს), თუ ეს თარიღის არ არის სულ მცირე ორი (2) სამუშაო დღით ადრე პირველი ოთხშაბათისა, როგორც განსაზღვრულია ზემოთ ქვეპუნქტ ა-ში; და II- საპროცენტო განაკვეთის კონსერვაციის შემთხვევა: (i) გამსესხებლის მიერ საპროცენტო განაკვეთის კონსერვაციის მოთხოვნის მიღების მომდევნო პირველ ოთხშაბათს(ან, თუ ეს დღე არის არასამუშაო დღე მომდევნო სამუშაო დღეს) იმის უზრუნველყოფით, რომ ეს თარიღი არის ამ ოთხშაბათის წინა სულ მცირე ორი (2) სამუშაო დღე; და (ii) გამსესხებლის მიერ საპროცენტო განაკვეთის კონსერვაციის მოთხოვნის მიღების მომდევნო მეორე ოთხშაბათს (ან, თუ ეს დღე არის არასამუშაო დღე მომდევნო სამუშაო დღეს, თუ ეს თარიღი არ არის სულ მცირე ორი (2) სამუშაო დღით ადრე პირველი ოთხშაბათისა.
მითითებული ფინანსური ინსტიტუტები	ნიშნავს ფინანსურ ინსტიტუტს, რომელიც შერჩეულია გამსესხებლის მიერ როგორც შესაფერისი კომპეტენტური ფინანსური ინსტიტუტი და რომელიც რეგულარულად აქვეყნებს ფინანსური ინსტრუმენტების ქვოტირებას ერთ-ერთ საერთაშორისო ფინანსურ ინფორმაციის ქსელზე დაყრდნობით საბანკო ინდუსტრიის მიერ აღიარებული პრაქტიკების მიხედვით.
SAO	საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.
განრიგი (ები)	გულისხმობს ამ შეთანხმების ნებისმიერ განრიგს ან განრიგებს.

ხელმოწერის თარიღი	გულისხმობს მხარეების მიერ შეთანხმებულ ამ შეთანხმების აღსრულების თარიღს.
მიზნობრივი დღე	გულისხმობს დღეს, როდესაც ტრანს ევროპული ავტომატური დროის მთლიანი ანგარიშსწორების გამომხატველი ტრანსფერი 2 (TARGET2) სისტემა ან ნებისმიერი უფლებამონაცვლე, არის ღია გადახდების ანგარიშსწორებისთვის ევროში.
გადასახადი (ები)	გულისხმობს ნებისმიერ გადასახადს, ბეგარას, საბაჟო გადასახადს, ვალდებულებას ან სხვა ვალდებულებას ან მსგავსი ბუნების დაკავებას (მათ შორის ნებისმიერ ჯარიმას ან პროცენტს გადასახდელს გადახდის წარუმატებლობასთან დაკავშირებით ან ნებისმიერ რაოდენობის გადახდის გადადებას).
ტექნიკური დასრულების დღე	ნიშნავს დღეს პროგრამის ტრანშის ტექნიკური დასრულებისთვის, როგორც ეს მოცემულია რესურსის მოთხოვნაში
შეწყვეტის თარიღი	ამ ტერმინს მნიშვნელობა მინიჭებული აქვს მე-3 მუხლის (ჩარჩო შეთანხმების ხანგრძლივობა) მიხედვით
ხილვადობისა და კომუნიკაციის გზამკვლევი	ნიშნავს მსესხებლისათვის სავალდებულო ყველა სახელშეკრულებო დებულებას, რომელიც ეხება AFD-ის მიერ დაფინანსებული პროექტების კომუნიკაციას და ხილვადობას და რომელიც მოცემულია დოკუმენტში სახელწოდებით " AFD-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტების ხილვადობის სახელმძღვანელო - დონე 1", რომლის ასლი გადაეცა მსესხებელს ხელმოწერის თარიღამდე.
ვებ გვერდი	გულისხმობს AFD-ის ვებ გვერდს (http://www.afd.fr/) ან სხვა ჩამნაცვლებელ ვებ გვერდს.
თანხის გამოთხოვის განაცხადი	აქვს თანადაფინანსების სასესხო შეთანხმებით მინიჭებული მნიშვნელობა.
საშემოსავლო გადასახადი	გულისხმობს, ნებისმიერ გამოქვითვას ან შეჩერებას გადასახადებთან მიმართებაში შეთანხმების ფარგლებში ან მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადახდას.

II ნაწილი- ინტერპრეტაცია

ა) „აქტივები“ მოიცავს მიმდინარე და მომავალ საკუთრების უფლებებს, შემოსავლებს და ყოველი აღწერის უფლებებს;

ბ) ნებისმიერი მითითება „მსესხებელზე“, „მხარეზე“ ან „გამსესხებელზე“ გულისხმობს სათაურში მის უფლებამონაცვლეებს, ნებადართულ უფლებამონაცვლეებს და უფლების მიმღებებს;

გ) ნებისმიერი მითითება წინამდებარე შეთანხმებასა ან სხვა დოკუმენტზე არის მითითება ამ შეთანხმებაზე ან მსგავს დოკუმენტზე, რომელიც შეცვლილია, განახლებულია ან დამატებულია და თუ შესაძლებელია მოიცავს ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც ანაცვლებს მას ახლით შეთანხმებიდან გამომდინარე.

დ) „გირაო“ მოიცავს ნებისმიერ გაფრთხილებას, თამასუქს და გირაოს, რომელიც არის იმ ვალისგან დამოუკიდებელი რომელსაც უკავშირდება;

ე) „დავალიანება“ გულისხმობს ნებისმიერი პირის ნებისმიერ ვალდებულებას, ნებისმიერი (იქნება ეს ძირითადი თანხა თუ გარანტია) თანხის გადახდის ან დაფარვისთვის, მიუხედავად იმისა ეს არის მიმდინარე, მომავალი, ფაქტიური თუ პირობითი;

ვ) „პირი“ მოიცავს ნებისმიერ პირს, კომპანიას, კორპორაციას, ამხანაგობას, სანდოობას, მთავრობას, სახელმწიფოს ან სახელმწიფო სააგენტოს ან ნებისმიერ ასოციაციას, ან ორ ან მეტ ზემოხსენებული ჯგუფს (იმისდა მიუხედავად აქვთ თუ არა ცალკეული კანონიერი ინდივიდუალურობა);

ზ) „რეგულაცია“ მოიცავს ნებისმიერი სამთავრობო, მთავრობათაშორისი ან სახელმწიფო ორგანოს, საზედამხედველო ორგანოს, მარეგულირებელ ორგანოს, დამოუკიდებელ ადმინისტრაციული ორგანოს, სააგენტოს, დეპარტამენტის ან ნებისმიერი სხვა ორგანოს ნებისმიერი განყოფილების ან ორგანიზაციის (მათ შორის ნებისმიერ რეგულაციას მიღებულს ინდუსტრიული ან კომერციული საჯარო დაწესებულების მიერ) ნებისმიერ კანონმდებლობას, რეგულაციას, წესს, განკარგულებას, ოფიციალურ დირექტივას, ინსტრუქციას, მოთხოვნას, რჩევას, რეკომენდაციას, გადაწყვეტილებას ან დირექტივას (მიუხედავად იმისა აქვთ თუ არა კანონის ძალა), რომელსაც აქვს გავლენა ამ შეთანხმებაზე ან მხარის უფლებებსა ან ვალდებულებებზე;

თ) „კანონის დებულება“ არის მითითება შეცვლილი დებულებისადმი;

ი) თუ სხვაგვარად არ არის მოთხოვნილი, დრო არის მითითებული პარიზის დროზე;

კ) პუნქტი, ქვეპუნქტი და განრიგი არის დასათაურებული მითითება მხოლოდ სიმარტივისთვის და არ აქვს გავლენა შეთანხმების ინტერპრეტაციაზე;

ლ) თუ სხვაგვარად არ არის მოთხოვნილი, სიტყვებს და გამონათქვამებს გამოყენებულს ამ შეთანხმებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა დოკუმენტში ან ამ შეთანხმებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ცნობაში აქვთ იგივე მნიშვნელობა დოკუმენტსა და ცნობებში როგორც შეთანხმებაშია;

მ) ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევა არის „გაგრძელებადი“ თუ ის არ აწაზღაურებულა ან თუ გამსესხებელმა არ გაათავისუფლა მასთან დაკავშირებული ნებისმიერი უფლებები; და

ო) მრავლობითმა სიტყვებმა უნდა მოიცვას სიტყვის მხოლობითი მნიშვნელობა და პირიქით.

განრიგი 3 - წინაპირობები

მიმდინარე განრიგი შეესაბამება ყველა დოკუმენტს, რომლებსაც მსესხებელი წარმოადგენს როგორც წინასწარ პირობებს:

- თუ გადაცემული დოკუმენტი არის არა ორიგინალი, არამედ ასლი, ორიგინალის დამოწმებული ასლი უნდა გადაეცეს გამსესხებელს;
- დამხმარე დოკუმენტები, როგორიცაა მემორანდმები ან მიღებული ანგარიშ-ფაქტურები, შეიძლება მოწოდებული იყოს ასლების ან დუბლიკატების სახით, დამოწმებული მსესხებლის მიერ, როგორც ნამდვილი ასლები და უნდა შეიცავდეს საგადახდო დავალების ნომრებსა და თარიღებს;
- დოკუმენტის საბოლოო ვერსია, რომლის პროექტიც ადრე იყო გაგზავნილი და შეთანხმებული იყო გამსესხებლის მიერ, არსებითად არ უნდა განსხვავდებოდეს შეთანხმებული პროექტისგან.
- დოკუმენტები, რომლებიც ადრე არ იყო გაგზავნილი და შეთანხმებული, უნდა იყოს გამსესხებლისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით და შინაარსით.

ნაწილი I-ჩარჩო შეთანხმების ხელმოწერის წინაპირობები

ა) მსესხებლის მიერ გამსესხებლისადმი შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:

i) საქართველოს მთავრობის განკარგულების დამოწმებული ასლი ფინანსთა სამინისტროს მიერ ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელიც მოიცავს ინფორმაციას შეთანხმების პირობების და წესების და ასევე ფინანსური პირობების შესახებ;

ii) საქართველოს პრემიერ მინისტრის ბრძანების დამოწმებული ასლი საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბატონი ლაშა ხუციშვილის დანიშვნის შესახებ #148, 2021 წლის პირველი აპრილი;

iii) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბატონი ლაშა ხუციშვილის პასპორტის დამოწმებული ასლი ხელმოწერის ნიმუშთან ერთად;

iv) სერთიფიკატი, რომელიც გამოცემულია მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, რომლითაც პირ(ებ)ის სია, რომელიც უფლებამოსილია მსესხებლის სახელით ხელი მოაწეროს ჩამორიცხვის მოთხოვნებს და ამ შეთანხმებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სერტიფიკატს და მიიღოს ყველა სხვა ზომა და/ან ხელი მოაწეროს ყველა სხვა საჭირო დეკუმენტს მსესხესხებლის სახელით აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში;

v) iv ქვეპუნქტში მოცემულ სერტიფიკატში ჩამოთვლილი თითოელი პირის ხელმოწერის ნიმუში

ბ) კრედიტორისთვის მისი იურიდიული კონსულტანტის მიერ იურიდიული დასკვნის საბოლოო პროექტის მიწოდება, რომელიც ფორმითა და შინაარსით არის დამაკმაყოფილებელი, და რომელიც ადასტურებს (i) მსესხებლის ქმედუნარიანობას ხელი მოაწეროს ჩარჩო შეთანხმებას და რესურსის დამტკიცებას და ვალდებულებების შესრულებას, (ii) საფრანგეთის კანონის გამოყენებადობას ჩარჩო შეთანხმებისა და მექანიზმის დამტკიცებისთვის და (iii) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადობას, რომელიც გამოტანილია საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ ჩარჩო შეთანხმების აღსრულების დროს ან რესურსის დამტკიცებისას („სამართლებრივი მოსაზრება“) წარმოქმნილი დავის საფუძველზე.

გ) AFD-სა და IBRD-ს შორის თანადაფინანსების ხელშეკრულების ხელმოწერა.

ნაწილი II-თითოეული რესურსის დამტკიცების ხელმოწერის წინაპირობები

ა) მსესხებელის მიერ გამსესხებელისთვის შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:

(i) საქართველოს მთავრობის განკარგულების დამოწმებული ასლი ფინანსთა სამინისტროს მიერ ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელიც მოიცავს ინფორმაციას შეთანხმების პირობების და წესების და ასევე ფინანსური პირობების შესახებ;

(ii) მსესხებლის მიერ გამსესხებლისათვის ფინანსთა სამინისტროს მიერ სათანადოდ ხელმოწერილი წერილის მიწოდება, რომელიც ადასტურებს, რომ ასეთი სახსრების ჩამორიცხვა არ არღვევს სესხის აღების ლიმიტს ან სხვა მსგავსი ლიმიტს, რომელიც ავალდებულებს მსესხებელს; და;

(iii) ამ განრიგის I (a) (ii)-დან (v) ნაწილში აღნიშნული დოკუმენტების განახლებული ვერსიები, თუ რომელიმე უფლებამოსილი ხელმომწერი შეიცვალა ჩარჩო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ,

ბ) გამსესხებლის კონსულტანტის მიერ გამსესხებლისთვის სამართლებრივი დასკვნის პროექტის მიწოდება, რომელიც მოცემულია ამ დანართის მე-3 (ბ) ქვეპუნქტის (წინაპირობები) შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ამ პროექტში შესწორებების შეიტანაა საჭირო

.

ნაწილი III-რესურსის ფარგლებში პირველი ჩამორიცხვის წინაპირობები

ა) მსესხებელის მიერ გამსესხებელისთვის შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:

(i) საქართველოს პარლამენტის დადგენილების დამოწმებული ასლი, რომელიც ეხება ჩარჩო შეთანხმების რატიფიკაციას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რესურსის დამტკიცება;

(ii) ფინანსთა სამინისტროს მიერ სათანადოდ ხელმოწერილი წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ეს რესურსი შეტანილია საქართველოს „სახელმწიფო სესხის რეესტრში";

(iii) ფინანსთა სამინისტროს მიერ სათანადოდ ხელმოწერილი წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ ჩამორიცხვის ფარგლებში მოსალოდნელი თანხები შედის მსესხებლის შესაბამისი წლის ბიუჯეტში; და

(iv) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სათანადოდ შესრულებული სამართლებრივი დასკვნა ჩარჩო შეთანხმების შესახებ, გამსესხებლისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმითა და შინაარსით.

ბ) მსესხებლის იურისდიქციაში მყოფი, გამსესხებლის იურიდიული მრჩეველების მიერ სათანადოდ შესრულებული სამართლებრივი დასკვნის გამსესხებლისთვს მიწოდება დრაფტის იმ ფორმით, რომელიც მოცემულია I ნაწილის (ბ) ან II ნაწილის (ბ) ქვეპუნქტების შესაბამისად.

გ) მსესხებლის მიერ კრედიტორისთვის ყველა მოსაკრებლისა და ხარჯის დაფარვა ფინანსური დოკუმენტების შესაბამისად.

ნაწილი IV- რესურსის ფარგლებში ყველა ჩამორიცხვის წინაპირობები მათ შორის, პირველი ჩამორიცხვისა

ა) მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის თანადამფინანსებლის მეშვეობით მტკიცებულების მიწოდება, რომ თანხის ჩამორიცხვის მოთხოვნის მიხედვით, ჩამორიცხვასთან დაკავშირებული შედეგი მიღწეულია.

ბ) თანადამფინანსებლის მიერ გამსესხებლისთვის თანხის ჩამორიცხვის შესახებ შეტყობინების მიწოდება, რომელიც ურჩევს გამსესხებელს, რომ მსესხებლისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მოთხოვნილი თანხები.

განრიგი 4- რესურსის ხელმისაწვდომობის ფორმა

ნაწილი I- <u>რესურსის მოთხოვნის ფორმა</u>

(მსესხებლის ბლანკზე)

ადრესანტი: *მსესხებელი* („მსესხებელი")

მიმღები: საფრანგეთის განვითარების სააგენტო ("გამსესხებელი")

[თარიღი]

შესახებ: რესურსის მოთხოვნა

მსესხებლის სახელი- ჩარჩო შეთანხმება n°[●]

ჩვენ ვსაუბრობთ ჩარჩო შეთანხმებაზე n° [●], რომელიც დადებულია მსესხებელსა და გამსესხებელს შორის [●] („ჩარჩო შეთანხმება"). აქ გამოყენებულ, მაგრამ განუმარტებელ სიტყვებსა და გამონათქვამებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, როგორც შეთანხმებაშია.

ჩვენ ვითხოვთ, რომ კრედიტორმა ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახადოს რესურსი შემდეგი პირობებით:

რესურსის რაოდენობა: [ჩასვით თანხა სიტყვიერად] ([●])

პროგრამის ტრანში რესურსის მიხედვით: [●]

ტექნიკური დასრულების თარიღი: [●]

ეს მოთხოვნა შეუქცევადია.

წინამდებარე თარიღისთვის, მსესხებელი აცხადებს, რომ მე-13 მუხლის შესაბამისად მოცემული დებულებები (ჩარჩო შეთანხმებით და თითოეული რესურსით გათვალისწინებული წარმომადგენლობები და გარანტიები) ზუსტია.

ამ რესურსის მოთხოვნას თან ვურთავთ ჩარჩო შეთანხმების მე-3 განრიგის II ნაწილში მითითებულ შემდეგ დოკუმენტებს:

[დოკუმენტების ჩამონათვალი]

პატივისცემით,

.....

მსესხებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ნაწილი II – <u>ფინანსური პირობების წინადადების ფორმა</u>

(AFD-ის ბლანკზე)

ადრესანტი: საფრანგეთის განვითარების სააგენტო („გამსესხებელი")

მიმღები: *მსესხებელი* ("მსესხებელი")

[თარიღი]

შესახებ: ფინანსური პირობების წინადადება

მსესხებლის სახელი- ჩარჩო შეთანხმება n°[●]

ჩვენ ვსაუბრობთ ჩარჩო შეთანხმებაზე n° [●], რომელიც დადებულია მსესხებელსა და გამსესხებელს შორის [●] („ჩარჩო შეთანხმება"). აქ გამოყენებულ, მაგრამ განუმარტებელ სიტყვებსა და გამონათქვამებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, როგორც შეთანხმებაშია.

რესურსის მოთხოვნის მიხედვით, დათარიღებული [●], მსესხებელმა მოითხოვა, რომ გამსესხებელმა მისთვის ხელმისაწვდომი გახადოს რესურსი [თანხა სიტყვიერად] ევროს ([თანხა ციფრებით] EUR) ოდენობით, ჩარჩო შეთანხმებაში დადგენილი პირობების შესაბამისად.

ჩარჩო შეთანხმების მე-4 მუხლის (რესურსის ხელმისაწვდომობა) შესაბამისად, იმ პირობით, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ განიხილება, როგორც AFD-ის ვალდებულება, გასცეს მოთხოვნილი რესურსი, თუ AFD დათანხმდა, რომ რესურსი ხელმისაწვდომი გახადოს მსესხებლისთვის, ასეთი რესურსის ფინანსური პირობები იქნება შემდეგი:

- რაოდენობა : [თანხა სიტყვიერად] ევროს ([თანხა ციფრებით] ევრო)
- [[3/6 თვიანი] EURIBOR პლუს მარჟა : წლიური [პროცენტი სიტყვიერად] ([●]%)
- [ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი] : წლიური [საპროცენტო განაკვეთი სიტვიერად] ([●]%)

[გარდა ამისა, თუ AFD დათანხმდება სესხის მიმღებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს რესურსი, რესურსზე მოქმედი ჩარჩო შეთანხმება შეიცვლება შემდეგნაირად:

(მიუთითეთ შემოთავაზებული მოდიფიკაცია).]

პატივისცემით,

.....

გამსესხებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ჩვენ ვეთანხმებით წინამდებარე ფინანსური პირობების წინადადების პირობებს.

.....

მსესხებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

თარიღი: [●]

ნაწილი III – <u>რესურსის დადასტურების ფორმა</u>

(AFD-ის ბლანკზე)

ადრესანტი: საფრანგეთის განვითარების სააგენტო („გამსესხებელი")

მიმღები: *მსესხებელი* ("მსესხებელი")

[თარიღი]

შესახებ: რესურსის დადასტურება

მსესხებლის სახელი- ჩარჩო შეთანხმება n°[●]

ჩვენ ვსაუბრობთ ჩარჩო შეთანხმებაზე n° [●], რომელიც დადებულია მსესხებელსა და გამსესხებელს შორის [●] („ჩარჩო შეთანხმება"). აქ გამოყენებულ, მაგრამ განუმარტებელ სიტყვებსა და გამონათქვამებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, როგორც შეთანხმებაშია.

1. <u>ვინაიდან</u>

   ჩვენ გვესმის, რომ მსესხებელი აპირებს განახორციელოს [პროგრამის ტრანში 1] /[პროგრამის ტრანში 2], როგორც შემდგომ აღწერილია ჩარჩო შეთანხმების დანართ 1-ში – პროგრამის აღწერა.

[●]-ით დაარიღებული რესურსის მოთხოვნის მიხედვით, მსესხებელმა მოითხოვა, რომ გამსესხებელმა მისთვის ხელმისაწვდომი გახადოს საშუალება ამ პროგრამის ტრანშის ნაწილის დაფინანსების მიზნით, ჩარჩო შეთანხმების შესაბამისად.

ჩარჩო შეთანხმების მე-4 მუხლის (რესურსის ხელმისაწვდომობა) შესაბამისად, [●]-ს, გამსესხებელმა მსესხებელს გადასცა ფინანსური პირობების წინადადება, რომელიც მიღებულია მსესხებლის მიერ [●]-ში.

2. <u>რესურსი</u>

მსესხებლის მიერ რესურსის დამტკიცების ვადებისა და პირობების მიღებაზე თანხმობით და მსესხებლის მიერ ამ დათანხმების თარიღიდან, [●AFD-ის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს] მიერ მიღებული [●რეზოლუციის ნომერი] დადგენილების შესაბამისად, დათარიღებული [●გადაწყვეტის თარიღი], გამსესხებელი მსესხებლისათვის ხელმისაწვდომს ხდის რესურსს მთლიანი მაქსიმალური [თანხა სიტყვებით] ევრო (EUR [თანხა რიცხვებით]) ძირი თანხის ოდენობით, საფინანსო დოკუმენტების დებულებების შესაბამისად.

3. <u>რესურსის ხელმისაწვდომობა და დაფარვა</u>

რესურსის ჩამორიცხვის ბოლო ვადა არის [●].

საშეღავათო პერიოდი მთავრდება [●]-ზე.

4. <u>ფინანსური პირობები</u>

რესურსის ფინანსური პირობები შემდეგია:

- რაოდენობა : [რაოდენობა სიტყვიერად] ევრო ([რაოდენობა ციფრებით] EUR)
- [[3/6 თვიანი] EURIBOR პლუს მარჟა : წლიური [პროცენტი სიტყვიერად] ([●]%)]
- ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი : [პროცენტი სიტყვიერად] ([●]%)
- ინდექსის განაკვეთი რესურსის დამტკიცების ხელმოწერის თარიღით: [პროცენტი სიტყვიერად] ([●]%).

5. <u>ეფექტური გლობალური განაკვეთი (*Taux Effectif Global*)</u>

საფრანგეთის სამომხმარებლო კოდექსის L. 314-1-დან L.314-5-მდე და R.314-1 და შემდგომ მუხლებთან და საფრანგეთის მონეტარული და ფინანსური კოდექსის L. 313-4 მუხლთან შესამამისობის მიზნით, გამსესხებელი აცნობებს მსესხებელს, გამსესხებელი აცნობებს მსესხებელს, რასაც მსესხებელი აღიარებს და ეთანხმება, რომ ფექტური გლობალური განაკვეთი, რესურსის შესაბამისი, შეიძლება შეფასდეს წლიური [*პროცენტი სიტყვიერად*] პროცენტით (პროცენტი *ციფრებით* %), წელიწადში სამას სამოცდახუთი (365) დღის

საფუძველზე და ექვს (6) თვიანი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში პერიოდის [*პროცენტი სიტყვიერად*] პროცენტიანი (*პროცენტი ციფრებით* %) განაკვეთით, ჩამოთვლილის შესაბამისად:

(a) ზემოაღნიშნული განაკვეთები მოცემულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის;

(b) ზემოაღნიშნული განაკვეთები დათვლილია იმის საფუძველზე, რომ:

(i) რესურსი სრულად არის დაფიქსირებული რესურის დამტკიცების ხელმოწერის თარიღზე ფიქსირებული განაკვეთით; და

(ii) რესურსის ვადაში ფიქსირებული განაკვეთი იქნება [●] პროცენტი. ([●]%); და

(c) ზემოაღნიშნული განაკვეთები ითვალისწინებს მსესხებლის მიერ ამ რესურსის დამტკიცების საფუძველზე გადასახდელ საკომისიოებსა და ხარჯებს, იმ ვარაუდით, რომ ასეთი საკომისიო და ხარჯები დარჩება ფიქსირებული და გამოყენებული იქნება რესურსის სრულად დაფარვამდე.

6. <u>წარმომადგენლობები</u>

რესურსის დამტკიცების ხელმოწერის თარიღზე, მსესხებელი აცხადებს, რომ მე-13 მუხლის (წარმომადგენლობები და გარანტიები ჩარჩო შეთანხმებით და თითოეული რესურსით) შესაბამისად განსაზღვრული წარმომადგენლობები და გარანტიები ზუსტია.

7. <u>[ცვლილება ჩარჩო შეთანხმებაში რესურსის ფარგლებში]</u>

[ამ რესურსის დამტკიცების მიზნით, ჩარჩო შეთანხმების შემდეგი დებულებები შესწორებულია შემდეგნაირად:]

8. <u>მარეგულირებელი კანონმდებლობა, არბიტრაჟი და საპროცესო მომსახურება</u>

ეს რესურსის დამტკიცება რეგულირდება საფრანგეთის კანონმდებლობით.

შეთანხმების 20.2 (არბიტრაჟი) და 20.3 (საპროცესო მომსახურება) მუხლების დებულებები საჭიროცვლილებებით ვრცელდება რესურსის დამტკიცებაზე.

პატივისცემით,

.....

საფრანგეთის განვითარების სააგენტოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ჩვენ ვეთანხმებით წინამდებარე რესურსის დამტკიცების ვადებსა და პირობებს

.....

მსესხებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

თარიღი: [●]

განრიგი 5- რესურსის ჩამორიცხვის ფორმა

ნაწილი I- <u>ჩამორიცხვის მოთხოვნის ფორმა</u>

[მსესხებლის ბლანკზე]

მიმღები: **საფრანგეთის განვითარების სააგენტო**

[ჩარჩო შეთანხმების მე-19 *მუხლში მოცემული AFD -ის ოფისის სახელი*] ოფისი
[ჩარჩო შეთანხმების *მე-19 მუხლში მოცემული AFD -ის ოფისის მისამართი*]

ყურადღება: AFD-ის დირექტორი

ადრესანტი: [ჩარჩო შეთანხმების *მე-19 მუხლში მოცემული მსესხებლის სახელი და მისამართი*]

[თარიღი]

შესახებ: ჩამორიცხვის მოთხოვნა

მსესხებლის სახელი- ჩარჩო შეთანხმება n° [●] დათარიღებული[●]

ძვირფასო ბატონებო,

1. **ჩვენ ვსაუბრობთ მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებულ საკრედიტო შეთანხმებაზე n° [●], რომელიც დათარირებულია [●] („შეთანხმება"). აქ გამოყენებულ, მაგრამ განუმარტებელ სიტყვებსა და გამონათქვამებს აქვთ იგივე მნიშვნელობა როგორც შეთანხმებაშია.**
2. **ეს წერილი არის ჩამორიცხვის მოთხოვნა.**
3. **ჩვენ შეუცვლელად მოვითხოვთ, რომ კრდიტორმა გახადოს ჩამორიცხვა ხელმისაწვდომი შემდეგი პირობებით:**

   რაოდენობა: EUR [●] ან, თუ ნაკლებია, ხელმისაწვდომი კრედიტი.

   საპროცენტო განაკვეთი: [ფიქსირებული/მცურავი]
4. **საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული იქნება ჩარჩო შეთანხმების მე-7 (პროცენტი) და მე-8 მუხლებით (საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშების ცვლილება) და რესურსის დადასტუების მე-4 მუხლით (ფინანსური პირობები). ჩამორიცხვის მოთხოვნის შესაბამისი საპროცენტო განაკვეთი წარმოდგენილი იქნება წერილობით და ჩვენ მივიღებთ ამ საპროცენტო განაკვეთს (ქვედა აბზაცის მიხედვით, თუ**

შესაძლებელია)[1], მათ შორის როდესაც საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ჩანაცვლების მაჩვენებელზე მითითებით დამატებული რეგულირების მარჯა, როგორც ეს შეტყობინებულ იქნა გამსესხებლის მიერ, როცა ადგილი ქონდა განაკვეთის ჩანაცვლების შემთხვევას.

[მხოლოდ ფიქსირებული განაკვეთისთვის:] თუ ჩამორიცხვის შესაბამისი საპროცენტო განაკვეთი იქნება მეტი ვიდრე[●საპროცენტო განაკვეთი სიტყვიერად] ([●]%), ჩვენ მოვითხოვთ, რომ გააუქმოთ ჩამორიცხვის ეს მოთხოვნა.

5. ჩვენ ვადასტურებთ, რომ თითოეული პირობა განსაზღვრული 5.5 მუხლში (წინაპირობები) ჩამორიცხვის მოთხოვნის დღეს არის დაკმაყოფილებული და არ გრძელდება ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევა ან არის მოსალოდნელი რომ მოხდეს. ჩვენ თანახმა ვართ, რომ გამსესხებელს ვაცნობოთ თუ ნებისმიერი ზემოთ ხსენებული პირობა არ დაკამყოფილდა ჩამორიცხვის დღეს ან წინასწარ.

6. ჩამორიცხვის თანხები უნდა დაირიცხოს შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

   ა) სახელი [მსესხებლის/ საბოლოო ბენეფიციარის/ განმახორციელებელი სააგენტოს]: [●]

   ბ) მისამართი [მსესხებლის/ საბოლოო ბენეფიციარის/ განმახორციელებელი სააგენტოს]: [●]

   გ) IBAN ანგარიშის ნომერი: [●]

   დ) SWIFT ნომერი: [●]

   ე) ბანკი და ბანკის მისამართი : [●]

   ვ) [ევროს გარდა სხა ვალუტის შემთხვევაში] შესაბამისი ბანკი და მსესხებლის ბანკის ანგარიში ნომერი: [●]

7. ჩამორიცხვის მოთხოვნა არის შეუქცევადი.

8. ჩამორიცხვის მოთხოვნას ჩვენ თან ვურთავთ ყველა შესაბამის დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრულია შეთანხმების მე-3 განრიგში (წინაპირობები)

[დოკუმენტების ჩამონათვალი]

პატივისცემით,

.....

[1] მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პუნქტი, რომელიც იწყება „მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთისთვის“ არის შეტანილი თანხის მოთხოვნაში.

მსესხებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

<u>ნაწილი I I - ჩამორიცხვის და განაკვეთის დადასტურების ფორმა</u>

[საფრანგეთის განვითარების სააგენტოს ბლანკზე]

მიმღები: [ჩარჩო შეთანხმების *მე-19 მუხლში მოცემული მსესხებლის სახელი და მისამართი]*

ყურადღება: [სახელი, რომელიც მოცემულია მე-19 მუხლში]

ადრესანტი: საფრანგეთის განვითარების სააგენტო

[თარიღი]

შესახებ: ჩამორიცხვის მოთხოვნა დათარიღებული [●]

მსესხებლის სახელი- ჩარჩო შეთანხმება n° [●] დათარიღებული[●]

ძვირფასო ბატონებო,

1. ჩვენ ვსაუბრობთ მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებულ საკრედიტო შეთანხმებაზე n° [●], რომელიც დათარიღებულია [●] („შეთანხმება"). აქ გამოყენებულ, მაგრამ განუმარტებელ სიტყვებსა და გამონათქვამებს აქვთ იგივე მნიშვნელობა როგორც შეთანხმებაშია.

2. ჩამორიცხვის მოთხოვნის წერილის დათარიღებული [●] შესაბამისად, მსესხებელმა მოითხოვა, რომ გამსესხებელმა ხელმისაწვდომი გახადოს ჩამორიცხვის რაოდენობა [●] ევრო, ჩარჩო შეთანხმების და რესურსის დამტკიცების ვადებისა და პირობების შესაბამისად.

3. ჩამორიცხვა, რომელიც გახდა ხელმისაწვდომი თქვენი ჩამორიცხვის მოთხოვნის შესაბამისად, არის შემდეგი:

- რაოდენობა: [●*სიტყვიერი რაოდენობა*] ([●])
- შესაბამისი წლიური საპროცენტო განაკვეთი: [●პროცენტი სიტყვიერად] ([●]%) [რაც უდრის ჯამური ექვსთვიან EURIBOR-ს (რაც უდრის [●]% წლიურად)[2] და მარჟას][3]
- ეფექტური გლობალური განაკვეთი (6 თვიანი პერიოდისთვის): [●პროცენტი სიტყვიერად] ([●]%)
- ეფექტური გლობალური განაკვეთი (წლიური): [●პროცენტი სიტყვიერად] ([●]%)
- ჩამორიცხვის თარიღი: [●]

<u>[მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის სესხისთვის]</u>

მხოლოდ ინფორმაციის მიზნით:

- განაკვეთის დადგენის თარიღი: [●]

---

[2] თუ ექვსთვიანი EURIBOR ხელმისაწვდომი არ არის განაკვეთის შეცვლის თარიღის დადგომის გამო, ჩამორიცხვის დადასტურების თარიღისთვის, ჩანაცვლების მაჩვენებელი, ამგვარი განაკვეთის შეცვლის აღმნიშვნელი მ ა ჩვენებლით ჩანაცვლების ზუსტი პირობები და შესაბამისი ეფექტური განაკვეთები, მსესხებელს ეცნობება ცალკე წერილით.

[3] წაიშლება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში.

- ფიქსირებული მითითებული განაკვეთი: [●პროცენტი სიტყვიერად] ([●]%) წლიური
- ინდექსირებული განაკვეთი: [●პროცენტი სიტყვიერად] ([●]%)
- ინდექსირებული განაკვეთი განაკვეთის დადგენის თარიღისთვის: [●პროცენტი სიტყვიერად] ([●]%)

[დაკონკრეტებული იქნა, რომ ზემოხსენებული საპროცენტო განაკვეთი შეიძლება შეიცვალოს შეთანხმების 7.1.1 (i) (ცვლადი საპროცენტო განაკვეთი) და 8.2 (განაკვეთის ჩანაცვლება) მუხლების შესაბამისად][4]

პატივისცემით,

.....

საფრანგეთის განვითარების სააგენტოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

[4] წაიშლება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში.

<u>ნაწილი III - განაკვეთის კონვერსიის მოთხოვნის ფორმა</u>

[მსესხებლის ბლანკზე]

მიმღები: საფრანგეთის განვითარების სააგენტო

[ჩარჩო შეთანხმების მე-19 *მუხლში მოცემული AFD -ის ოფისის სახელი*] ოფისი
[ჩარჩო შეთანხმების მე-19 *მუხლში მოცემული AFD -ის ოფისის მისამართი*]

ყურადღება: AFD-ის დირექტორი

ადრესანტი: [ჩარჩო შეთანხმების მე-19 *მუხლში მოცემული მსესხებლის სახელი და მისამართი*]

[თარიღი]

შესახებ: განაკვეთის კონვერსიის მოთხოვნა

მსესხებლის სახელი- ჩარჩო შეთანხმება n° [●] დათარიღებული[●]

ძვირფასო ბატონებო,

1. ჩვენ ვსაუბრობთ მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებულ საკრედიტო შეთანხმებაზე n° [●], რომელიც დათარიღებულია [●] („შეთანხმება“). აქ გამოყენებულ, მაგრამ განუმარტებელ სიტყვებსა და გამონათქვამებს აქვთ იგივე მნიშვნელობა როგორც შეთანხმებაშია.

2. შეთანხმების 7.1.2 მუხლის (მცურავი საპროცენტო განაკვეთის ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთად კოვერსია) შესაბამისად, ჩვენ ვითხოვთ, რომ მოახდინოთ კონვერსია შემდეგი ჩამორიცხვების მცურავი საპორცენტო განაკვეთის:

- **[შესაბამისი ჩამორიცხვების ჩამონათვალი]**

ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთად, შეთანხმების პირობების შესაბამისად.

3. განაკვეთის კონვერსიის მოთხოვნა ჩაითვლება ბათილად და ანულირდება თუ შესაბამისი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი გადააჭარბებს [●პროცენტი სიტყვიერად] ([●]%).

პატივისცემით,

მსესხებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

<u>ნაწილი IV - კონვერსიის დადასტურების ფორმა</u>

[საფრანგეთის განვითარების სააგენტოს წერილის ფორმა]

მიმღები: [ჩარჩო შეთანხმების მე-19 *მუხლში მოცემული მსესხებლის სახელი და მისამართი*]

ყურადღება: [ჩარჩო შეთანხმების *მე-19 მუხლში მოცემული სახელი]*

ადრესანტი: საფრანგეთის განვითარების სააგენტო

[თარიღი]

შესახებ: განაკვეთის კონვერსიის მოთხოვნა n° [●] დათარიღებული[●]

მსესხებლის სახელი- საკრედიტო შეთანხმება n° [●] დათარიღებული[●]

ძვირფასო ბატონებო,

1. ჩვენ ვეხებით მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებულ საკრედიტო შეთანხმება n° [●] დათარიღებულს [●] („შეთანხმება"). აქ გამოყენებულ, მაგრამ განუმარტებელ სიტყვებსა და გამონათქვამებს აქვთ იგივე მნიშვნელობა როგორც შეთანხმებაშია.
2. ჩვენ აგრეთვე ვეხებით თქვენს განაკვეთის კონვერსიის მოთხოვნას დათარიღებულს [●]. ჩვენ ვადასტურებთ, რომ განაკვეთის კონვერსიის მოთხოვნაში მითითებული ჩამორიცხვის შესაბამისი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი არის ამ შეთანხმების 7.1.2 მუხლის(მცურავი საპროცენტო განაკვეთის ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთად კოვერსია) შესაბამისი:
   - [●]% წლიურად
3. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი გამოთვლილია 7.1.1 მუხლის (საპროცენტო განაკვეთის არჩევა) შესაბამისად, შეესაბამება თქვენი კონვერსიის მოთხოვნაში მითითებულ ჩამორიცხვებს [●] (ეფექტური თარიღიდან).
4. გარდა ამისა, ჩვენ გაცნობებთ, რომ·
   - რესურსის წლიური ეფექტური გლობალური განაკვეთი არის [●]%.
   - რესურსის [ნახევარწლიანი ან კვარტლური] ეფექტური გლობალური განაკვეთი არის [●]%.

პატივისცემით,

საფრანგეთის განვითარების სააგენტოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

განრიგი 6 - ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გამოქვეყნებულ იყოს საფრანგეთის მთავრობის ვებ-გვერდზე და კრედიტორის ვებ-გვერდზე

1. ინფორმაცია პროგრამის შესახებ
   - AFD-ს წიგნის ნომერი და სახელი;
   - აღწერა;
   - ოპერაციული სექტორი;
   - დანერგვის ადგილი;
   - მოსალოდნელი დაწყების თარიღი;
   - მოსალოდნელი ტექნიკური დასრულების თარიღი;
   - დანერგვის სტატუსი განახლებული ნახევაწლიურად;
2. პროგრამის დაფინანსებასთან დაკავშირებული ინფორმაცია
   - დაფინანსების ტიპი (სესხი, გრანტი, თანადაფინანსება, დელეგირებული ფულადი სახსრები);
   - რესურსის ძირითადი თანხა;
   - რესურსის რაოდენობა, რომელიც ჩამოირიცხა (განახლებული პროგრამის დანერგვის მიმდინარეობის შესაბამისად);
   - მსესხებლის დასახელება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმანის ბიუro
REGISTRATION № 0320/L-22
DATE 14.11.2022
CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia